ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 169 (12544) 21 ივლისი ორშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

Beijing 2008
ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 18 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა





## დენის ბერგკამპი ამსტერდამში დაბრუნდა

უცხოური ფეხბურთის ამბები 6-10

## ლიპი მეტს ველარ მოითმენს

მეტოქის ბანაკში 8

# ამერი პირველ ლიგაში ითამაშებს

დავით ცაბაძე



## რამდენი გუნდი დარჩება უმაღლეს ლიგაში?

საქართველოსთასის ორგზის მფლობელ "ამერზე" ამ ბოლო ხანს არასასიამოვნო ამბები გვესმის. გუნდის ფეხბურთელები ვარჯიშზე არ გავიდნენ, კლუბს ფინანსურად გაუჭირდა, რვა ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენეს... ამას კი გუშინდელი ვერდიქტი, მართლაც რომ ცუდი ამბავი მოჰყვა. "ამერის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გუნდი ახალ სეზონში არა უმაღლეს, არამედ პირველ ლიგაში იასპარეზებს... "ამერი" 2002 წელს დაფუძნდა. ეს გუნდი ორ წელიწადში უმაღლეს ლიგაში ალზევდა. უფრო მეტიც, "ამერმა" ზედიზედ ორჯერ, 2006 და 2007 წლებში ქვეყნის თასი მოიპოვა. წლეულსაც ითამაშა თასის ფინალში, მაგრამ ამჯერად ეს ჯილდო "ზესტაფონს" ხვდა წილად. გარდა ამისა, კარგად გვახსოვს "ამერის" ჯიგრიანი თამაშები, როგორც საქართველოს ჩემპიონატსა და თასზე, ასევე ევროტურნირებზე - "ბელხატოვთან" და "ჰერტასთან", რომელთანაც თბილისურ მატჩში ტრიბუნაზე ქომაგს ასეთი ტრანსპარანტი ეჭირა: "ამერი - ამ ერის გუნდი"...

გაგრძელება 3



## ზურაბ ფოცხვერია: ამ შემადგენლობით უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა ამერს არ შეეფერება...

# ამისულაშვილი: 3+1



ქართველი მცველი რუსულ პრემიერლიგაში მეორე სეზონია, გამორჩეულად თამაშობს. წლეულს მას ყველაზე მეტი საჰაერო ორთაბრძოლა აქვს მოგებული...

ქართული ლეგიონის უქმეები 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიური ვარსკვლავის ახალი ვარსკვლავი



## კობიაშვილი ბიზნეს-სარბიელზე

**ლევან კობიაშვილი** ბიზნესით სერიოზულად დაინტერესდა და მძლავრი პროექტის ერთ-ერთი პარტნიორი გახდა.

კომპანია "ოლიმპიური ვარსკვლავი" უკვე ცნობილი ბრენდია სამშენებლო ბიზნესში, რომლის დამფუძნებლები ცნობილი სპორტსმენები, ოლიმპიური ჩემპიონები არიან და მათ საქართველოს ნაკრებისა და გელზენკირხენის "შალკეს" ნახევარმცველი შეუამხანაგდა - კობიაშვილი ბიზნესითაც შეუტევს.

და კობიაშვილი-"ოლიმპიური ვარსკვლავის" ერთობლივი პროექტიც - გონიოში სასტუმროს ტიპის კომპლექსი აშენდება, რომელსაც "შავი ზღვის ვარსკვლავი" დაერქმევა.

"ეს იქნება ადგილი, სადაც სიამოვნებით დავპატიჟებ ყველას. კომპლექსი ითვალისწინებს გუნდების მიღებასაც შეკრებებისთვის. ულამაზესი გარემო, კომფორტი, საფეხბურთო მოედანი, ჩოგბურთის კორტები - კომპლექსში იახტკლუბიც მოეწყობა. ორ-სამ წელიწადში ეს კომპლექსი მაღალ დონეზე უმასპინძლებს უცხოელ სპორტსმენებს და საერთოდ, სტუმრებს. ვენდობი ამ კომპანიაში თავმოყრილ გუნდს და მიმაჩნია, რომ ბიზნესში ნდობა და გუნდური თამაში უმთავრესია", - ამბობს კობიაშვილი და იქვე დასძენს, რომ მისი სამომავლო პროექტები მხოლოდ სამშენებლო ბიზნესს არ უკავშირდება.

კახა კალაძის "კალა კაპიტალის" შემდეგ ბიზნესში გამოწვევა, როგორც ჩანს, კობიაშვილმაც მიიღო. ცხადია, ძალიან საინტერესოა, რამდენად წარმატებული იქნება კობიაშვილი ფეხბურთის მიღმა.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ დავით ლომაისთან

## თუ თბილისშიც ასეთი ქომაგობა იქნება...



დავით ლომაია (მარცხნივ)

**თბილისის** "ვიტ ჯორჯიამ" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში სლოვაკურ "სპარტაკთან" 2:2 რომ ითამაშა, ერთი გოლი ვიტელთაგან დავით ლომაიამ გაიტანა. ის მცველია და გოლი იშვიათად გააქვს, თუმცა ტრნავაში ისეთი შეაგდო, "ვიტ ჯორჯიამ" საკუთარი ძალა ირწმუნა და ნიათი მოემატა - ლომაიამ მატჩის პირველი გოლი გაიტანა.

**- პირველი ტაიმი 2:0 მოიგეთ და მეორეში რალა დაგემართათ? რატომ გაფლანგეთ ასეთი უპირატესობა?**

- მეორე გოლი რომ გავუშვით, ათი კაცით ვიყავით - სამივე შეცვლა დახარჯული გვქონდა. ასეთ დროს ირაკლი კლიმიაშვილს კუნთი დაეჭიმა და მოედნიდან გავიდა.

**- ალბათ, მხოლოდ ეს არ იყო უპირატესობის ვერშენარჩუნების მიზეზი...**

- პირველი ტაიმი 2:0 რომ მოვიგეთ, მეორეში დაცვითი ტაქტიკა ავირჩიეთ და ამან არ გაამართლა. თუმც საგოლე შანსი მეორე ტაიმშიც გვქონდა კონტრშეტევებზე. ორბურთიანი უპირატესობის განიავება ძალიან დასანანია, მაგრამ სტუმრად ფრე ურიგო შედეგი მაინც არ არის. ისეთი თამაში იყო, წაგებაც შეიძლებოდა და მოგებაც.

**- რა გუნდია ტრნავის "სპარტაკი", რა სტილში თამაშობს?**

- აქცენტი ფლანგებზე თამაშზე აქვს გადატანილი, დიაგონალურ გადაცემებსაც ხშირად მიმართავს. გამოცდილი გუნდია, "ვიტ ჯორჯია" კი - ახალგაზრდული და ამანაც მოახდინა გავლენა ტრნავულ შეხვედრაში.

**- მაღალი ბურთის ჩაგდება საჯარიმოში - ორივე გოლი ფაქტობრივად, ასე გაუშვით.**

- მასეა, პირველი კუთხურიდან გაგვიტანეს, მეორე გაშვებული გოლის დროსაც მაღალი ბურთი ჩააგდეს ჩვენს საჯარიმოში და არეულობაში ბურში კართი ალმოჩნდა.

**- გამოდის, ორივე გოლი დაცვის ბრალი ყოფილა...**

- შეიძლებოდა დაცვაში უკეთესად თამაში.

**- "ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელებმა გვითხრეს, გულშემატკივრის ფაქტორიც მნიშვნელოვანი იყო ტრნავაშიო...**

- მეორე ტაიმში "სპარტაკი" მართლაც გულშემატკივრებმა მოიყვანეს იშტაზე, ძალიან მაგრად უჭერდნენ მხარს თავიანთ გუნდს, წამით არ გაჩერებულან. თუ საპასუხო შეხვედრაში თბილისშიც ბევრი ხალხი მოვა და ასე გვიქომაგებს, წარმატების მეტი შანსი გვექნება.

**- საპასუხო მატჩისთვის, რომელიც 29 მივლისს გაიმართება, განსაკუთრებულად ემზადებით?**

- 25 ივლისიდან ორჯერადი ვარჯიშები გვექნება.

**- შენ ძმაზეც გკითხავ. საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია როდემდე უნდა იყოს უგუნდოდ?**

- გია ახლა ჩვენთან ვარჯიშობს და კონკრეტულ შემოთავაზებას უცდის, მალე უნდა გაირკვეს, თუ რომელ გუნდში გადავა.

**დავით თავართქილაძე**

ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი. რუნავიკი-დინამო

## ფარერებზე მერებაშვილისა და სპასოევიჩის გარეშე

### დინამოს ბაზაზე ორი კამერუნელი გამოჩნდა

გუშინ, გამთენიისას თბილისის "დინამო" მიუნხენისა და კოპენჰაგენის გავლით ფარერებს გაემგზავრა. "რუნავიკთან" შინ 3:0 მოგების შემდეგ, **რაინერ ცობელის** გუნდი ხვალ საპასუხო შეხვედრას გამართავს.

ფარერელთა წინააღმდეგ თბილისში სლოვაკ მცველ **მილოშ კრშკოს** არ უთამაშია, რომელიც უკვე უკეთაა და გუნდს ჩრდილოეთშიც გაჰყვა. "რუნავიკთან" მატჩში დაშავდა **გიორგი მერებაშვილი**, იგი "დინამოს" ფარერებზე ვერ გაჰყვა - მწვრთნელები მისი ტრავმის გამიზეზებას მოერიდნენ. რაც შეეხება ჩერნოგორიელ ფორვარდ **ილია სპასოევიჩს**, რამდენიმე კვირის წინათ ოპერაცია გაიკეთა და ექიმებთან კონსულტაციის გამო სამშობლოში გამგზავრება ითხოვა და კლუბმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა.

**რაინერ ცობელმა** ფარერებზე ამ შემადგენლობას მოუყარა თავი:

მეკარეები: **დიდიე ოვონო, გიორგი ლორია.**

მცველები: **შოთა კაშია, გურამ კაშია, მილოშ კრშკო, სანდრო ინწკირველი, გიორგი ნერგაძე, გულვერდ თომაშვილი.**

ნახევარმცველები: **ლევან ხმალაძე, დავით დიღმელაშვილი, დავით ოდიკაძე, ოლეგ გველესიანი, ნიკოლოზ ფირცხალავა, გიორგი ჯიშკარიანი.**

თავდამსხმელები: **ჯორჯ აკირემი, მათე ვაწაძე, ზვიად ქანთარია.**

"რუნავიკი"-"დინამოს" მატჩი ტორსჰავნში თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება.

"დინამოზე" კიდევ ერთი სიახლე უნდა გაცნობოთ. უკვე ორი დღეა, რაც დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ორი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს - კამერუნელებს, 25 წლის **ლუკ ლოესა** და 20 წლის მოის **როდრიგო ნგანგუეს** დაცვასა და ნახევარდაცვაში შეუძლიათ თამაში. ისინი "დინამო 2"-ში განაგრძობენ ვარჯიშს. აფრიკელი ფეხბურთელები გასინჯვაზე არიან.

გუშინ "დინამო 2" თბილისში მოსამზადებელ ტურნეზე მყოფ აზერბაიჯანულ "სიმურგს" გაეჯიბრა და 1:3 დამარცხდა. დინამოელთაგან გოლი **ბექა მიქაძემ** გაიტანა.

**დავით ცაბაძე**



გიორგი მერებაშვილი

უეფას თასი. ვიტ ჯორჯიას მეტოქე

## ტრნავამ ჩემპიონატი მოგებით დაიწყო

გასულ უქმეებზე სლოვაკეთის სუპერ ლიგაში ახალი სეზონი დაიწყო. ბუნებრივია, ჩემპიონატში უეფას თასის გათამაშების პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, თბილისის "ვიტ ჯორჯიის" მეტოქე ტრნავას "სპარტაკიც" ჩაერთო. ტრნაველებმა "დუბნიცა" შინ 2:1 დაამარცხეს. მე-12 წუთზე ტრნაველები **კოპუნეკმა** დააწინაურა. თუმცა ათიოდე წუთში **სეიეს** გოლით სტუმრებმა წონასწორობა აღადგინეს. 42-ე წუთზე კი **ჰრუშკამ** ისევ "სპარტაკი" დააწინაურა. მეორე ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა და ტრნაველებმა 2:1 მოიგეს.

"დუბნიცას" წინააღმდეგ "ვიტ ჯორჯიის" მეტოქემ ამ შემადგენლობით ითამაშა: **რიბანსკი (46 ჰრდინა), ციფერსკი, დოლეჟაი, პონჩაკი, კოჟუხი (73. გულდანი), იელენკოვიჩი, კოპუნეკი, ჰრუშკა, ლ. ჰანცელი, ფილიპოვიჩი (64. ბერნატი).**

ტრნავას "სპარტაკს" ჯორჯიელებთან საპასუხო, თბილისურ მატჩამდე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრა ელით - 25 ივლისს ტრნაველები დაკ-ს სტუმრად დაუპირისპირდებიან.

**დავით ცაბაძე**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური **დავით მაისურაძე**, ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.** ნომრის მორიგე რედაქტორი **შალვა ბიბილაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდი ამბავი

# ამერი პირველ ლიგაში ითამაშებს

## უმაღლესში თერთმეტი გუნდი იქნება, თუ ათი?



პირველი გვერდიდან

"სამწუხაროდ, ამ ნაბიჯის გადადგმა შექმნილმა ვითარებამ გვაიძულა. ახალი სეზონის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა და გუნდი ჯერ არ დაგვიკომპლექტებია... შემადგენლობა არ გაგვიძლიერებია. ერთი სიტყვით, ამ შემადგენლობით უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა "ამერს" არ შეეფერება. ამის გამო გადავწყვიტეთ, ახალ სეზონში პირველ ლიგაში ვითამაშოთ", - კლუბის პრეზიდენტ **ზურაბ ფოცხვერიას** ეს კომენტარი გუშინ მოვიპოვეთ.

ასე რომ, უმაღლეს ლიგას "ამერის" სახით კიდევ ერთი ნათელი ფერი მოაკლდა. ჯერაც გაურკვეველ ვითარებაში არიან "ბორჯომი" და ზუგდიდის "მგლები", თუმცა გუშინ გავიგეთ, რომ ბორჯომელებმა ეროვნულ ჩემპიონატში საასპარეზოდ საწევრო თანხა უკვე შეიტანეს. "მგლებს" ფეხბურთელები ეცლება, მთავარი მწვრთნელი **ბესიკ შეროზია** წავიდა. მწვრთნელს კი იშოვნი, მაგრამ ფეხბურთელების შეკრებისთვის დრო მეტად მცირეა. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, საქმე იქითკენ მიდის, რომ "მგლები" და "ბაია" მალე გაერთიანდებიან.

ერთი სიტყვით, უმაღლეს ლიგას "ამერი" გამოაკლდა. თუ დანაკლისი მხოლოდ ეს ერთი კლუბი იქნება, მაშინ მთავარ დივიზიონში 11 გუნდი რჩება. თუ არა და...

სამზადისი. ამხანაგური მატჩები

# დებიუტანტმა შარშანდელი დებიუტანტი დაამარცხა

## მესხეთმა ოთხეული დაიმატა



ბორის გონჩაროვი და გია მესხელი

| გაგრა–მესხეთი | 1:0 |
|---|---|

1:0 აბაშიძე (80. ქაჯაიას პასით)

გაგრა: გლუნჩაძე, ქაჯაია, მგელაძე, ჩიხრაძე, ბ. ყიფიანი, ლალიანი, ხელაძე, ჩხაიძე, ზ. დათუნაშვილი, მეტრეველი, აბაშიძე.

მეორე ტაიმში შევიდნენ: ნაჭყებია, მესხი, კორიფაძე, ტეტუნაშვილი, გაბედავა.

მესხეთი: სომხიშვილი, ლეკიშვილი, მაჭავარიანი, ლ. მერებაშვილი, რაქვიაშვილი, მ. თაყაძე, ინასარიძე, ვაშაკიძე, ხანიშვილი, მემარნიშვილი, ჟღენტი.

მეორე ტაიმში შევიდნენ: ძამუნაშვილი, თედიაშვილი, სამადაშვილი, ი. დავითაშვილი, კობახიძე, სუდაძე, ქოჩორაშვილი, კობესაშვილი.

გუშინ, მუხრანში უმაღლესი ლიგის ახლანდელი და შარშანდელი დებიუტანტები გაეჯიბრნენ ერთმანეთს - "გაგრამ" "მესხეთი" 1:0 დაამარცხა. მატჩის მსვლელობის აღწერას არ შევუდგებით. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ პირველ ტაიმში ახალციხელები სჯაბნიდნენ მეტოქეს, შესვენებაზე განხორციელებული შეცვლების შემდეგ კი "გაგრამ" იძალა და ერთადერთი გოლიც მე-80 წუთზე **ალექსანდრე აბაშიძემ** გაიტანა.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ "გაგრაში" ორი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს, მეკარეები **კახა გლუნჩაძე** და **რევაზ თევდორაძე**. ამ უკანასკნელის საკითხი ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის, მას გუშინ არ უთამაშია, გლუნჩაძე კი საწყისი 45 წუთის განმავლობაში იცავდა მასპინძელთა კარს.

ახალმა ფეხბურთელებმა "მესხეთშიც" ითამაშეს. კლუბის პრეზიდენტ **გია მესხელის** თქმით, ახალციხელთა გუნდში ოთხი ახალი ფეხბურთელი ჩაირიცხა: თავდამსხმელი **ბორის გონჩაროვი**, ნახევარმცველი **გიორგი მემარნიშვილი** და მცველები - **ნოდარ მაჭავარიანი** და **თემურ ღონღაძე**. ღონღაძე გასულ სეზონშიც "მესხეთში" თამაშობდა, მაგრამ "ვიტ ჯორჯიიდან" იყო განათხოვრებული და მაისის ბოლოს საიჯარო კონტრაქტის ვადა ამოეწურა. მასთან კიდევ ერთხელ გაიმართა მოლაპარაკებები და ექვსთვიან კონტრაქზე შეთანხმდნენ. ანალოგიურ ვადაზე შეუთანხმდა "მესხეთს" მაჭავარიანიც, რომელიც წინა ჩემპიონატში "მგლებში" ასპარეზობდა. მემარნიშვილი ახალციხელებმა "ამერიდან" დაიმატეს, ხოლო გონჩაროვი აზერბაიჯანული "მასალიდან" დაბრუნების შემდეგ თავისუფალი აგენტი იყო.

"მესხეთი" მომდევნო ამხანაგურ მატჩს 25 ივლისს "ზესტაფონთან" ბორჯომში" გამართავს. **თემურ მახარაძის** გუნდი უნგრულ "დიორთან" საპასუხო შეხვედრამდე ძალებს ახალციხელებთან მოსინჯავს.

**დავით ცაგაძე**

# ლოკომოტივმა ურეკი მოილია და ცქიტიშვილს დაელაპარაკება

ურეკულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "ლოკომოტივმა" მეორე საკონტროლო მატჩი ითამაშა - საჩხერის "ჩიხურას" 4:2 მოუგო. გოლები "ლოკომოტივიდან" ამათ გაიტანეს: **კაჭახიძემ, მიქაძემ** და ორი **დავით ჩაგელიშვილმა**. შეგახსენებთ, რომ პირველი ამხანაგური შეხვედრა "ლოკომოტივს" ურეკში ბოლნისის "სიონთან" ჰქონდა - 0:0.

"ლოკომოტივი" დღეს დაბრუნდება თბილისში და რამდენიმე დღეში გაირკვევა, დამდეგი სეზონისთვის ითამაშებს თუ არა ამ გუნდში **ლევან ცქიტიშვილი**, ვინც ლოკომოტიველებს ურეკში არ გაჰყვა. ცქიტიშვილი "ლოკომოტივში" გასული სეზონის მეორე ეტაპზე მივიდა. "ლოკომოტივში" გვითხრეს, კლუბისა და ფეხბურთელის სურვილია, ცქიტიშვილი "ლოკომოტივში" დარჩეს, თუმც ჯერ პირობებია შესათანხმებელიო.

**დავით თავართქილაძე**



ლევან ცქიტიშვილი

სამწვრთნელო საკითხი

ალეხანდრო კამანიო:

# კუპერისთვის საქართველო ბედის გამოწვევაა

## ორ დღეში ნეესკენსის პასუხს ველით



ექტორ რაულ კუპერი

28 ივლისს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა გაიმართება. ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცი სწორედ ალმასკომმა უნდა დაამტკიცოს. ერთი სიტყვით, ალმასკომის სხდომამდე ზუსტად კვირა დარჩა და ამ საკითხზე მუშაობაც უფრო გააქტიურდა. არგენტინელი **ექტორ რაულ კუპერი** საქართველოს ეროვნული გუნდის თავკაცობის ერთ-ერთი კანდიდატია. კუპერთან დაკავშირებით მოლაპარაკებები რომ მიმდინარეობს, ეს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამაც** დაგვიდასტურა. ისიც გავიგეთ, რომ თუ ფედერაცია მას მოიწვევს, მზადაა ამ კვირაში თბილისშიც გვეწვიოს. გუშინ, კუპერის წარმომადგენელ **ალეხანდრო კამანიოს ნიკო პატარქალიშვილის** მეშვეობით გავესაუბრეთ.

"კუპერი საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად - ეს ჩინებული პროექტია. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ კუპერის წარმომადგენელი ვარ. კუპერის მწვრთნელობა საქართველოს ნაკრებისა და მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის, წარმატებული და შედეგიანი იქნება. მჯერა, მისი ფაქტირი და მისი ცოდნა-გამოცდილება, საქართველოში ფეხბურთის განვითარებას დიდ ბიძგს მისცემს. ვფიქრობ, ქართველი გულშ მატკივრისა და საერთოდ, თქვენი საფეხბურთო სამყაროს მიზანი სწორედ ესაა.

მას რამდენიმე კლუბიდან აქვს შეთავაზება, მაგრამ ქართული მხარის შეთავაზებას პრიორიტეტულად განიხილავს. კუპერი ახლა არგენტინაშია, ხვალ ევროპაში გამოემგზავრება. მოგეხსენებათ, ის ესპანეთში ცხოვრობს. მასთან დღესაც მქონდა საუბარი და მითხრა, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მიმიწვევს, მეორე დღესვე თბილისში გავემგზავრები. იქაურ გარემოს, ინფრასტრუქტურას გავეცნობი და ფედერაციის ხელმძღვანელობასთან დასკვნით მოლაპარაკებებსაც გავმართავო.

კუპერს, საქართველოს ნაკრებზეც ვესაუბრე. მან მითხრა, რომ გერმანიასა და იტალიაში მოასპარეზე ლეგიონერებზე მეტი წარმოდგენა აქვს. თუმცა, ისიც იცის, რომ ქართველი ლეგიონერები რუსეთისა და უკრაინის კლუბებშიც ასპარეზობენ. მან გარკვეული, ზოგადი ცნობები საქართველოზე, ისტორიასა და კულტურაზე უკვე მოიძია ინტერნეტის მეშვეობით. ნიკომ (პატარქალიშვილმა) მითხრა, რომ ქართულ-არგენტინულ ურთიერთობებს თითქმის საუკუნოვანი წარსული აქვს. როგორც გავიგე, მე-20 საუკუნის დასაწყისში, წელი ზუსტად აღარ მახსოვს, საქართველომ დამოუკიდებლობა რომ გამოაცხადა და რუსეთს გამოეყო, მაშინ პირველმა არგენტინამ აღიარა თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. როგორც კუპერმა ჩემთან საუბარში აღნიშნა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა მისთვის ბედის გამოწვევაა. მას იმედი აქვს, რომ შესაძლებლობა მიეცემა, თავისი ცოდნა-გამოცდილება საქართველოს ნაკრებს მოახმაროს და კიდევ ერთხელ ახლოს გაიცნოს თქვენი მშვენიერი ქვეყანა", - აი ესაა ალეხანდრო კამანიოსთან გუშინდელი საუბრის მოკლე შინაარსი.

როგორც ხედავთ, კუპერს სურს ჩვენი ეროვნული გუნდი ჩაიბაროს. ვნახოთ, შედგება თუ არა შეთანხმება კონტრაქტის ყველა პირობაზე და ვის მიანიჭებენ უპირატესობას ალმასკომის სხდომაზე 28 ივლისს.

ყოველივე ამის შემდეგ, ფეხბურთის ფედერაციის თავკაცთა პოზიციაც საინტერესოა.

"დიახ, კუპერთან მოლაპარაკებები გრძელდება. არგენტინელ მწვრთნელთან ზოგ საკითხებზე უკვე შევთანხმდით, კიდევ რამდენიმე დეტალია გასარკვევი. მასთან ხვალ კიდევ გვექნება კონტაქტი და თუ შევთანხმდებით, კუპერი ჩამოვა, აქაურ გარემოს, ინფრასტრუქტრას გაეცნობა...

ალსანიშნავია ისიც, რომ ჰოლანდიელ მწვრთნელ იოჰან ნეესკენსთანაც გრძელდება მოლაპარაკებები. წინასწარი შეთანხმების მიხედვით, ნეესკენსისგან ორ დღეში პასუხი უნდა მივიღოთ" - გვითხრა უჩა უგულავამ.

**დავით ცაგაძე**

ყოველთვიური სპორტული ჟურნალი




თქვენთვის წერს ავტორთა ნაკრები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი ვაშაკიძის სკანდალური ექსკლუზივი



## თამაში ქართველებმა კი არა, გაბალის მწვრთნელმა გაყიდა

საფეხბურთო კლუბ "გაბალას" მთავარმა მწვრთნელმა **რამიზ მამედოვმა** რამდენიმე დღის წინათ ინტერვიუ მისცა "აზერისპორტს", სადაც **გიორგი გაბიდაურის, ზურაბ მამალაძისა და ირაკლი ვაშაკიძის** წასვლის შესახებ კითხვა დაუსვეს – თქვენ არ გადარდებთ ის ფაქტი, გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა რომ დატოვა?

რამიზ მამედოვის პასუხი ასეთი იყო: *"გაბიდაურს, მამალაძესა და ვაშაკიძეს კონტრაქტი დაუმთავრდათ და საჭიროდ არ ჩავთვალეთ მათი გაგრძელება. ვფიქრობ, მათთან ერთად კიდევ რამდენიმე მოთამაშე წავა".*

თურმე, სადა ხარ, "გაბალაში" მწვრთნელსა და ქართველებს შორის დიდი ომი ყოფილა გაჩაღებული. ორიოდე დღეში გაზეთმა "ტრენდმა" გამოაქვეყნა "გიანჯლირბირლის" პრეზიდენტ **ილჰან ნურიევის** ინტერვიუ, სადაც მან თოვუზის "თურანი" "გაბალასთან" მატჩის შეგნებულად დათმობაში დაადანაშაულა.

*"თოვუზელების გუნდი ისეთი ძლიერი არ არის, "გაბალასთან" უკვე პირველი ტაიმი 4:0 მოეგო"*, - ნურიევის ამ განცხადებას დიდი უსიამოვნება მოჰყვა და სკანდალში "გაბალას" მეკარე მამალაძე, მცველი ვაშაკიძე და ნახევარმცველი გაბიდაური გაეხვნენ.

თურმე, "გაბალას" მწვრთნელი ქართველებთან კონტრაქტის გაგრძელების საჭიროებას რომ ვერ ხედავდა, გულში სხვა ცეცხლი უტრიალებდა. რამდენიმე დღეში საჯაროდ სკანდალური განცხადება გააკეთა – ჩვენმა ფეხბურთელებმა, ვაშაკიძემ და მამალაძემ "თურანთან" მეორე წრეში სწორედ ეს მატჩი ცუდად შეგნებულად ჩაატარეს, ვაშაკიძე ადრე "თურანში" გამოდიოდაო – ასეთი გარკვეული მინიშნება გააკეთა მამედოვმა გაზეთ "ტრენდთან" ინტერვიუში.

რეალურად რა ხდება? ეს აზრებაიჯანული პრესისა და კლუბებისგან ქართველებზე თავდასხმა პირველი შემთხვევა არ გახლდათ. ბაქოს "ბაკიმ" ბოლნისის "სიონთან" წაგებაში თავდამსხმელი გია მეგრელაძე დაადანაშაულა, როდესაც კაცი გუნდში ორი დღის მისული და ფორმიდან ამოვარდნილი იყო.

მანამდე თბილისის "თბილისმა" "განჯას" ორივე მატჩი მოუგო (1:0, 4:1) და ვის დააბრალეს წაგება? რა თქმა უნდა, ქართველებს – "განჯაში" მოთამაშე ჯინჭარაულს.

ასეა, აზერბაიჯანის კლუბში ქართველი თუ გამოდის, მას აჰკიდებენ ყველა ცოდვას. ჩვენებურებზე ხელის დაფარება კი არ გვსურს, მაგრამ თავისთავად ამ ყოველივემ უსიამოვნო ტენდენციის სახე შეიძინა. ხშირ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ აზერბაიჯანელები თავისიანებს ხელს აფარებენ და სხვების დაჩაგვრა უფრო ეხერხებათ.

მის მაგალითი ორი კვირის წინათაც გვქონდა, როდესაც აგდამის "ყარაბახთან" ქართველთა სამეულს, **ლექსო ინწკირველს, რომან ახალკაცსა** და **გოჩა ტრაპაიძეს** კონტრაქტი დაუმთავრდათ, უფულო გუნდი მიატოვეს და "აზერსპორტმა" დაწერა, "ყარაბახმა" ქართველები ტრანსფერზე დააყენაო.

მოკლედ, აზერბნაიჯანულ პრესაში დაბეჭდილ ამბებს გვარიანი "გაფილტვრა" სჭირდება და და "ლელო" "გაბალას" ყოფილ მცველს, ირაკლი ვაშაკიძეს ესაუბრა.

*"რა მაგარი რალაცეები გიპოვიათ. მაგაზე მთელი ამბები მქონდა ამ მწვრთნელთან, თვითონ გაყიდა "თურანთან" თამაში და ყველამ გაუგო, მათ შორის, ხელმძღვანელობამ და საქმე ძალიან ცუდად რომ წაუვიდა, მაგარი გამოსავალი მოძებნა და ყველაფერი ჩვენ დაგვაბრალა, პასუხისმგებლობა თავიდან რომ აეცილებინა. არადა, სამი გოლი ცენტრალური მცველისა და მარცხენა მცველის ბრალი იყო, როდესაც მე მარჯვენა მცველს ვთამაშობდი და კიდევ - ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი გაუგებარი მიზეზით დაასვენა. მიზეზი მაგარი მომიძებნა - რადგან მანამდე "თურანში" ვთამაშობდი, ჯოხის ჩემზე გადმოტეხა სცადა.*

*ინტერვიუს შემდეგ მამედოვი ვნახე და პასუხი მოვთხოვე, დამიმტკიცე, რომ თამაში მე გავყიდე-მეთქი და იცი, რა მითხრა? ეგ მე არ მითქვამს, ჟურნალისტებმა დაწერეს, გვარები საერთოდ არ მიხსენებიაო.*

*ამაზე მაგარი კამათი მომივიდა და რაღა აზრი ჰქონდა "გაბალაში" ასეთ კაცთან გაჩერებას. მაგარი უზნეო კაცია, საკუთარი თავი გადაირჩინა და ქართველები გაგვწირა. არადა, რაც მე მაგას გავუკეთე, სულ ფეხის თითები უნდა დამიკოცნოს. თუნდაც იმ დღეს "თურანთან" ყველაზე კარგად მე ვითამაშე და რა დამაბრალა მაგ უნამუსომ*

*მე რომ მართალი ვარ, მატჩის შემდეგაც გამოჩნდა, ბიჭებმა კინალამ ცემეს, ახსნა-განმარტებებს გვაბარებდა და თავს იმართლებდა, რომ ვითომ არაფერი გაუკეთებია. ბავშვები არ ვართ, კარგად მივხვდით მაგის ოინებს. ჩემზე არაფერს ვამბობ, მამალაძე და გაბიდაური უწესიერესი ბიჭები არიან და მათ რომ კაცი რაიმეს დააბრალებ, მაგარი უნამუსო უნდა იყო."*

**მერაბ მამულაშვილი**

# რატომ არ იწვევენ გიორგი ადამიას ნაკრებში?

## მე არ მაქვს მოტივაცია და ნეფთჩი არ არის გუნდი?

გიორგი ადამია აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოთამაშეა. მართალია, გვერჩივნა რომელიმე ევროპული ლიგის ფეხბურთელი ყოფილიყო, მაგრამ დიდმა ფულმა და თავისთავად აზერბაიჯანის ჩემპიონატის დონის ზრდამ ის ბაქოს "ნეფთჩიში" გააჩერა.

პერიოდულად ჩნდება ინფორმაცია, გიორგი უნდა გადავიდეს რუსეთში, რომ მას იწვევენ უკრაინაში, გერმანიაში, რუმინეთში. გიორგი კი დღემდე აზერბაიჯანშია და თავს სულაც არ გრძნობს ცუდად. ჩვენი ინტერვიუ ინტერტოტოს გათამაშების პირველი ეტაპის შემდეგ შედგა. ქართველმა ფორვარდმა ბელგიური "ჟერმინალის" ძლევაში დიდი როლი შეასრულა.



**- გიორგი, ინტერტოტოს გათამაშებაში "ნეფთჩის" მიზანი გასაგებია - უეფას თასზე გადასვლა წარმატება იქნება. პირადად შენ ტურნირში რა მიზანი გაგაჩნია?**

- რა თქმა უნდა, ტურნირი გუნდის წინსვლისთვისაც სასურველია და პირადად ჩემთვისაც. უეფას თასზე მოხვედრა დიდი წარმატება იქნება. ბელგიელებთან ისე კარგად ვითამაშეთ, იმედი გამიჩნდა, რომ ეს რეალურია.

**- აზერბაიჯანიდან უცხოეთის ძლიერ ლიგაში წასვლა რატომ არ გსურს?**

- ვინ გითხრათ, რომ არ მსურს?

**- სამი წელიწადია წასვლაზე საუბრობ და მაინც "ნეფთჩიში" გამოდიხარ. აბა, რა უნდა ვიფიქროთ?**

- ძალიანაც მინდა წასვლა, მაგრამ სად?

**- ვარიანტების მეტი რა გქონდა?**

- რეალური ისეთები იყო, რომ ვერ დავინტერესდი.

**- გასაგებია, რომ ბევრი რამ პირობებზეა დამოკიდებული, მაგრამ სპორტული მოტივაცია ხომ არ დაკარგე?**

- რატომ ფიქრობთ ასე? ნაღდად არ დამიკარგავს, მაგრამ პატარა ბიჭიც არ ვარ, პერსპექტივის იმედად, მცირე ხელფასს დავთანხმდე. მაქსიმუმ, კიდევ 5-6 წელიწადი ვითამაშო და ჩემი კარიერაც დასრულდება. ამ დროში ხომ ხვდებით, რა საფიქრალი გამაჩნია? თუკი ამ საფიქრალს რომელიმე ევროპული კლუბი მომიგვარებს, რატომ არ წავალ? სიამოვნებითაც წავალ, მაგრამ ასეთი ჯერ რომ არ გამოჩენილა, რა ვქნა? ევროპაში თამაშის მართლა დიდი სურვილი მაქვს, კარიერის აზერბაიჯანში დასრულებაზეც არ ვოცნებობ. ეგაა, აქაურობას დიდხანს შევრჩი. თავიდან ვფიქრობდი, მაქსიმუმ 2 წელი ვითამაშებ-მეთქი, მაგრამ ისე არ გამოვიდა, მე რომ მინდოდა.

**- ნაკრებში შენი მიწვევა არა და არ მოხერხდა. რას ფიქრობ, რა უნდა იყოს მიზეზი?**

- წარმოდგენა არ მაქვს.

**- იქნებ, კლასს გიწუნებენ?**

- არაა გამორიცხული, აზერბაიჯანში რომ ვთამაშობ, ეს არ მოსწონთ. ზუსტად რა გითხრათ, ვინ რას ფიქრობს, ხომ არ დამესიზმრება.

**- შესაძლოა იმას ფიქრობენ, ფული იშოვა და სპორტული მოტივაცია დაკარგაო...**

- რა მეტყობა მოტივაცია დაკარგულის? საქართველოში ვინც დარჩა, ჩემზე მეტი მოტივაცია აქვთ, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ფეხბურთელის კლასი? აზერბაიჯანში საქართველოზე გაცილებით უკეთესი ჩემპიონატი რომ არის, ეს არაა კრიტერიუმი? ან „ნეფთჩის" რა სჭირს ქართველების დასაწუნი? არ მეგულება თავმოყვარე მოთამაშე, რომელსაც უფრო საფეხბურთო ქვეყანაში თამაში არ ერჩივნოს. ზამთარში რუმინული "ოცელული" მიწვევდა, მაგრამ კლუბები ვერ შეთანხმდნენ და ხომ ვერ გავიპარებოდი? მგონი, რუმინეთის დონე მაინც არაა ჩვენი დასაწუნი, საკმაოდ ძლიერი გუნდები ჰყავთ.

**- აზერბაიჯანელების ინფორმაციით, ზამთარში "ანჟიში" გადასვლაზეც ფიქრობდი. მართლა ასე იყო?**

- ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს.

**- კონკრეტული სატრანსფერო თანხა, 500 ათასი დოლარიც დაახელეს.**

- არ არის გამორიცხული, ზუსტად ვერ გეტყვით. საკმაოდ დიდ თანხას ბაქოს "ინტერი" და ლენქორანის "ხაზარიც" იხდიდნენ, მაგრამ არ წავედი. აზერბაიჯანში კლუბის შეცვლას აზრი არ აქვს, თან, "ნეფთჩისაც" შევეჩვიე.

**- ისე შეეჩვიე, გადაჩვევაც არ გინდა?**

- (იცინის) მინდა, რატომაც არა, ასეთი მიწეპებულიც არ ვარ.

**- მახსოვს, აზერბაიჯანის ნაკრებში შენს აყვანაზე იყო საუბარი. რა მოხდა მერე, რა შეიცვალა?**

- მართლა უნდოდათ, მაგრამ საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში ნათამაშები მქონდა და ვერ მოხერხდა. სიმართლე გითხრათ, გული უფრო იმაზე მწყდება, საქართველოს ნაკრებში რომ არ მიწვევენ. მგონია, რომ ერთი შანსი მაინც უნდა მოეცათ, მაგრამ დრო გადის და ამას ვერ ველირსე.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ამისულაშვილის 3+1 ივლისში

რუსული პრემიერლიგის მორიგი, მე-14 ტურში ვლადივოსტოკის „ლუჩმა“ 1:0 დაამარცხა მოსკოვის „დინამო“. **ლევან გვაზავამ** 90 წუთი ითამაშა მასპინძელთა შემადგენლობაში და 5,5 ქულა დაიმსახურა. ლევანი პირველი ტაიმის შუაგულიდან გააქტიურდა და მეტოქის დაცვას ხშირად უქმნიდა პრობლემებს ფლანგური ჩაწოდებებით.

მოსკოვის დერბიში „ლოკომოტივი“ „სპარტაკს“ 2:2 დაუზავდა, ორივე გუნდი კრიზისშია, რაც მათ თამაშის ხარისხს აშკარად ეტყობა. წინა ტურში **მალხაზ ასათიანმა** ძალიან ცუდად ითამაშა, „სპარტაკთან“ კი მის ნაცვლად **როდოლფო** დააყენეს დაცვის ცენტრში. აი, **დავით მუჯირის** შემთხვევაში კი უკვე საგანგაშო ტენდენციასთან გვაქვს საქმე – დიდი ხანია, ქართველი ნახევარმცველი შემადგენლობაში ვერ ხვდება.

**ალექსანდრე ამისულაშვილი** მეორე სეზონია, რუსულ პრემიერლიგაში გამორჩეულია. წლეულს, ქართველი მცველი საჰაერო ორთაბრძოლებში გამარჯვებით ერთ-ერთი ლიდერია ლიგაში. ის შეტევებშიც ყოჩაღობს – 68-ე წუთზე ალეკოს გოლის წყალობით ნალჩიკის „სპარტაკმა“ არ წააგო „კრილია სოვეტოვთან“ საშინაო მატჩში – 1:1. არადა, ამისულაშვილს, წესით, საერთოდ არ უნდა ეთამაშა, რადგან წინა ტურში თავი გაუტეხეს და ექიმებმა ჭრილობაზე ათი ნაკერი დაადეს. სასტარტო შემადგენლობაში სამივე ქართველი იყო: **გოგიტა გოგუამ** შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **დავით სირაძე** 87-ე წუთზე შეცვალეს. გოგუამ და ამისულაშვილმა 6-6 ქულა მიიღეს, სირაძემ – 5. მატჩის 68-ე წუთზე გოგუამ შესანიშნავად შეასრულა ჯარიმა, მაგრამ ბურთი ხარიხას გაარტყა, გამოვარდნილს კი პირველმა ამისულაშვილმა მიუსწრო, რომელმაც ივლისში მესამე გოლი გაიტანა (მის ანგარიშზე ამ თვეში ერთი საგოლე პასიცაა). „კრილიას კარში ამისულაშვილმა გოლი მუხლით გაიტანა. მატჩის შემდეგ „სპარტაკის“ თავკაცი **იური კრასნოჟანი** კმაყოფილი იყო: „შედეგი კანონზომიერია. საერთო ჯამში, თამაშით კმაყოფილი ვარ, გამარჯვებას, ალბათ, არ ვიმსახურებდით – ფრე სამართლიანი შედეგია“.

„სპარტაკმა“ 20 ქულით მეხუთე ადგილი შეინარჩუნა, „ლუჩს“ 12 ქულა აქვს და გვაზავას გუნდმა გასავარდნ ზონას თავი დააღწია. „რუბინი“ სულ ბოლოს თამაშობდა „ტერეკთან“ სტუმრად, ნებისმიერ შემთხვევაში ქართველთა გუნდი პირველ ადგილზე რჩებოდა. წინა დღით დუბლების მატჩში (2:2) „რუბინის“ კარში **ნუკრი რევიშვილი** იდგა. დიდების მატჩში **დავით კვირკველიამ** და **ლაშა სალუქვაძემ** ითამაშეს სასტარტოში. მათ შეუცვლელად ითამაშეს, შეხვედრა 0:0 მორჩა, „რუბინი“ 28 ქულით ლიდერია.



ამისულაშვილი (მარჯვნივ) კოლერის წინააღმდეგ

## უკრაინა ქართველებით გაღარიბდა

უკრაინის ჩემპიონატი ინტერტოტოს თასზე „ტავრიას“ მონაწილეობის გამო ოდნავ ადრე დაიწყო, „ტავრია“ 0:0 დაუზავდა „დნიპროს“. **ვასილ გიგიაძე** 55-ე წუთზე შეცვალეს, სტუმართა ქართული დუეტი კი ბოლომდე გამოუჯანმრთელებული არაა. წლეულს, უკრაინაში ყველაზე ღარიბულადაა წარმოდგენილი ქართული ლეგიონი – სულ ექვსი ფეხბურთელი. აქედან ერთი, **გიორგი დემეტრაძე** „ჩემოდნებზე ზის“ და საეჭვოა, მან კიევის „არსენალის“ რიგებში კიდევ ითამაშის.

სათადარიგოთა სკამიდან დაიწყეს სეზონი „ზარიას“ ნახევარმცველმა **გიორგი ციმაკურიძემ** და „ჩერნომორეცის“ მცველმა **კახა მჟავანაძემ**. მჟავანაძე თადარიგში დარჩა „არსენალთან“ 0:1 წაგებულ მატჩში, კიეველები ოდესაში გიორგი დემეტრაძის გარეშე ჩავიდნენ. ციმაკურიძე კი 76-ე წუთზე შევიდა „მეტალისტთან“ (1:1).

## იაშვილის მისვლამდე

ბელარუსში მორიგ ტურში დღეს ჩაებმება „მტზ-რიპო“. **გივი კვარაცხელიას** გუნდმა უეფას თასზე ითამაშა და ჩემპიონატში „გომელს“ დღეს უმასპინძლებს. ბრესტში კი მოიგო ადგილობრივმა „დინამომ“ მინსკის „ლოკომოტივთან“ (1:0), მაგრამ გუნდის თავკაცმა ორივე ქართველი ლეგიონერი (**რომან გოგინაშვილი** და **გია თოდუა**) დუბლებში გადაიყვანა. სტუმართა კარს კი ქართველი გოლკიპერი **ვლადიმერ ზუხბაია** იცავდა. 22 წლის ვლადიმერ ზუხბაიას ბელარუსში ამ მატჩით ჰქონდა დებიუტი. მინსკის „ლოკომოტივი“ 12 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა, „დინამო“ 22 ქულით მერვეა. სხვათა შორის, გოგინაშვილმა და თოდუამ დუბლების მატჩში (0:1) შეცვლაზე ითამაშეს. „მტზ-რიპო“ 29 ქულით მეორე ადგილზეა.

## ირაკლი იწყებს

სლოვაკეთში გამარჯვებით დაიწყო გორგონ ლიგაში თამაში ბრინჯაოს პრიზიორმა „ნიტრამ“. **ირაკლი ლილუაშვილის** გუნდმა შინ 2:1 დაამარცხა „დუნაისკა სტრედა“. ლილუაშვილმა მატჩის 61-ე წუთზე **იან შტაიერი** შეცვალა.

ყაზახეთის ლიგაში კიდევ ერთხელ იმარჯვა აუტსაიდერმა „ვოსტოკმა“, რომელმაც „ენერგეტიკ-2“ დაამარცხა – 1:0. მხოლოდ უფროსმა ძმამ, გუნდის კაპიტანმა **ზვიად ჯელაძემ** ითამაშა. **ლაშა ჭელიძის** „კაისარი“ სტუმრად 0:0 დაუზავდა „ასტანას“. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა. **ლაშა ნოზაძის** „შახტიორი“ დღეს უმასპინძლებს „ორდაბასის“. „კაისარი“ 30 ქულით მე-4 ადგილზეა, „შახტიორი“ 21 ქულით მეცხრეა, „ვოსტოკი“ 20 ქულით მე-11 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა. II ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი | - | ინტერტოტოს თასზე | 1 თ. 0 გ. |
| ილია კანდელაკი | შტურმი | - | | 1 თ. 0 გ. |
| II ბუნდესლიგა. I ტური | | | | |
| მირზა ბუალავა | გრატკორნი-აუსტრია ლ. | 2:0 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერ ლიგა. XII ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სპარტაკი ნ.-კრილია | 1:1 | 90 წუთი, 1 პასი | 10 თ. 0 გ. |
| დავით სირაძე | სპარტაკი ნ.-კრილია | 1:1 | 87 წთ, შეცვალეს | 12 თ. 1 გ. |
| ალექსან. ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-კრილია | 1:1 | 90 წუთი, 1 გოლი | 14 თ. 3 გ. |
| ლევან გვაზავა | ლუჩი-დინამო | 1:0 | 90 წუთი | 13 თ. 2 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი-სპარტაკი | 2:2 | არ უთამაშია | 4 თ. 0 გ. |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი-სპარტაკი | 2:2 | არ უთამაშია | 3 თ. 0 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | ტერეკი-რუბინი | 0:0 | 90 წუთი | 7 თ. 0 გ. |
| დავით კვირკველია | ტერეკი-რუბინი | 0:0 | 90 წუთი | 12 თ. 2 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | ტერეკი-რუბინი | 0:0 | დუბლები | 0 თ. 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა. I ტური | | | | |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია-დნიპრო | 0:0 | 55 წთ, შეცვალეს | 1 თ. 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | ტავრია-დნიპრო | 0:0 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| სანდრო კობახიძე | ტავრია-დნიპრო | 0:0 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი-არსენალი | 0:1 | სათადარიგო | 0 თ. 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია-მეტალისტი | 1:1 | 14 წთ, შეცვლაზე | 1 თ. 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | ჩერნომორეცი-არსენალი | 0:1 | სათადარიგო | 0 თ. 0 გ. |
| **სლოვაკეთი** | | | | |
| გორგონ ლიგა. I ტური | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ნიტრა-სტრედა | 2:1 | 29 წთ, შეცვლაზე | 1 თ. 0 გ. |

ქართველები ინტერტოტოზე

# გიგიაძეს თავი გაუტყდა

## ადამია კვლავ გამარჯვებულია

„ნეფთჩი“ აღარ ხუმრობს, ბაქოური კლუბი აზერბაიჯანული ფეხბურთის ისტორიას ამდიდრებს – ევროთასების მესამე ეტაპზე ამ ქვეყნის გუნდი პირველად გავიდა, თუმცა „ნეფთჩი“ ამაზე გაჩერებას არ აპირებს. **გიორგი ადამიას** გუნდმა შინ რუმინული „ვასლუი“ დაამარცხა (2:1) და ახლა იმედით ელოდება საპასუხო შერკინებას.

ამ შეხვედრაში ოფიციალურ მატჩებში „ნეფთჩის“ რიგებში დებიუტი ჰქონდა **გიორგი ჭელიძეს**, რომელიც შეცვლაზე შემოვიდა. ამ შეცვლის შემდეგ **ანატოლი დემიანენკომ** გიორგი ადამიას ამპლუა შეუცვალა, მას თავდამსხმელების პასებით მომარაგება დაავალა. „ნეფთჩი“ გააქტიურდა, რისი შედეგიც **სადიხოვის** გამარჯვების გოლია. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აზერბაიჯანული წყაროების მტკიცებით, ჭელიძის შეყვანამ არ გაამართლა. ადამიამ 90 წუთი ითამაშა, ჭელიძემ – ბოლო ოცი.

თამაშის შემდეგ დებიუტანტმა ჭელიძემ განაცხადა: *„გამარჯვება მოვიპოვეთ და ეს მთავარია. რაც შეეხება ჩემს თამაშს, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია, თუ მანდობს ადგილს, შევეცდები ნდობა გავუმართლო. „ვასლუი“ ძლიერი გუნდია, რუმინეთში ძალიან გაგვიჭირდება, თუმცა ჩვენთვის სახარბიელო საბოლოო შედეგის მეიმედება“.*

თავისი შთაბეჭდილებები გაანდო აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს გიორგი ადამიამაც: *„წინა ორ რაუნდთან შედარებით, ძალზე სერიოზული მეტოქე გვყავდა. დასანანია, რომ გოლი გავუშვით, თუმცა შევეცდებით, არ წავაგოთ საპასუხო მატჩში. ანგარიში ძალზედ სახიფათოა, ერთი გოლიც და უეფას თასის საგზურს ვკარგავთ. კარგია, რომ დღეს მოვიგეთ“.*



ვასილ გიგიაძე

## მხოლოდ კანდელაკი

ინტერტოტოს თასის ფინალურ ეტაპზე **ილია კანდელაკის** და **გიორგი შაშიაშვილის** „შტურმმა“ გრაცში უნგრულ „ჰონვედს“ უმასპინძლა. მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს სტუმართა გოლკიპერს და დაზავდნენ – 0:0. ამ მატჩში ქართული დუეტიდან მხოლოდ ილია კანდელაკმა ითამაშა. კანდელაკი მარცხენა ფლანგზე მოქმედებდა. „შტურმს“ მეორე ტაიმში, სულ მცირე, ექვსი საგოლე შანსი ჰქონდა, მაგრამ სტუმართა გოლკიპერი **რაბოშკი** ყოჩაღობდა. საპასუხო მატჩი უნგრეთში (26 ივლისს) გაარკვევს უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურის მფლობელს.

## ძრავა გამოურთეს

უკრაინული „ტავრია“ სტუმრად 0:1 დამარცხდა ფრანგულ „რენთან“. პირველი ტაიმის მიწურულს უსიამოვნო ეპიზოდი მოხდა – საჰაერო ორთაბრძოლისას ერთმანეთს ექსლივერპულელი **ბრუნო შეირუ** და **ვასილ გიგიაძე** შეეჯახნენ. ქართველს თავი გაუტყდა და შესაცვლელი გახდა. ასე რომ, 44-ე წუთზე გიგიაძე **კოვპაკმა** შეცვალა. გოლი უკრაინელებმა მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მიიღეს. როგორც უკრაინული გუნდის ოფიციალური საიტი წერს, გიგიაძის დამტვრევით „ტავრიას“ ძრავა გამოურთეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კობი ადგილს არავის უთმობს

საბედნიეროდ, ჯერჯერობით არ მართლდება ჩვენი შიში - „შალკეში“ ენგელაარის მისვლით **ლევან კობიაშვილი** სათამაშო დროს დაკარგავსო, კობი სტაბილურად თამაშობს „ხუმარათა“ შემადგენლობაში. შაბათს საქველმოქმედო მატჩმა 29 ათასამდე მაყურებელი შეკრიბა, „შალკემ“ 1:0 მოუგო შოტლანდიურ „რეინჯერსს“. ამ შეხვედრაში **რუტენმა** შეუცვლელად ათამაშა ლევან კობიაშვილი. რაც შეეხება „შალკეს“ მეორე ქართველს, **ლევან ყენია** მატჩის მიწურულს, 85-ე წუთზე გამოჩნდა **ფაბიან ერნსტის** ნაცვლად. ხვალ „შალკე“ ავსტრიულ შეკრებაზე მიემგზავრება.

## არშემდგარი დუელი

გერმანული „მიუნხენ 1860-ის“ და ჩეხური "მლადა ბოლესლავის" მატჩში ამაოდ ველოდით ჩვენებურთა დუელ - გერმანელებმა კვლავ შეიკავეს თავი თამაშზე **მათე ლვინიანიძის** დაყენებისგან (რომელიც ჯერ ისევ ინდივიდუალურად ვარჯიშობს), ხოლო „მლადამ“, სავარაუდოდ სავიზო პრობლემის გამო, გიორგი განუგრავა ვერ წაიყვანა. თამაში „მიუნხენის“ გამარჯვებით, 1:0 დასრულდა.

## იაშვილის დროს უკეთესი იყო

გერმანული ბუნდესლიგის „კარლსრუემ“ მორიგი ტესტ-მატჩი გამართა. **ალექსანდრე იაშვილის** გუნდმა „ალენი“ 1:0 დაამარცხა. ამ შეხვედრაში ქართველმა ფორვარდმა პირველი ტაიმი ითამაშა, მეორეში ის **ბრედლი კარნელმა** შეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ გოლი (ავტორი **ტიმი**) მეორე ტაიმში გავიდა, საერთო შეფასებით „კარლსრუე“ უკეთ პირველ ტაიმში გამოიყურებოდა, როცა იაშვილმა თანაგუნდელები სამჯერ გაიყვანა სახიფათო პოზიციაზე.

## მეორე ტაიმი ოთარისაა

**ოთარ ხიზანეიშვილის** „აუგსბურგი“ მეორე ბუნდესლიგის სტარტისთვის ემზადება, გერმანული გუნდი „სენტ გალენს“ შეხვდა და 2:0 მოუგო. 28 წლის ქართველმა მცველმა, რომელმაც წინა ტესტ-მატჩში „აუგსბურგის“ მაისურით პირველი გოლი გაიტანა, მეორე ტაიმი ითამაშა **ბენშნაიდერის** ნაცვლად.

## ორჰუსმა დევდარიანი გაუშვა

რუსთავის „ოლიმპის“ პერსპექტიული ნახევარმცველის **დავით დევდარიანის** დანიური ოდისეა წარუმატებლად დასრულდა. სინჯებზე მყოფ დევდარიანს ამას წინათ ერთი კვირით გაუხანგრძლივეს დაკვირვების ვადა, თუმცა კვირის გასვლის შემდეგ დევდარიანი დაიწუნეს. აი, რა განუცხადა „ორჰუსის“ მწვრთნელმა **ოვე პედერსენმა** დანიურ „ბოლდს“: *„დევდარიანი სახლში გავუშვით, თუმცა, შესაძლოა, მომავალში ამ ტრანსფერს დავუბრუნდეთ. ქართველმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, უბრალოდ, დღეისათვის ის არ არის ჯერ დანიის ლიგის დონის ფეხბურთელი“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

აიაქსი

# ბერგკამპი ამსტერდამში დაბრუნდა

## ჰუნტელაარი აიაქსის ახალი კაპიტანია, ჰოლანდიელები ოლეგერს ელოდებიან

ჰოლანდიის ნაკრებისა და "არსენალის" ყოფილი ვარსკვლავი **დენის ბერგკამპი** "აიაქსის" მეორე მწვრთნელად დაინიშნა. ამიერიდან ის **მარკო ვან ბასტენის** თანაშემწე იქნება. ინფორმაცია, ბერგკამპთან კონტრაქტის გაფორმების თაობაზე "აიაქსის" პრესსამსახურმა გაავრცელა. ამსტერდამელმა გულშემატკივრებმა საყვარელი ფეხბურთელის დაბრუნების გამო დიდი კმაყოფილება გამოთქვეს.

ბერგკამპმა სახელოვანი კარიერა "აიაქსში" დაიწყო. ის გუნდში 1986 წელს, 17 წლისა მივიდა და მომდევნო შვიდი სეზონის განმავლობაში, 208 მატჩში 116 გოლი გაიტანა. 1993 წელს ბერგკამპმა "ინტერს" მიაშურა. ორი წლის შემდეგ, ის ლონდონში გაემგზავრა და "არსენალთან" გააფორმა კონტრაქტი. ბერგკამპმა "ჰაიბერიზე" 11 სეზონი გაატარა. მისი კარიერის საუკეთესო წლები "არსენალს" უკავშირდება. ლონდონელთა შემადგენლობაში ის სამჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი. დენისი "მეთოფეებს" 2006 წელს გამოეთხოვა. 11 წელიწადში მან კლუბის შემადგენლობაში 393 მატჩის ჩატარება და 106 გოლის გატანა მოასწრო.



დენის ბერგკამპი

გასულ უქმეებზე "აიაქსმა" კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, თითქოს **კლაას-იან ჰუნტელაარს** "არსენალში" უპირებდა გაყიდვას. უფრო ადრე ინგლისური სააგენტოები ავრცელებდნენ ცნობას ჰუნტელაარის "მანჩესტერ იუნაიტედში" მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ. იმისათვის, რომ სპეკულაციებს ერთხელ და სამუდამოდ დასმოდა წერტილი, "აიაქსმა" ახალგაზრდა თავდამსხმელი კაპიტნად აირჩია. კლაას-იანის გაკაპიტნება ვან ბასტენის იდეა გახლდათ. ცნობისათვის, ვან ბასტენმა ჰუნტელაარი ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანა. ფორვარდმა რუმინეთთან ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში (2:0) ერთი გოლი გაიტანა. "აიაქსის" ვიცე-კაპიტანი ჰოლანდიის ნაკრების მეორე მეკარე **მაარტენ სტეკელენბურგი** იქნება.

აქვე ერთი დასრულებული და ერთიც მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ. "აიაქსმა" "ჰერენვენის" 19 წლის ფორვარდი, **მირალემ სულეიმანი** შეიძინა. ამსტერდამელებმა 16.2 მილიონი ევრო გადაიხადეს. ჰოლანდიური სააგენტოების ცნობით, ვან ბასტენი ბარსელონელ მცველ **ოლეგერ პრესასს** ეპატიჟება. ამ ინფორმაციას "აიაქსის" გენერალური დირექტორი **დენი ბლინდიც** ადასტურებს. "ბარსელონის" თავკაცმა **პეპ გუარდიოლამ** განაცხადა, რომ დაინტერესების შემთხვევაში, ოლეგერს ხელს არ შეუშლის. გასულ სეზონში ფეხბურთელმა კატალონიელთა შემადგენლობაში 12 მატჩი ჩაატარა, აქედან შვიდი - შეცვლაზე.



დავიდ ვილია

ვალენსია. კრიზისი

# ვილია, ხოაკინი და სილვა ტრანსფერზე

## ღამურები ფინანსურ კრიზისს ვერ უმკლავდებიან

წუხელ "ვალენსიის" გულშემატკივრებს ძალიან ცუდად დაეძინებოდათ. შესაძლოა, ინჩასების ძალიან დიდმა ნაწილმა ღამე სულაც თეთრად გაათენა. პრეზიდენტის თანამდებობაზე **ხუან ვილიალონგას** მისვლის შემდეგ ითქვა, რომ "ღამურები" უმწვავეს ფინანსურ კრიზისს მცირე დროში დაძლევდნენ და წამყვან ფეხბურთელებს არ გაასხვისებდნენ. ასეთი ოპტიმიზმის იმედს ერთ-ერთი უმსხვილესი ესპანური სატელეფონო კომპანიის "ტელეფონიკის" ხელმძღვანელობის მიერ შეპირებული სოლიდური ინვესტიცია იძლეოდა.

არ ვიცით, შემდეგ რა მოხდა, მაგრამ ფაქტია, წუხელ "ვალენსიის" უმაღლესი ხელისუფალი ხუან ვილიალონგა სულ სხვანაირად აჭიკჭიკდა. მან საგანგებო პრესკონფერენციაზე პირდაპირ განაცხადა, ფინანსური პრობლემების მოგვარება იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე მე წარმომედგინაო. ამის დასტურად პრეზიდენტმა **დავიდ ვილიას, დავიდ სილვასა და ხოაკინის** გაყიდვაზე დაიწყო საუბარი. მისი აღსარებით თუ ვიმსჯელებთ, ვალენსიელებს ასეთი დონის მოთამაშეების შენახვის საშუალება არა აქვთ. ამიტომ ვილიალონგა ხსენებული სამი ფეხბურთელის გასხვისების იდეას აყენებს. წუხელ ვილიას მენეჯერმაც დაადასტურა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა მისი კლიენტის გაყიდვას აპირებს.

აქვე, ერთი შესაძლო ტრანსფერის შესახებ. "ვალენსიამ" "ესპანიოლის" მეკარე **კარლოს კამენი** ამოიღო მიზანში. "ღამურებს" მალიორკელი მიგელ **ანხელ მოიას** შეძენა სურდათ, მაგრამ ბალეარელებმა გარიგებაზე უარი განაცხადეს. "ვალენსია" ბარსელონელებს კამერუნელი გოლკიპერის სანაცვლოდ 6.3 მილიონ ევროს სთავაზობს. "ესპანიოლი" გარიგებაზე თანახმაა. მან კამენის შემცვლელიც კი დაიბევა. ესაა 22 წლის არგენტინელი გოლკიპერი **კრისტიან ალვარესი**, რომელიც ესპანეთში "როსარიო სენტრალიდან" გადავა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ტურნე

# ჩელსი დროგბას გარეშე

## ლემპარდი გუნდთანაა, ბალაკი ჩინეთში ჩავა



დიდიე დროგბა

"ჩელსი" აზიურ ტურნეში გაემგზავრა. ლონდონელები შორეულ აღმოსავლეთში **დიდიე დროგბას** გარეშე გაფრინდნენ. **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** მიმომხილველებს აუწყა, რომ ფეხბურთელის არყოფნის მიზეზი ტრავმაა. დროგბა მუხლს იმუშებს. ის ლონდონშია და ინტენსიურად მკურნალობს.

დროგბას "ჩელსიდან" აბარგებას უწინასწარმეტყველებენ. ერთი კვირის წინ, ფეხბურთელს ახალი კონტრაქტი და კვირაში 130 ათასი გირვანქა შესთავაზეს. სპეკულაციების თანახმად, აბარგების კანდიდატია **ფრენკ ლემპარდიც**. მაგრამ ის ამჯერად გუნდთან ერთად გაემგზავრა. "არისტოკრატებს" ჩინეთში შეუერთდება **მიხაელ ბალაკი**, რომელმაც საზაფხულო არდადეგები დაასრულა.

შემადგენლობის მიღმა დარჩა **კლაუდიო პისარო**. ოფიციალური ინფორმაციით, მასაც ტრავმა აქვს. არაოფიციალური ცნობებით, პისარო ახალ სამსახურს ეძებს. სკოლარის პერუელი თავდამსხმელი არ სჭირდება. "ჩელსის" ლონდონში დაბრუნებისას, პისარო შეიძლება უკვე წასული იყოს.

რაც შეეხება ტურნეს, ლონდონელ ვარსკვლავებს გადატვირთული გრაფიკი ელით. 23 ივლისს, ისინი გუანჯოუში ითამაშებენ, 26 ივლისს - მაკაუში, 29 ივლისს კი - მალაიზიაში ჩაფრინდებიან და კუალა ლუმპურში ამ ქვეყნის ვარსკვლავთა ნაკრებს შეხვდებიან. იმავე საღამოს "ჩელსი" მოსკოვში გაემგზავრება და რუსეთის რკინიგზის თასისათვის ითამაშებს. მას რუსეთის დედაქალაქში ორი შეხვედრა ელოდება.

სკოლარი: "ფეხბურთელები ოპტიმალურ ფორმაში არ არიან. ამხანაგური მატჩები იმისთვის გვჭირდება, რომ სეზონისათვის მოვემზადოთ. ეს მხოლოდ დასაწყისია. ხუთი თამაშის შემდეგ, ყველა ფეხბურთელის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მექნება. სათამაშო სქემასაც ამის შემდეგ შევარჩევთ."

დაპირისპირება

# ტოტენჰემი სერ ალექსის წინააღმდეგ

## მიზეზი, რა თქმა უნდა, ბერბატოვის ტრანსფერია

"ტოტენჰემის" თავმჯდომარემ **დანიელ ლევიმ სერ ალექს ფერგიუსონს** თვალთმაქცი ადამიანი უწოდა. ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობამ "მანჩესტერ იუნაიტედს" პრემიერლიგაში უჩივლა. "მამლები" "ეშმაკებს" **დიმიტარ ბერბატოვთან** ფარულ მოლაპარაკებებში ადანაშაულებენ. "ტოტენჰემი" "იუნაიტედის" უმკაცრესად დასჯას ითხოვს.

ლევი: *"ასეთ თვალთმაქცობას პირველად გადავაწყდი. რამდენიმე დღის წინ ფერგიუსონი აღშფოთებული საუბრობდა იმის შესახებ, თუ როგორი უღირსი მეთოდებით ცდილობს მადრიდის "რეალი" კრისტიანო რონალდოს ხელში ჩაგდებას. თვითონ კი ზუსტად ისე იქცევა, რის გამოც სხვას აკრიტიკებს. ასეთ საქციელს თვალთმაქცობა ჰქვია. "იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი თურმე დარწმუნებულია, რომ "ტოტენჰემის ფეხბურთელი მის გუნდში გადავა. ვფიქრობ, პრემიერლიგამ "იუნაიტედის" დასჯაზე უნდა იმსჯელოს."*

ლევიმ "სანის" პარასკევის ნომერში გამოქვეყნებული კომენტარი იგულისხმა. სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა, რომ ახალი სეზონიდან დიმიტარ ბერბატოვი "მანჩესტერში" ითამაშებს. მწვრთნელს არც ის დაუმალავს, რომ "ტოტენჰემს" 22 მილიონი გირვანქა შესთავაზა.

ლევი: *"იუნაიტედის" საქციელს პატიოსან თამაშთან არაფერი აქვს საერთო. მანჩესტერელებს გარკვევით ავუხსენით, რომ ბერბატოვის გაყიდვას არ ვაპირებთ. ვთხოვეთ, ფეხბურთელისაგან თავი შორს დაეჭირათ, მაგრამ მათ თხოვნა არად ჩააგდეს. გვაქვს საკმარისზე მეტი მტკიცებულება, რომ მანჩესტერის ხელმძღვანელობამ ბერბატოვთან მოლაპარაკებები ჩვენი გვერდის ავლით გამართა. ეს კი სატრანსფერო კანონმდებლობის უხეში დარღვევაა."*

სერ ალექს ფერგიუსონი "ტოტენჰემის" თავმჯდომარის ბრალდებებს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. ფერგი დანიელ ლევის ცილისწამებაში ადანაშაულებს და სასამართლოში ჩივილით ემუქრება: *"ლონდონელთა პრეტენზია ძალიან მაოცებს. მათ მთელი ბრალდება გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაზე ააგეს. მე კი წარმოდგენა არ მაქვს, საიდან მოიტანა იმ გაზეთმა ეს სიტყვები. მე ასეთი რამ არ მითქვამს. სტატია არ წამიკითხავს. ჩვენმა პრესსამსახურმა შემატყობინა, რომ ასეთი ინფორმაცია გამოქვეყნდა. დარწმუნებული ვარ, საქმეს "იუნაიტედის" იურისტები მიხედავენ და დამნაშავე საკადრისად დაისჯება."*



დიმიტარ ბერბატოვი

ინტერვიუ ჯეფერსონ ფარფანთან

# ბაიერნი ტახტიდან უნდა ჩამოვაგდოთ!

## პერუელს კობიაშვილის გვარი არასდროს დაავიწყდება



"შალკემ" ჯეფერსონ ფარფანის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო გადაიხადა. ეს სწორედ ის თავდამსხმელია, რომელსაც გელზენკირხენული კლუბის მთავარი მწვრთნელი ფრედ რუტენი გუნდის ერთ-ერთ უმთავრეს ფიგურად მიიჩნევს. როგორ მიიღეს 23 წლის პერუელი "აუფ შალკეზე", როგორ შეეგუა ის "ხუმარების" ატმოსფეროს და რა გეგმებს ისახავს ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას გუნდთან ერთად? ამ და სხვა კითხვებზე ფარფანმა გამოცემა "ბილდ ამ ზონთაგის" კორესპონდენტს უპასუხა...

**- პერ ფარფან, რამდენად კარგად გაიცანით ახალი თანაგუნდელები და როგორ შეეგუეთ "შალკეს" ატმოსფეროს?**

- ძალიან კმაყოფილი ვარ. მთელმა გუნდმა, თითოეულმა ფეხბურთელმა შესანიშნავად მიმიღო. პირველივე დღეს ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ აქ ყველა ერთ აზრზეა - პირველივე წუთს ვიგრძენი, რომ "შალკე" ერთ მუშტად შეკრული გუნდია. ჩემი აზრით, ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ახლა, სეზონის დაწყებას მოუთმენლად ველოდები.

**- "რეინჯერსთან" ტესტ-მატჩში თავი საგოლე პასით გამოიჩინეთ...**

- ეს მხოლოდ დასაწყისია. როცა კუთხურს ვაწოდებდი, სწორედ მლადენ კრსტაიჩს ვუყურებდი, რომელმაც გაიტანა კიდეც გოლი. ვარჯიშებზე კუთხურის ჩაწოდება/გათამაშების რამდენიმე ვარიანტი დავამუშავეთ და ეს სწორედ ერთ-ერთი ვარიანტი გახლდათ.

**- ბოლო ექვსი წლის განმავლობაში პერუსა თუ ჰოლანდიაში მუდმივად ჩემპიონი ხდებოდით. 50 წელიწადზე მეტია, რაც "შალკეს" გერმანიის ჩემპიონობა აღარ უზეიმია. თქვენი სახით გელზენკირხენელებმა ჩემპიონობის გარანტია იყიდეს?**

- (იცინის) კონტრაქტში ნამდვილად არ ჩაგვიწერია პუნქტი, რომ აუცილებლად ჩემპიონები უნდა გავხდეთ. მაგრამ ძალიან მინდა, რომ პირველსავე სეზონში ჩემპიონობა ვიზეიმო. "შალკეს" ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს და ჩემი აზრით, სწორედ პირველი ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

**- დარწმუნებული ხართ, რომ "შალკეს" "ბაიერნის" ტახტიდან ჩამოგდება შეუძლია?**

- მოდით, "ბაიერნის" შესახებ ბევრ ლაპარაკს ნუ მომთხოვთ. არ მინდა, რომ რეკორდმაისტერზე ვისაუბრო და მიუნხენურ გრანდს წინასწარ მუშტები მოვუღერო. ყველაფერს მოედანზე დავამტკიცებ, ყოველ შემთხვევაში, მაქსიმალურად ვეცდები, რომ დავამტკიცო. ჩვენ ვიცით, რაც შეგვიძლია და გვინდა, ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ. "შალკე" ის გუნდია, რომელმაც მხოლოდ პირველობაზე უნდა იფიქროს.

**- რამდენ გოლს გაიტანთ მომავალ სეზონში?**

- გარკვეული მიზანი დავისახე და რიცხვიც დავთქვი, მაგრამ დასახელება არ მსურს.

**- როგორ ზეიმობს ჯეფერსონ ფარფანი გატანილ გოლებს?**

- განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. ყველა გოლს ჩემს ვაჟს, ჯეფერსონ ადრიანოს ვუძღვნი ხოლმე.

**- ის ახლა თქვენს მეგობარ მელისასთან ერთად პერუშია. გენატრებათ ოჯახი?**

- ძალიან! კიდევ კარგი, რომ ყველაფერი მოგვარდა და აგვისტოში ორივე გერმანიაში იქნება. სასტუმროს ნომერი მელისასა და ჯეფერსონ ადრიანოს ფოტოებითაა სავსე.

**- ცოტა ხნის წინათ პერუს ნაკრებიდან 18 თვით მოგკვეთეს, მაგრამ მერე დისკვალიფიკაცია ისევ მოგიხსნეს. რა მოხდა?**

- როდესაც შევიტყვე, რომ 18 თვის განმავლობაში ნაკრებს ველარ დავეხმარებოდი, კინალამ დეპრესია დამეწყო, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა და ამ გადაწყვეტილებას შევეგუე. როგორც ჩანს, იმსჯელეს და მიხვდნენ, რომ ეს ჩემთვის ძალიან მძიმე სასჯელი იყო და რომ პერუს ნაკრებსაც ძალიან ვჭირდები. მიხარია, რომ ნაკრებში დამაბრუნეს.

**- მოკვეთის მიზეზი ის იყო, რომ როგორც გაირკვა, ერთ-ერთი სანაკრებო მატჩის წინ სასტუმროში უდიდესი წვეულება მოაწყვეთ, სექს-ორგიებსა და ალკოჰოლზე იყო საუბარი...**

- არ დაიჯეროთ! პერუს პრესამ, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც, ბუზისგან სპილო გამოძერწა. ყველაფერი ასე ნამდვილად არ ყოფილა. ალკოჰოლს საერთოდ არ ვეკარები. მხოლოდ ნატურალურ წვენებს გეახლებით.

**- სამხრეთ ამერიკელს რიტმი სისხლში უნდა ჰქონდეს გამჯდარი. დისკოთეკებზე სიარული და ცეკვა ძალიან გეყვარებათ...**

- პირველ ადგილზე ფეხბურთი დგას და სხვათა შორის, სამხრეთ ამერიკელებს ფეხბურთიც სისხლში გვაქვს გამჯდარი. როცა თავისუფალი დრო მაქვს, სიამოვნებით ვცეკვავ.

**- პირველივე ვარჯიშზე "შალკეს" ფანებს შეურაცხყოფა მიაყენეთ, როცა შავ-ყვითელი ფერის ბუცები ჩაიცვით. მიუხედავად იმისა, რომ ახალწვეული ხართ, ქომაგებს პატიება ძალიან გაუჭირდათ. ამბობდნენ, "შალკეში" რომ მოდიოდა, ჯერ ცნობები უნდა შეეგროვებინა და აუცილებლად გაიგებდა, რომ ეს ფერები ჩვენთან აკრძალულია, რადგან შავ-ყვითელი ჩვენი მოსისხლე მტრის, დორტმუნდის "ბორუსიის" ფერებიაო...**

- არ დაგიმალავთ, ნამდვილად არ ვიცოდი, თუ "შალკესა" და დორტმუნდის "ბორუსიას" შორის ასეთი მტრობა იყო. როდესაც მაყურებლების სტვენა გაისმა, თანაგუნდელებმა მაშინვე ამიხსნეს, ამის მიზეზი შენი ბუცებიაო.

**- ის ბუცები ალბათ, უკვე ნაგავში გადაყარეთ?**

- ჯერ არ გადამიყრია და კარგია, რომ შემახსენეთ, აუცილებლად გადავყრი.

**- მეორე ვარჯიშზე კი უკვე წითელი ბუცები გეცვათ...**

- ვიცი, ვიცი, წითელი "ბაიერნის" ფერია... მოდით, ხმამაღლა გამოვაცხადებ: ან სასწრაფოდ მომცენ ლურჯი ბუცები, ანაც მე თვითონ შევღებავ ჩემებს...

**- მარცხენა იდაყვზე სამი ვარსკვლავი გაქვთ ამოსვირინგებული. რას ნიშნავს ეს?**

- ოჯახის სიყვარულს: ერთი ვარსკვლავი ბებიაჩემია, მეორე ბაბუა, მესამე კი დედაჩემი.

**- ისინი გერმანიაში როდის ჩამოვლენ?**

- დედაჩემს გერმანიაში ჩამოსვლა და ჩემი მონახულება ძალიან უნდა, მაგრამ ეს პრობლემატურია, რადგან ფრენის ძალიან ეშინია.

**- ამთავითვე ფაქტია, რომ მომავალ სეზონში "შალკეს" ფეხბურთელებიდან ყურადღების ცენტრში პირველყოვლისა სწორედ თქვენ იქნებით და შესაბამისად, გარკვეული წნეხის ქვეშ მოექცევით...**

- ამაში გასაკვირი არაფერია. ეს ჩემი პირველი სეზონი იქნება "შალკეში" და ვიცი, რომ ფანები ჩემზე უდიდეს იმედებს ამყარებენ. აბსოლუტურად ყველა გუნდში ასე ხდება ხოლმე. ჩემი მხრიდან, თავის დაზოგვა გამორიცხულია. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მოლოდინი გავამართლო.

**- "ეინდჰოვენში" თამაშისას, "შალკესთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში 0:3 წააგეთ. გახსოვთ ის შეხვედრა?**

- სამწუხაროდ, ძალიან კარგად მახსოვს. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე გულდასაწყვეტი და შოკისმომგვრელი მატჩი, რომელშიც კი ოდესმე მონაწილეობა მიმიღია. მაგრამ მაშინ ისიც დავინახე, თუ რაოდენ ვნებიანად ქომაგობდნენ ფანები "შალკეს" და თამამად ვიტყვი, რომ ასეთი გულშემატკივრობა აქამდე არსად მინახავს. კარგად მახსოვს ლევან კობიაშვილის ჰეთ-თრიკი. მაშინ, გოლების შემდეგ, სტადიონზე მის გვარს ისე აცხადებდნენ, რომ სიტყვა "კობიაშვილი" არასდროს აღარ დამავიწყდება (იცინის).

გოტფრიდ ლენცი

ინტერტოტოს თასი

# შტუტგარტმა გერმანია შეარცხვინა!

## 0:1 რამენსკოეში, სატურნთან...

ინტერტოტოს თასის მესამე რაუნდში, გერმანიის ექსჩემპიონმა "შტუტგარტმა", პირველი მატჩი 0:1 წააგო. **არმინ ფეეს** გუნდი რამენსკოეს "სატურნთან" დამარცხდა - რუსებისგან, ერთადერთი გოლი **კირიჩენკომ** გაიტანა, რომელმაც **არტურ ბოკას** შეცდომით ისარგებლა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ შტუტგარტელები ბედნიერები უნდა იყვნენ, უფრო დიდი ანგარიშით რომ არ დამარცხდნენ. მატჩის შემდეგ შვაბთა თავკაცმა ფეემ განაცხადა კიდეც, მიხარია, რომ 0:2 ან 0:3 არ წავაგეთო.

ჰო, VFB-ს გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები აკლდნენ. გუნდის ახალი კაპიტანი **თომას ჰიტცლშპერგერი**, გოლეადორი **მარიო გომესი** და მეკარე **იენს ლემანი** ჯერ კიდევ შვებულებაში არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ "შტუტგარტი" შესუსტებული შემადგენლობით ასპარეზობდა, მაგრამ ეს ამ გუნდის მარცხს მაინც არ ამართლებს. ახლა კი დიდი შანსია, რომ ამ სამეულმა მომავალ სეზონში უეფას თასზე ვერ იასპარეზოს.

ბევრი ფიქრობდა, რომ გაჩემპიონების შემდეგ "შტუტგარტი" პროგრესს გააგრძელებდა, მაგრამ პირიქით მოხდა: ჩემპიონმა გუნდმა გასულ სეზონში მეექვსე ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგაშიც პირწმინდად შერცხვა. გუნდის ხელმძღვანელებმა ეს წარუმატებლობა გუნდის მენტალურ სისუსტეს დააბრალეს. დღესდღეობით, "შტუტგარტის" უმთავრესი პრობლემა ის გახლავთ, რომ გუნდში ძალიან ბევრი პრობლემატური ფეხბურთელია. მაგალითად, **იან შიმაკი**, რომელიც უნიჭიერეს ფეხბურთელად მიიჩნეოდა და მიიჩნევა, მაგრამ არასტაბილური ცხოვრების წესით გამოირჩევა. შიმაკი ამბობს, ალკოჰოლი და აღვირახსნილი ცხოვრება წარსულს ჩაბარდაო. ვნახოთ!

შვაბებს თავდასხმაში **დანიელ ლიუბოჯა** ჰყავთ, რომელიც ასევე არ არის "საჩუქარი". სერბს კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს გაფორმებული. ლიუბოჯა ჯერ "ჰამბურგში" იყო განათხოვრებული, მერე კი "ვოლფსბურგში", მაგრამ თავის გამოჩენა ვერსად შეძლო. "შტუტგარტი" ახლა "ტოტენჰემის" ფეხბურთელ **კევინ პრინს ბოატენგს** ეპატიჟება, რომელიც ასევე თავზეხელაღებული პიროვნებაა. არმინ ფეეს ჩელსელი **ხალიდ ბულარუზის** გადაბირებაც სურს და მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ეს უკანასკნელიც არ არის ფსიქოლოგიურად მდგრადი - ბულარუზს ხომ კანიბალს უწოდებენ. ჰოლანდიელმა VFB-ში ფერნანდო მეირა უნდა შეცვალოს, რომელიც, თითქმის გადაწყვეტილია, რომ "გალათასარაის" მიაშურებს.

გოტფრიდ ლენცი

დორტმუნდი

# ვალდესი: ჩემი დრო მოვიდა!

## კლოპსაც მისი იმედი აქვს...

2 წელიწადია, რაც პარაგვაის ნაკრების თავდამსხმელი **ნელსონ ვალდესი** "ვერდერიდან" დორტმუნდის "ბორუსიაში" გადავიდა და ამ ხნის განმავლობაში, მან ერთხელაც ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ მაღალი კლასის თავდამსხმელია. თავად განსაჯეთ, ამ ორ წელიწადში 24 წლის ვალდესმა, რომელიც BVB-ში მე-9 ნომრით თამაშობს, 54 შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ 4 (!) გოლი გაიტანა, რაც, დაგვეთანხმებით, თავდამსხმელისთვის კატასტროფული შედეგია.

პარაგვაელი ახალ სეზონს ძალიან იმედიანად უყურებს. მიუხედავად ასეთი უშედეგობისა, ნელსონი "ვესტფალენშტადიონის" პუბლიკას მაინც ძალიან უყვარს, რადგან როცა ვალდესი მოედანზეა, თავს არასდროს ზოგავს. სწორედ ამიტომ, მას ჯერ კიდევ აქვს შანსი, რომ "ბორუსიაში" გაიბრწყინოს. ვესტფალიური კლუბის ახალი დამრიგებელი **იურგენ კლოპი** მას ძალიან კარგი თვალით უყურებს და ფეხბურთელიც დარწმუნებულია, რომ მომავალი სეზონი მისი იქნება.

"დროება, როდესაც საკუთარ თავს წნეხის ქვეშ ვაქცევდი, წარსულს ჩაბარდა. ძალიან მონდომებული ვარ. შვებულებაში გახლდით, მაგრამ არ დამისვენია, ყოველდღე 8-9 კილომეტრს დავრბოდი. ძალიან მინდა, რომ დორტმუნდის ქომაგები გავახარო," - აცხადებს ფორვარდი.

"ნელსონი ყოველთვის ძალიან მოტივირებულია და ამის გამო უდიდეს პატივს ვცემ. მოსამზადებელ პერიოდში, ვარჯიშებზე ისეთი სულისკვეთებით მუშაობდა, რომ ჩემი აპლოდისმენტები დაიმსახურა," - ეს კი კლოპის სიტყვებია. ვალდესმა უკვე გაიტანა ერთი გოლი: მან "ბაზელი" (2:2 ამხანაგურ შეხვედრაში) დაამწუხრა. აქვე გეტყვით, რომ ამ შეხვედრის შემდეგ, "ბაზელისა" და BVB-ს ქომაგებს შორის შეტაკება მოხდა და რამდენიმე ფანი მძიმედ დაშავდა.

გოტფრიდ ლენცი



ნელსონ ვალდესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

# ლიპი მეტს ვეღარ მოითმენს...

## მარჩელომ ამაურის ულტიმატუმი წაუყენა. მწვრთნელი შეგირდებს მოუწოდებს: იყავით ისეთები, როგორიც რუნია

**კარვალიო ამაურის** იტალიური პასპორტი ჯერ არ აულია. მაგრამ პასპორტი არ არის მთავარი, მთავარი სურვილია. შეიძლება, სხვა ქვეყნის პასპორტი გედოს ჯიბეში, მაგრამ მაინც სამშობლოს სახელით ითამაშო. ამაურიც სწორედ ამ ორ ცეცხლშუაა. მან იცის, რომ "სკუადრა აძურაში" თამაში პრობლემა არ იქნება. თავის დროზე, მას **რობერტო დონადონიც** ინვევდა და პრინციპში, არც **მარჩელო ლიპი** იქნება უარს, რომ ნიჭიერი თავდამსხმელი იტალიის ნაკრების სამსახურში ჩააყენოს. მაგრამ "პალერმოს" ყოფილი და ან უკვე "იუვენტუსის" ფორვარდი ჯერ კიდევ ფეხს ითრევს. ეტყობა, მას არ დაუკარგავს იმედი, რომ ერთ დღესაც **კარლოს დუნგა** დაურეკავს და... მაგრამ მეორე საკითხია, რამდენხანს დარჩება მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი "პენტაკამპეონთა" თავკაცის პოსტზე, რადგან მუნდიალის შესარჩევში ულიმლამო სტარტის გამო, შეიძლება, ჩემოდნების ჩალაგება მოუწიოს...

და დროა, უკვე ლიპიმაც დაალაგოს ყველაფერი - უნდა ჰქონდეს თუ არა "სკუადრას" ტექნიკურ კომისარს (ასე უწოდებენ იტალიაში მთავარი მწვრთნელის თანამდებობას) ბრაზილიელი ფორვარდის იმედი? სიტუაციიდან გამომდინარე, მარჩელომ მოუწოდა ამაურის, რაც შეიძლება მალე მიიღოს გადაწყვეტილება.

*"არ მომწონს, როცა ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებებს შორის არჩევანს ვერ აკეთებს, და ეს ყველაფერი თვეობით გრძელდება, - ამბობს ლიპი "გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში, - ახლა, როცა ის მიიღებს გადაწყვეტილებას, თუნდაც იტალიის სასარგებლოდ, ეს აუცილებლად მეორე არჩევანი იქნება მისთვის და მე ვერ დავუშვებ, რომ იტალიის ნაკრები ვინმესთვის მეორე არჩევანი იყოს. ამაურიმ ჯერ უნდა დამარწმუნოს, რომ "აძურაში" თამაში გულით სურს. მინდა, ფეხბურთელის გადაწყვეტილება იყოს მტკიცე, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე... აქ რომ მხოლოდ იურიდიული საკითხი იყოს გადასაწყვეტი, რა თქმა უნდა, არ ვიქნებოდი იმედგაცრუებული, მაგრამ როცა საქმე პირად არჩევანზეა, აქ ბევრი ყოყმანი ჩემთვის მიუღებელია".*



მარჩელო ლიპის ამაურის ყოყმანი ყელში ამოუვიდა

ისე როგორ იქნებოდა, ლიპისთვის **ალესანდრო ნესტასა** და **ფრანჩესკო ტოტის** შესაძლო დაბრუნებაზეც არ ეკითხათ. მიუხედავად იმისა, რომ ერთსაც და მეორესაც, თავის დროზე, ჰქონდა ლოგიკური არგუმენტი, თუ რატომ ამბობდნენ უარს ნაკრებში თამაშზე, ხოლო მერე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ნესტასთვის და ტოტისთვის ეროვნული გუნდი უკვე წარსულია, იტალიური პრესა ამ თემით სპეკულირებას მაინც არ ეშვება. ლიპის პასუხი ასეთია:

*"ვურჩევდი ყველას, რომ ნაკრებიდან წასვლაზე ასეთ კატეგორიულ განცხადებას ნუ გააკეთებენ, თორემ მერე მაკელელესა და ზიდანივით მოუწევთ გადაწყვეტილების გადახედვა. ეს კი მთლად ლამაზი არ არის. ახლა, ტოტისა და ნესტას რომც უნდოდეთ დაბრუნება, ამას არ და ვერ გააკეთებენ, რადგან მათ უკვე კატეგორიულად გამორიცხეს "სკუადრა აძურაში" თამაში და თავს უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიყენებენ. ჩემთვის უფრო გასაგები იქნება, თუ ფეხბურთელი იტყვის, რომ რაღაც ეტაპზე უარს ამბობს ნაკრებში თამაშზე, ან მწვრთნელს სთხოვს, რომ დროებით თავი შეიკავოს მისი გამოძახებისგან... ეს უფრო მისაღებია ფეხბურთელისთვისაც, მწვრთნელისთვისაც და საბოლოო ჯამში გუნდისთვისაც. მე კი ახლა ოლიმპიურ თამაშებს ველოდები. კაზირაგის გუნდში ოთხიხუთი ფეხბურთელია, ვისაც ეროვნული ნაკრებისთვის მოვიაზრებ".*

ამით ლიპიმაც დაადასტურა, რომ ტოტი და ნესტა მისთვისაც წარსულია. ნაკრებს ახალი სისხლი სჭირდება. მართალია, ლიპის გვარები არ დაუკონკრეტებია, მაგრამ დიდი მიხვედრა არ სჭირდება, რომ ოლიმპიელებიდან მწვრთნელს მხედველობაში ჰყავდა **ჯუზეპე როსი, რიკარდო მონტოლივო, სებასტიან ჯოვინკო, რობერტ აკვაფრესკა** და მეკარე **ემელიანო ვივიანო**.

მოკლედ, ლიპი გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს დონადონისეულ ფორმაციაში. ერთადერთი, ვისაც ნაკრებში ადგილიც გარანტირებული აქვს და, შეიძლება ითქვას, კაპიტნის სამკლაურიც, **ჯანლუიჯი ბუფონია**. მაგრამ მარტო ბუფონი არ კმარა იმისთვის, რომ "აძურამ" ტიტულის დაცვა შეძლოს. ლიპისთვის მთავარი ფაქტორი საბრძოლო სულისკვეთებაა. ის მოუწოდებს თავის შეგირდებს, **უეინ რუნის** მიბაძონ:

*"ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია სახელები, შემადგენლობა... ეს ძირითადად პრესას და ქომაგებს აინტერესებთ, მთავარი კი ფილოსოფიაა. ეს არის, აგრეთვე, დიდი მოთამაშეების თავდადება და მოქმედება იმ მომენტში, როცა ბურთი მეტოქეს აქვს. მე მოვთხოვ ჩემს ფეხბურთელებს, იყვნენ ისეთები, როგორიც უეინ რუნია და იმოქმედონ ისე, როგორც რუნი მოქმედებს".*

მაგრამ პირველ რიგში, იტალიის ეროვნულ გუნდს ახალი მოტივაცია აქვს მოსაძებნი. "სკუადრა აძურა" მსოფლიო ჩემპიონია. ეს უმაღლესი სანაკრებო მწვერვალია, რომელზეც დიდხანს ვერ ჩერდებიან. ლიპის მიზანია, შთააგონოს ფეხბურთელებს, რომ ტიტულის დაცვაც არანაკლები მოტივაციაა. მაგრამ მთლად ახალი მოტივაციისთვის ახალი მოთამაშეებიცაა საჭირო, ანუ ის ფეხბურთელები, რომელთაც ჯერ ისევ შიმშილის პერიოდი უდგათ.

ამასობაში კი, ახლოვდება ის დღეც, როცა საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქე ლიპის ხელში პირველ მატჩს გამართავს. ხელახალი დებიუტისთვის მარჩელოც რუდუნებით ემზადება. მას აღარ სურს, განმეორდეს ოთხი წლის წინანდელი აგვისტო, როცა "სკუადრა აძურას" მთავარ სკამზე პირველივე (ამხანაგური) მატჩი ისლანდიასთან 2:0 წააგო.

20 აგვისტოს, ლიპი გუნდს ავსტრიელთა წინააღმდეგ გაიყვანს. შეხვედრა ნიცაში გაიმართება. ეს ის პერიოდია, როცა იტალიის ნაკრებს ყოველთვის უჭირს მობილიზება. შთამბეჭდავი არდადეგების შემდეგ, სამხრეთული მენტალიტეტისთვის მიწაზე დაშვება, ეტყობა, ადვილი არ არის. ამიტომ, ლიპიმ საავსტრიოდ ის ფეხბურთელები უნდა შეარჩიოს, რომელთაც იმ დროისთვის ყველაზე მეტი სათამაშო პრაქტიკა ექნებათ. ეს ფეხბურთელები ახლა "იუვენტუსსა" და "ფიორენტინაში" თამაშობენ. რაკი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი უწევთ, ტურინსა და ფლორენციაში ახალი სეზონისთვის მზადება გაცილებით ადრე დაიწყეს, ვიდრე "ინტერმა", "მილანმა" და "რომამ". ბუფონის გარდა, "იუვედან" ლიპი ალბათ **ჯორჯო კიელინის, მაურო კამორანეზის, ვინჩენცო იაკვინტასა** და **ალესანდრო დელ პიეროს** მიიწვევს, "ფიორენტინადან" კი **ალესანდრო გამბერინის, ფედერიკო ბალცარეტისა** და **ალბერტო ჯილარდინოს**.

მაგრამ, საქმე ისაა, რომ ავსტრიასთან მატჩი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ და საპასუხო თამაშებს შორისაა გაჩხერილი. ამიტომ, ლიპის **კლაუდიო რანიერისა** და **ჩეზარე პრანდელისთან** მოუწევს მოთათბირება.

---

რომა

# ბაპტიშტა, რეიესი და... უკვე მალუდაც?

### სპალეტის მანსინის ალტერნატივა სჭირდება



ფლორან მალუდა

**ამასწინათ, ფრანჩესკო ტოტიმ** "რომას" დირექტორატს მოუწოდა, მინიმუმ ორი მაღალი კლასის მოთამაშის ყიდვაზე იფიქრეთ, თორემ "ინტერთან", "მილანთან" და "იუვენტუსთან" სრულფასოვანი კონკურენცია შეუძლებელი იქნებაო. ვერ გეტყვით, ეს იყო მიზეზი თუ სხვა რამ, თუმცა ფაქტია: ბოლო პერიოდში "ჯალოროსი" სატრანსფერო ბაზარზე არნახულად აქტიურია. ტოტი იქით იყოს და, ვარსკვლავების ყიდვას ფანებიც ითხოვენ. საკუთარი ავტორიტეტის შესანარჩუნებლად კი, "რომას" მესვეურებს მართლაც მოუწევთ ჯიბეზე ხელის გაკვრა...

გარდა იმისა, რომ იგეგმება **ჟულიო ბაპტიშტასა** და **ხოსე ანტონიო რეიესის** ტრანსფერები, ახლა საუბარია **ფლორან მალუდაზეც**, რომელიც **ამანტინო მანსინის** პირდაპირი ალტერნატივაა. "კორიერე დელო სპორტი" გვარწმუნებს, რომ "ჯალოროსიმ" ფრანგი გარემარბის თაობაზე "სტემფორდ ბრიჯს" წინადადებით უკვე მიმართა კიდეც.

შეიძლება ითქვას, მალუდას გასული სეზონი ჩაუვარდა. ის ბოლომდე ვერ ჩაჯდა **ავრამ გრანტის** სქემაში. ამის ბრალი იყო ისიც, რომ "ლიონის" ყოფილმა მოთამაშემ ვერც ევროპის ჩემპიონატზე გაიბრწყინა, განსხვავებით 2006 წლის მუნდიალისგან. და თუ "ჩელსიში" დარჩა, დიდია რისკი, რომ მომავალი კამპანიის დიდ ნაწილსაც სკამზე გაატარებს. თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რა აზრისაა მასზე "არისტოკრატთა" ახალი მაესტრო **ლუიშ ფელიპე სკოლარი**. როგორც იგივე "კორიერე" წერს, "ჩელსი" უარს არ იქნება, მალუდა "რომას" არენდით დაუთმოს, ოღონდ იმ პირობით, თუ სეზონის ბოლოს იტალიური გრანდი მას გარკვეულ საფასურად გამოისყიდის. მაგრამ ესეც იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ ჩაივლის ფრანგის რომაული ცხოვრება.

საკუთარი მონაცემების ხარჯზე, მალუდას უპრობლემოდ შეუძლია მანსინის შეცვლა. შესაბამისად, **ლუჩანო სპალეტის** ფავორიტი სქემა 4-2-3-1 უცვლელი დარჩება. დიდწილად "ჩელსის" გარემარბის ტრანსფერზეა დამოკიდებული **ჟულიო ბაპტიშტას** მომავალიც. თუკი "ჯალოროსიმ" მალუდა არენდით აიყვანა, ბრაზილიელში 11 მილიონი გირვანქის გადახდა უკვე შესაძლებელი იქნება. "რეალის" ინტერესებში არ შედის, რომ ბაპტიშტა იჯარით გაუშვას.

ამას გარდა, "რომას" სატრანსფერო გურუ **დანიელე პრადე** რეიესის ფრონტზეც მუშაობს. ვერ გეტყვით, რამდენად მართალია, მაგრამ როგორც აპენინურ მედიაში დაიწერა, სინიორ პრადე უკვე მადრიდშია, სადაც "რეალის" წარმომადგენლებსაც შეხვდება და "ატლეტიკოსაც" მიაკითხავს. არ არის გამორიცხული, პრადემ ორივე ტრანსფერი გაჩარხოს. ესპანური პრესა კი დარწმუნებულია, რომ გარიგება სადღაც ერთ კვირაში მოხდება.

"როხიბლანკოს" მწვრთნელმა **ხავიერ აგირემ** 24 წლის რეიესი სკამზე გაამწესა. "ვისენტე კალდერონზე" ის 2007 წლის ივლისიდანაა, თუმც 26 მატჩში ერთი გოლის გატანაც ვერ მოახერხა. მადრიდელებმა ის 8.1 მილიონ გირვანქად იყიდეს. საინტერესოა, რომ ბაპტიშტა და რეიესი პირველად არ ხვდებიან ერთ სატრანსფერო ოპერაციაში. ასე იყო 2006/07 წლების სეზონშიც, როცა ბრაზილიელმა "რეალიდან" "არსენალს" მიაშურა, ხოლო რეიესი პირიქით, "ემირითსიდან" "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგდა...

და კიდევ ერთი ამბავი, რომელიც გუშინ გახდა ცნობილი. "ფიორენტინას" ნახევარმცველ **მარიო ალბერტო სანტანას** აგენტი **მარკო პიკოლი** აცხადებს - როგორ გინდა, "რომას" წინადადებაზე უარი თქვაო. აჰა, ესე იგი, "ჯალოროსის" გეგმაში არგენტინელიც ყოფილა. მოდით, ბოლომდე ჩავიკითხოთ პატივცემული აგენტის კომენტარი:

*"ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას გადაწყვეტს "ფიორენტინა". ვიცით, რომ ფლორენციელებისთვის სანტანა ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა, მაგრამ თუ ფეხბურთელს სურს, რომ სხვა კლუბში გადავიდეს, ის აუცილებლად მოხვდება ბაზარზე. ასე რომ, სანტანას შემთხვევაშიც, "ფიორენტინამ" ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. მაგრამ, აქ მეორე მხარეცაა: "რომას" კი მოსწონს ჩემი კლიენტი, თუმც ამ მომენტისთვის შეთავაზება არ გაკეთებულა, მხოლოდ რაღაც მოლაპარაკების მსგავსი იყო... ყოველი შემთხვევისთვის, მე ავუხსენი "რომას" წარმომადგენლებს, რომ სანტანა "ფიორენტინაშიც" კარგად გრძნობს თავს".*

გვერდი მოამზადა
**გიორგი ბელაშვილმა**

იუვენტუსი

# ვან პერსის ვარიანტი

## რანიერი გაღიზიანებულია. თეთრი და შავი მოედანზე გამოჩნდებაო...

ბოლოს და ბოლოს, დამთავრდა თუ არა "იუვენტუსის" სატრანსფერო საქმიანობა? "სინიორას" მესვეურები ირწმუნებიან, **კრისტიან პოულსენის** ყიდვით ნახევარდაცვა გავაძლიერეთ და მომავალი სეზონისთვის ეს სრულიად საკმარისიაო. თუმცა ბევრი ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ ფანდია, უფრო დიდ ოპტიმისტებს სჯერათ, რომ ტურინელი ბოსები ქომაგებს რაღაც სიურპრიზს მაინც მოუმზადებენ. ისე, ფანებმა უკვე გააპროტესტეს კლუბის ხელმძღვანელთა არცთუ ხარისხიანი საბაზრო აქტივობა და არც ის ჰგონიათ, რომ პოულსენის ტრანსფერი ამ ზაფხულის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა...

მოკლედ, ხალხი ელოდება, რომ "იუვენტუსში" უფრო ფასეული ფიგურა გამოჩნდება. სხვათა შორის, **რონალდინიოს** მილანურმა ტრანსფერმა, შეიძლება, კატალიზატორის როლი ითამაშოს და იმავე "იუვენტუსს", და რა თქმა უნდა "ინტერსაც", სწორედ ამან უბიძგოს სერიოზული გადაწყვეტილებებისკენ. "ინტერი" არ მალავს თავის მთავარ სატრანსფერო სამიზნეს. **ჟოზე მოურინიოს ფრენკ ლემპარდის** ყიდვა უნდა. არ არის გამორიცხული, თვისობრივი სიახლე იყოს თავდასხმაშიც. რაც შეეხება "იუვეს", ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს შემადგენლობა იმავე "ინტერსა" და "მილანს" სკუდეტოსთვის ბრძოლაში კონკურენციას ვერ გაუწევს. სკუდეტო კი, "როსონერის" არ იყოს, "ქალბატონისთვისაც" უპირველესი საამსეზონო ორიენტირი იქნება.

საყურადღებოა შაბათს გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს, **დავიდ ტრეზეგე** "ბარსელონაში" გადასვლის პერსპექტივას მოუხიბლავს. ამ ტრანსფერზე ბარე ორი წელია წერენ, მაგრამ კატალონიელებს გადამჭრელი ზომებისთვის ჯერ არ მიუმართავთ. **კარვალიო ამაურის** მოსვლა **კლაუდიო რანიერის** თავდასხმაში რთული არჩევანის წინაშე აყენებს. ტრეზეგე და **ალესანდრო დელ პიერო** სკამზე ჯდომას ვერ შეეგუებიან, რაც შეეხება ამაურის, რანიერის კომენტარებით ნამდვილად არ ჩანს, რომ ბრაზილიელი მეორე არჩევანია...

ამასობაში, "ნიუს ოფ ზე უორლდი" ამტკიცებს, "იუვენტუსმა" **რობინ ვან პერსის** დაადგა თვალიო. იქვე დაზუსტებულია, რომ ჰოლანდიელი ასაკოვანი **პაველ ნედვედის** შემცვლელად ესახებათ. ალბათ, ნედვედისთვის კარიერის ბოლო წელინადი დაიწყო. ამდენად, სულაც არ არის აუცილებელი, ვან პერსი ტურინში მაინცდამაინც ახლა გადაბარგდეს. შესაძლოა, "იუვე" და "არსენალი" მომავალი ზაფხულისთვის შეთანხმდნენ. ექსპერტებს კი მიაჩნიათ, რომ ტურინში ახლავე დაიწყება ზრუნვა კვალიფიციური გარემარბის შესაძენად...



რობინ ვან პერსი ევროპის ჩემპიონატზე კარგ ფორმაში იყო

24 წლის ვან პერსი "არსენალში" 2004 წელს, "ფეიენოორდიდან" 3 მილიონ გირვანქად გადავიდა. ტრავმებისადმი მიდრეკილებამ, ფეხბურთელს პოტენციალის სრულად გამოვლენაში ხელი შეუშალა. ასე იყო ბოლო სეზონშიც. მიუხედავად ამისა, ვან პერსიმ "მეთოფეთა" შორის 87 მატჩი ჩაატარა და გარემარბის კვალობაზე არცთუ ცოტა, 28 გოლი გაიტანა. მისი ლონდონური კონტრაქტი 2011 წლის ზაფხულში ინურება. გამომდინარე იქიდან, რომ ფეხბურთელი ანაზღაურებით უკმაყოფილოა, ხოლო "არსენალს" მკაცრი სახელფასო პოლიტიკა აქვს, ჰოლანდიელს პირობების გაუმჯობესების იმედი არ უნდა ჰქონდეს. და ეგებ, ვან პერსის უკვე სტანჯავს კიდეც განშორების ფიქრები...

ზემოთ რონალდინიო ვახსენეთ და, რანიერი გუშინ სწორედ ამ ტრანსფერს გამოეხმაურა. მას მიაჩნია, "მილანისა" და თავად ფეხბურთელის მიმართ აჟიოტაჟი თითიდანაა გამოწოვილი. ასე პასუხობს ის იმ სკეპტიკოსებს, რომლებიც თვლიან, რომ "იუვენტუსი" მოვლენებს ჩამორჩა:

*"მხოლოდ შედეგები გვიჩვენებს, ვინ უფრო ნაყოფიერი სატრანსფერო აქციები ჩაატარა. მესმის, რომ მომდევნო სამი თვის განმავლობაში ამ კითხვას კიდევ დამისვამენ, მაგრამ გარწმუნებთ, ჩვენ კმაყოფილნი ვართ ბოლო შენაძენებით. გუნდს ხარისხი ამ ზაფხულამდეც ჰქონდა, მაგრამ, რატომღაც, ეს ყველას დაავიწყდა. ვინ არის ძლიერი "იუვეს", "მილანსა" და "ინტერს" შორის? მოდით, ამ კითხვას, ყველამ ერთად, სეზონის ბოლოს გავცეთ პასუხი".*

**გიორგი გელაშვილი**

ლივერპული

# კინი იქნება, ბერის უნდა დაამატონ

**რაფა ბენიტესი** მზადაა, **რობი კინის** სანაცვლოდ 18 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. "ლივერპულის" თავკაცი მეორე თვეა, კვალიფიციურ თავდამსხმელს ეძებს. "მირორის" ცნობით, ირლანდიელი ვარსკვლავი მერსისაიდელებთან კონტრაქტს 48 საათის განმავლობაში გააფორმებს. მიმომხილველებს ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ კინი "ლივერპულში" ჩაირიცხება. "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობა ბიუჯეტის დაბალანსებას ცდილობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლონდონელები გაყიდიან ნებისმიერ ფეხბურთელს, რომლის სანაცვლოდ სოლიდურ თანხას შესთავაზებენ.

"ლივერპულის" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. გრძელდება მოლაპარაკებები "ასტონ ვილასთანაც". მერსისაიდელებს ბირმინგემელთა კაპიტან **გარეთ ბერის** შეძენა სურთ. "ვილა" 18 მილიონ გირვანქას ითხოვს. "ლივერპული" მხოლოდ 15 მილიონის გადახდას აპირებს. ბირმინგემელები მოლაპარაკებების შეწყვეტით დაიმუქრნენ. ბენიტესს ისღა დარჩენოდა, დირექტორებისთვის კიდევ 3 მილიონი გირვანქა ეთხოვა. "ლივერპულის" ხელმძღვანელობამ მწვრთნელს რომელიმე ფეხბურთელის გაყიდვა შესთავაზა. ბენიტესმა გადაწყვიტა, ტრანსფერზე უკრაინელი თავდამსხმელი **ანდრეი ვორონინი** დააყენოს. მას 3 მილიონად აფასებენ.

ერთი კვირის წინათ, "ლივერპულმა" კიდევ ერთი ფორვარდი გაყიდა. **პიტერ კრაუჩმა** "პორტსმუთს" მიაშურა. "წითლებმა" 11 მილიონი გირვანქა მიითვალეს. ეს თანხაც ბერის შესაძენად დაიხარჯება. ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი "ასტონ ვილაში" 1997 წლიდან თამაშობს. ის ბირმინგემელთა სიმბოლოა. "ვილა" ყველა ღონეს ხმარობს, რათა ფეხბურთელის ტრანსფერი არ დაუშვას. "ლივერპულს" კი ბერი სამკაციანი ნახევარდაცვის დასაკომპლექტებლად სჭირდება. "ენფილდზე" გადასვლის შემთხვევაში, ბერის პარტნიორები **სტივ ჯერარდი** და **ხავიერ მასკერანო** იქნებიან.

გასულ უქმეებზე "ლივერპულმა" "ნიუკასლს" ახალგაზრდა ნახევარმცველი **დენი გუტრი** მიჰყიდა. გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა. 21 წლის ფეხბურთელი "ლივერპულის" სკოლის აღზრდილია. პირველ გუნდში გადასვლის შემდეგ, მან მხოლოდ 7 მატჩი ჩაატარა. გასულ სეზონში გუტრი "ბოლტონს" ათხოვეს. "ჯორდების" თავკაც **კევინ კიგანის** ყურადღებაც სწორედ მაშინ მიიპყრო. გუტრი "ნიუკასლის" მეორე შენაძენია. ორი კვირის წინათ, კიგანმა მალიორკელი ნახევარმცველი **ხონას გუტიერესი** იყიდა.

დავუბრუნდეთ "ლივერპულს". მერსისაიდელებმა ინგლისის ნაკრების მეკარე **სკოტ კარსონი** "ვესტ ბრომვიჩში" გაყიდეს. 22 წლის ფეხბურთელმა პრემიერლიგის ახალწვეულებთან 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. "ლივერპული" 3.25 მილიონ გირვანქას მიიღებს. კარსონმა გასული სეზონი "ასტონ ვილაში" გაატარა. მას ბირმინგემელებთან ერთწლიანი საიჯარო კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული.

აქვე გეტყვით, რომ "ლივერპულმა" მორიგი ამხანაგური მატჩი სტუმრად, კრაკოვის "ვისლასთან" გამართა და მხოლოდ ფრეს (1:1) დასჯერდა.

**შალვა ბიბილაშვილი**



რობი კინი

ინტერვიუ ალეშანდრე პატოსთან

# ნამდვილი პატო ჯერ არ გინახავთ

## რონალდინიოსთან ერთად მთებს გადავაბრუნებთო...

**ალეშანდრე პატო "მილანის" მომავალი და იმედია. მან მხოლოდ იანვარში მოსინჯა ევროპული ფეხბურთის გემო და თავდამსხმელისთვის ისეთ რთულ ლიგაში, როგორიცაა სერია A, ნახევარ სეზონში 9 გოლის გატანა მოასწრო, და მეტსაც შეძლებდა, რომ არა ტრავმები...**

**მომავალი სეზონიდან კი მისთვის ახალი პერსპექტივა იხსნება. ახლა მას რონალდინიოსთან ერთადაც მოუწევს თამაში - ჯერ ოლიმპიადაზე, მერე კი ჩემპიონატსა და უეფას თასზეც. 18 წლის უნიჭიერესი ფორვარდისთვის, მომავალი კამპანია, პირველ რიგში, პროფესიონალად ჩამოყალიბების კუთხით იქნება მნიშვნელოვანი.**

**პატოს "გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტი ესაუბრა...**



ალეშანდრე პატო

**- პატო, რას ნიშნავს რონალდინიოს მოსვლა "მილანისთვის"?**

- ძალიან ბევრს. ამ გუნდით ჩვენ ყველა ტურნირის მოგება შეგვიძლია. რონალდინიოც და კაკაც "მილანისთვის" უმთავრესი ფიგურები არიან, თუმცა ისინი სხვადასხვა როლში ითამაშებენ. რონალდინიოს მოქმედების არეალი ფართოა. ის და კაკა იზრუნებენ იმაზე, რომ ბურთი მომაწოდონ, მე კი გავიტან... ადვილია, არა? ეჰ...

**- და შენთვის რას ნიშნავს რონალდინიოს გვერდით თამაში?**

- ეს უდიდესი სკოლაა. წარმოიდგინეთ, 18 წლის დამწყები ფეხბურთელი, რომელსაც კაკა და რონალდინიო ამარაგებენ პასებით... ამაზე ვერც ვიოცნებებდი. ახალგაზრდა ვარ და მინდა, რაც შეიძლება ბევრი ვისწავლო, თან ახლავე, თორემ ეს წლები თუ წყალს გავატანე, მერე გვიან იქნება. სერია A-ს ნახევარ სეზონში 9 გოლი გავიტანე. დარწმუნებული ვარ, მეტი შემიძლია, გაცილებით მეტი...

**- კარლო ანჩელოტიმ გითხრა უკვე, რომ ცენტრფორვარდად უნდა ითამაშო?**

- მზად ვარ, მწვრთნელის ნებისმიერი დავალება შევასრულო. მან უკეთ იცის, სად უნდა მათამაშოს. ვფიქრობ, ცენტრფორვადის ამპლუა ჩემთვის რთული არ უნდა იყოს.

**- ყველაზე მეტად რა გაგიჭირდა იტალიაში ჩამოსვლის პირველ დღეებში?**

- ტაქტიკური ვარჯიშები. აქ ეს უმაღლეს რანგშია აყვანილი. ბრაზილიაში ყველაფერი მარტივად იყო, გავიქცეოდი წინ და ველოდებოდი, როდის წამოვიდოდა ჩემსკენ გრძელი გადაცემა, მერე კი აუცილებლად უნდა გამეტანა. გოლები აქაც უნდა გავიტანო, მაგრამ იტალიელებს თავდამსხმელის ფუნქციები გაცილებით ფართოდ ესმით. ანჩელოტი მავალებს, გავიქცე ბურთისკენ და შემდეგ სივრცე მოვნახო... ამას შეჩვევა უნდა, მაგრამ ვგრძნობ, რომ საქმე უკვე კარგად მიდის.

**- რა მოგცა პირველმა მილანურმა სეზონმა?**

- სერიოზული გამოცდილება, მაგრამ ეს ჯერ არ არის ის, რაც საჭიროა. მე უფრო გუნდის გამო ვღელავ, ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოვხვდით და ამან ძლიერ გამაბრაზა. ჩავთვალე, რომ ამაში მეც ვიყავი დამნაშავე. ახლა, ჩემი უმთავრესი მიზანია, დავეხმარო "მილანს", რომ ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნდეს.

**- ახალ სეზონში როგორ პატოს უნდა ველოდოთ?**

- ხასიათის მხრივ ნამდვილად არ შევცვლილვარ, ისევ ის პატო ვარ, მონდომებული და მოტივირებული... თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ პროფესიული თვალსაზრისით, აშკარად გავიზარდე. ვისწავლე, თუ რას ნიშნავს იტალიურ ლიგაში თამაში და ვინც იცის, ყველა დამერწმუნება, რომ არ არის ეს ადვილი. გარანტიას ვიძლევი, რომ კიდევ მოვუმატებ. გარწმუნებთ, ნამდვილი პატო ჯერ არ გინახავთ.

**- ჩემპიონატამდე ოლიმპიადაა. რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის ეს ტურნირი?**

- გამიგია, ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირი სუსტიაო. რა თქმა უნდა, ეს არ არის მსოფლიო ჩემპიონატი, მაგრამ სადაც კი შენი ქვეყნის ღირსებას იცავ, ყველა ტურნირი მნიშვნელოვანია, თან წარმოიდგინეთ, პეკინში ხომ რონალდინიოც ითამაშებს. ბრაზილიის ნაკრებს ოლიმპიური ოქრო არასოდეს მოუგია და სწორედ ჩვენ უნდა ვიყოთ ის თაობა, ვინც ამას შეძლებს. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება.

მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**

ახალი ვარსკვლავი პრემიერლიგაში

# უბრალოდ ბოსინგვა

## რატომ დასჭირდა ლონდონურ გრანდს ძვირადღირებული მარჯვენა მცველი




ლუიშ ფელიპე სკოლარი და ჟოზე ბოსინგვა ფეხბურთელის ლონდონური პრეზენტაციისას

**პორტუგალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თავი დაგვამახსოვრეს ფეხბურთელებმაც. ამიტომ როგორც მოსალოდნელი იყო, რამდენიმე მათგანი მომავალ სეზონს ახალ კლუბში დაიწყებს. თუ დეკუსა და რიკარდი კვარეშმას სახელები დიდი ხანია, ევროპელი სკაუტების ყურადღების ცენტრშია, ჟოზე ბოსინგვას შესახებ ფართო აუდიტორია ამომწურავ ინფორმაციას არ ფლობს. ვეცდებით, ჩვენს მკითხველს ამ შესანიშნავი მარჯვენა მცველის შესახებ მცირე ინფორმაცია მივაწოდოთ.**

მაშ ასე, ჟოზე ბოსინგვა და სილვა დაიბადა 1982 წლის 24 აგვისტოს, ყოფილი ზაირის, დღეს უკვე კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ კინშასაში. პორტუგალიურად მისი გვარი ბოზინგვად იკითხება. ფეხბურთელი საკუთარ გვარს ბოსინგვად წარმოთქვამს. ასე რომ, კამათი უადგილოა - როგორც გნებავთ, ისე უწოდეთ.

ჟოზემ პროფესიული კარიერა პორტუგალიის პროვინციულ კლუბ "ფრეამუნდეში" დაიწყო. ის ქვეყნის ჩემპიონატის მეორე ლიგაში ასპარეზობს. მან "ფრეამუნდეში" 2000-01 წლების სეზონში 11 თამაში ჩაატარა და მოქმედ ჩემპიონ "ბოავიშტაში" უკრეს თავი. გუნდის თავკაცმა **ჟაიმე პაშეკუმ** ფეხბურთელი რამდენიმე პოზიციაზე მოსინჯა. ჟოზემ ცენტრალურ მცველადაც ითამაშა და შემტევ ნახევარმცველადაც. ექსპერიმენტები იმით დამთავრდა, რომ სეუ ჟაიმემ შეგირდი დაცვის მარჯვენა ფლანგზე დააყენა. ბოსინგვას ხანდახან მარჯვენა ნახევარმცველადაც ათამაშებენ ხოლმე.

2003 წელს ბოსინგვამ **ჟოზე მოურინიოს** "პორტუს" მიაშურა. ის **პაულუ ფერეირას** დუბლიორად გაამწესეს. ფეხბურთელმა სეზონის უმეტესი ნაწილი სკამზე გაატარა, მაგრამ ორ ტიტულს დაეუფლა - ქვეყნის ჩემპიონის ტიტულსა და ჩემპიონთა თასს. ლიგის მოგებისთანავე, მოურინიომ "ჩელსის" მიაშურა და პაულუ ფერეირაც ლონდონში წაიყვანა. ბოსინგვას ახალი თავკაცი ჰოლანდიელი **კო ადრიაანსე** გახდა. მის ხელში ჩვენმა გმირმა თავისუფლად მოახერხა "პორტუს" ძირითადში დამკვიდრება.

ადრიაანსეს ტაქტიკა ფეხბურთელს პოტენციალის ბოლომდე გამომჟღავნების საშუალებას ართმევდა. სამი მცველით თამაშისას, განაპირა მცველები შეტევებში იშვიათად ერთვებიან. ბოსინგვას გული წინ მიუწევდა. მის გასაჭირს მალე დაესვა წერტილი. ადრიაანსე "პორტუდან" დაითხოვეს. მისი ადგილი **ჟეზუალდომ** დაიკავა. ბოსინგვას საქმეები უკეთ წაუვიდა. **ჟეზუალდომ** დაცვა ისევ ოთხი კაცით დააკომპლექტა. ჟოზეს მიეცა უფლება, მარჯვენა ფლანგზე ბოლომდე დახარჯულიყო და საჭიროების შემთხვევაში, მეტოქისათვის შეეტია.

რაც შეეხება ეროვნულ გუნდს, ბოსინგვა პორტუგალიის ნაკრებში პირველად **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** გამოიძახა. სკოლარის მოღვაწეობისას, პორტუგალიელთა დაცვის მარჯვენა ფლანგზე სამმა ფეხბურთელმა ითამაშა. ჯერ იყო პაულუ ფერეირა, შემდეგ მიგელი. ეს უკანასკნელი კი – ძირითადი შემადგენლობიდან ბოსინგვამ ამოაგდო. სკოლარის არჩევანი სავსებით ბუნებრივი გახლდათ, რადგან ყოველი ახალი ფეხბურთელი მის წინამორბედზე უკეთ თამაშობდა. დღესდღეობით, ბოსინგვა პორტუგალიის საუკეთესო მარჯვენა მცველია.

ფეხბურთელის პლუსი საუცხოო ფიზიკური მომზადებაა. ბოსინგვა ნამდვილი ათლეტია, ფაქტობრივად, არ იღლება, ბურთთან ურთიერთობა არ უჭირს და სწრაფია. ფლანგის მცველს მეტი რაღა მოეთხოვება? ძლიერია ართმევაში და არ უჭირს მეტოქის მარწუხებში მოქცევა. გარდა ამისა, სიმაღლის წყალობით (183 სმ), თავითაც ძლიერად თამაშობს.

ჟოზე ბოსინგვას სახელს ერთი უსიამოვნო ამბავი უკავშირდება. 2005 წელს ის, მეგობარ ფეხბურთელებთან ერთად, ორხიდიანი ავტომანქანით მოძრაობდა. საჭესთან ბოსინგვა იჯდა. ჟოზე სიჩქარის გადაჭარბებით მოძრაობდა. საუბედუროდ, მანქანა ვერ დაიმორჩილა, გზიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა. ხუთი მგზავრიდან ოთხი შედარებით მსუბუქი ტრავმებით გადარჩა, ხოლო მეხუთეს, ახალგაზრდა სპორტსმენ **სანდრუ ლიიშს** ფეხი მოკვეთეს.

"ჩელსის" ბოსმა **რომან აბრამოვიჩმა** სკოლარის რჩევა გაითვალისწინა და ბოსინგვა 20.5 მილიონ ევროდ შეიძინა. იანვრის ტრანსფერებისას, ფეხბურთელს "მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟებოდა. "ეშმაკები" ფავორიტებად მიიჩნეოდნენ. **სერ ალექს ფერგიუსონი** სასურველი ფეხბურთელის ხელში ჩასაგდებად ძალღონეს არ იშურებდა. მისი ბრწყინვალე გუნდის ერთადერთი სუსტი წერტილი დაცვის მარჯვენა ფლანგია. ბოსინგვა "იუნაიტედს" საგრძნობლად გააძლიერებდა. მაგრამ "ჩელსიმ" გაიმარჯვა. ტრანსფერის ბედი სკოლარის ფაქტორმა გადაწყვიტა. ბოსინგვას ლონდონში მისი ძველი კონკურენტი, პაულუ ფერეირა დახვდა. ფერეირა თითქოს "ჩელსიდან" აბარგებას აპირებდა, მაგრამ საბოლოოდ, მანაც ახალ კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ასე რომ, ინგლისელი მიმომხილველებისათვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რაში დასჭირდათ "არისტოკრატებს" ძვირადღირებული მარჯვენა მცველი.

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

---

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რობინიო: რეალში თამაში არ მინდა

## ვის დარჩება ბრაზილიელი: ჩელსის, თუ ბარსელონას?

რაც დრო გადის, **რობინიო** მადრიდის "რეალს" უფრო და უფრო შორდება. წუხელ "დიარიო მარკას" ვებ-გვერდზე ძალიან საინტერესო სტატია გამოქვეყნდა. მადრიდულმა გაზეთმა სამეფო კლუბის ერთ-ერთი თანამშრომლისგან შეიტყო, რომ რობინიო **პრედრაგ მიატოვიჩს** დაელაპარაკა და პირდაპირ უთხრა, "რეალიდან" წასვლა მინდაო. ამ განცხადებას "ჩელსიდან" მისული ფაქსი ძალიან საეჭვოდ დაემთხვა. როგორც ჩანს, ლონდონური კლუბი რობინიოსა და გენერალური დირექტორის შეხვედრას ელოდა. მას შემდეგ, რაც ბრაზილიელმა ვარსკვლავმა მიატოვიჩს ოფიციალურად განუცხადა, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაში არ სურს, არისტოკრატებს ხელ-ფეხი გაეხსნათ. ზემოთხსენებულ ფაქსში გარკვევით ეწერა, რომ რობინიო "ჩელსის" უპირველესი სამიზნეა და ინგლისური კლუბი მის შესაძენად უკან არაფერზე დაიხევს. ლონდონელები ესპანელი კოლეგებისგან სამხრეთამერიკელი ვარსკვლავის სატრანსფერო თანხის დასახელებას ითხოვენ. მართალია, "რეალის" მესვეურებს პასუხი ჯერ არ გაუციათ, მაგრამ "დიარიო მარკასთვის" ცნობილი გახდა, რომ **რამონ კალდერონი** რობინიოს 45 მილიონ ევროდ შეაფასებს. დაგვეთანხმებით, ეს ძალიან დიდი თანხაა, თუმცა მულტიმილიარდელი **რომან აბრამოვიჩისთვის** 45 მილიონი სერიოზულ დაბრკოლებას არ წარმოადგენს. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, "ჩელსის" მთავარ მწვრთნელად ახლახან დანიშნულმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** კლუბის მფლობელს პირადად სთხოვა, რობინიო "სტემფორდ ბრიჯზე" ჩამომიყვანეო.

ამის პარალელურად რობინიოს მენეჯერი **ვაგნერ რიბეირო** ისევ "ბარსელონის" დაინტერესებაზე საუბრობს. ბრაზილიელი საფეხბურთო აგენტის თქმით, კატალონიიდან მას ფაქტობრივად ყოველდღე უკავშირდებიან და ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყებას სთავაზობენ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

---

## ინტერტოტოს თასი

### ფინალი. პირველი მატჩები

| | |
|---|---|
| ელფსბორგი (შვედეთი)-რიგა (ლატვია) | 1:0 |
| სატურნი (რუსეთი)-შტუტგარტი (გერმანია) | 1:0 |
| გრასჰოპერსი (შვეიცარია)-ჩერნომორეცი (ბულგარეთი) | 3:0 |
| ნეფთჩი (აზერბაიჯანი)-ვასლუი (რუმინეთი) | 2:1 |
| შტურმი (ავსტრია)-ჰონვედი (უნგრეთი) | 0:0 |
| ბნეი საქნინი (ისრაელი)-დეპორტივო (ესპანეთი) | 1:2 |
| რენი (საფრანგეთი)-ტავრია (უკრაინა) | 1:0 |
| ბრედა (ჰოლანდია)-როზენბორგი (ნორვეგია) | 1:0 |
| ოდენსე (დანია)- ასტონ ვილა (ინგლისი) | 2:2 |
| პანიონიოსი (საბერძნეთი)-ნაპოლი (იტალია) | 0:1 |
| სივასი (თურქეთი)-ბრაგა (პორტუგალია) | 0:2 |

*საპასუხო მატჩები 26-27 ივლისს გაიმართება*

## ავსტრია

III ტური

| | |
|---|---|
| რიდი-კაპფენბერგი | 2:1 |
| რაპიდი-აუსტრია (კ) | 1:0 |
| ლინცერი-აუსტრია (ვ) | 0:1 |
| ზალცბურგი-ალტახი | 3:0 |
| შტურმი-მატერსბურგი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 3 | 2 | 1 | 0 | 11-2 | 7 |
| 2. რიდი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| 3. ლინცერი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 4. აუსტრია (ვ) | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 5. რაპიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 6. შტურმი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 7. მატერსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-7 | 3 |
| 8. აუსტრია (კ) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 9. კაპფენბერგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 10. ალტახი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |

### II დივიზიონი

II ტური

ლუშტენაუ-ფოკლაბრუკი 2:1; ტიროლი-აუსტრია A 3:0; გრატკორნი-აუსტრია (ლ) 2:0; ლეობენი-ვინერი 0:1; ზალცბურგი A-გრიოდიგი 2:1; ადმირა-სტ. პოლტენი 2:2.

## ისლანდია

XII ტური

| | |
|---|---|
| ვალური-კეფლავიკი | 1:1 |
| ბრეიდაბლიკი-აკრანესი | 6:1 |
| ჰაფნარი-ჰკ | 4:0 |
| ფიოლნირი-თროტური | დღეს |
| ფრამი-ფილკირი | დღეს |
| გრინდავიკი-რეიკიავიკი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კეფლავიკი | 12 | 8 | 2 | 2 | 26-16 | 26 |
| 2. ჰაფნარი | 12 | 8 | 1 | 3 | 26-12 | 25 |
| 3. ფიოლნირი | 11 | 7 | 0 | 4 | 19-10 | 21 |
| 4. ბრეიდაბლიკი | 12 | 6 | 3 | 3 | 25-17 | 21 |
| 5. ვალური | 12 | 6 | 2 | 4 | 19-15 | 20 |
| 6. რეიკიავიკი | 11 | 6 | 0 | 5 | 19-13 | 18 |
| 7. ფრამი | 11 | 5 | 0 | 6 | 10-11 | 15 |
| 8. გრინდავიკი | 11 | 4 | 2 | 5 | 15-19 | 14 |
| 9. თროტური | 11 | 3 | 4 | 4 | 15-20 | 13 |
| 10. ფილკირი | 11 | 4 | 0 | 7 | 12-19 | 12 |
| 11. აკრანესი | 12 | 1 | 4 | 7 | 9-23 | 7 |
| 12. ჰკ | 12 | 1 | 2 | 9 | 12-32 | 5 |

## შვედეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| გიოტებორგი-გეფლე | 3:0 |
| ჰამარბიუ-ერებრუ | 1:0 |
| სუნდსვალი-გაისი | 1:1 |
| ტრელებორგი-ჰალმსტადი | 1:2 |
| კალმარი-მალმიო | დღეს |
| ლიუნგსკილე-აიკ | დღეს |
| ჰელსინგბორგი-იურგორდენი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კალმარი | 14 | 10 | 2 | 2 | 32-11 | 32 |
| 2. ელფსბორგი | 14 | 8 | 4 | 2 | 18-5 | 28 |
| 3. ჰამარბიუ | 15 | 8 | 4 | 3 | 23-16 | 28 |
| 4. გიოტებორგი | 15 | 7 | 5 | 3 | 23-14 | 26 |
| 5. ჰელსინგბორგ | 14 | 7 | 4 | 3 | 25-17 | 25 |
| 6. აიკ | 14 | 7 | 4 | 3 | 17-13 | 25 |
| 7. მალმიო | 14 | 5 | 6 | 3 | 20-18 | 21 |
| 8. გაის | 15 | 4 | 8 | 3 | 16-14 | 20 |
| 9. ჰალმსტადი | 15 | 5 | 5 | 5 | 19-18 | 20 |
| 10. იურგორდენი | 14 | 4 | 6 | 4 | 14-19 | 18 |
| 11. ტრელებორგ | 15 | 4 | 4 | 7 | 14-17 | 16 |
| 12. ერებრუ | 15 | 4 | 3 | 8 | 8-20 | 15 |
| 13. სუნდსვალი | 15 | 3 | 4 | 8 | 15-22 | 13 |
| 14. გეფლე | 15 | 3 | 2 | 10 | 10-22 | 11 |
| 15. ლიუნგსკილე | 14 | 3 | 1 | 10 | 11-25 | 10 |
| 16. ნორჩეპინგი | 14 | 1 | 4 | 9 | 13-27 | 7 |

### II დივიზიონი

XV ტური

სირიუსი-ატვიდაბერგი 1:1.

## ბრაზილია

XIII ტური

| | |
|---|---|
| ფლუმინენსე-ფიგეირენსე | 1:0 |
| გრემიო-კრუზეირო | 1:0 |
| იპატინგა-პორტუგეზა | 4:1 |
| ატ. პარანაენსე-ვასკო | 3:1 |
| გოიაში-პალმეირასი | 3:2 |
| ნაუტიკო-ინტერნასიონალი | 1:1 |
| სანტოსი-სპორტ რესიფე | 1:0 |
| ატ. მინეირო-კორიტიბა | გვ. დასრულდა |
| სან პაულუ-ბოტაფოგო | გვ. დასრულდა |
| ფლამენგო-ვიტორია | გვ. დასრულდა |

## აშშ

| | |
|---|---|
| ტორონტო-სან ხოსე | 0:0 |
| ნიუ იორკი-ლოს ანჯელესი | 2:2 |
| ჩიკაგო-სოლტ ლეიკი | 0:0 |
| დალასი-კოლორადო | 2:2 |

## პოლონეთი

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| ვისლა-ლეგია | 1:2 |

## ფინეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| მიუპა-ტამპერე | 1:0 |
| ლაჰტი-ჰიკ | 1:2 |
| ჰაკა-კოტეპე | 1:1 |
| ჰონკა-მარიეჰამნი | 2:0 |
| იარო-ინტერი | დღეს |
| როვანიემი-კუოპიო | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიუპა | 13 | 7 | 4 | 2 | 19-8 | 25 |
| 2. ინტერი | 12 | 6 | 6 | 0 | 20-8 | 24 |
| 3. ჰიკ | 13 | 6 | 5 | 2 | 25-12 | 23 |
| 4. ლაჰტი | 13 | 7 | 1 | 5 | 18-14 | 22 |
| 5. ჰონკა | 13 | 6 | 3 | 4 | 19-9 | 21 |
| 6. ჰაკა | 13 | 6 | 3 | 4 | 17-18 | 21 |
| 7. ვაასა | 12 | 4 | 6 | 2 | 9-6 | 18 |
| 8. ტურკუ | 12 | 5 | 2 | 5 | 16-15 | 17 |
| 9. როვანიემი | 12 | 4 | 4 | 4 | 17-16 | 16 |
| 10. ტამპერე | 13 | 3 | 5 | 5 | 17-19 | 14 |
| 11. იარო | 12 | 3 | 4 | 5 | 12-21 | 13 |
| 12. მარიეჰამნი | 13 | 3 | 3 | 7 | 12-20 | 12 |
| 13. კუოპიო | 12 | 2 | 3 | 7 | 10-21 | 9 |
| 14. კოტეპე | 13 | 0 | 3 | 10 | 7-31 | 3 |

### II დივიზიონი

XII ტური

ატლანტისი-ოულუ 1:1; იიპო-ტპვ 1:0; კპვ-კაპა 4:1; ვიფკ-პკ35 2:2; ვიიკინგიტი-იუვიასკიულა 1:1.

## ირლანდია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ბრეი-გალვეი | 0:1 |
| დერი-ბოჰემიანსი | 0:0 |
| უნივერსიტი-კობ რამბლერსი | 1:1 |
| სლაიგო-ფინ ჰარპსი | 4:1 |
| დროგედა-კორკი | 0:1 |
| სტ. პატსი-შემროკი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტ. პატსი | 18 | 12 | 4 | 2 | 32-12 | 40 |
| 2. ბოჰემიანსი | 17 | 12 | 4 | 1 | 24-7 | 40 |
| 3. კორკი | 19 | 11 | 5 | 3 | 32-15 | 38 |
| 4. დერი | 19 | 9 | 7 | 3 | 24-13 | 34 |
| 5. დროგედა | 18 | 8 | 4 | 6 | 21-13 | 28 |
| 6. სლაიგო | 19 | 7 | 7 | 5 | 25-18 | 28 |
| 7. შემროკი | 17 | 5 | 7 | 5 | 17-14 | 22 |
| 8. ბრეი | 19 | 6 | 4 | 9 | 12-27 | 22 |
| 9. უნივერსიტი | 19 | 2 | 8 | 9 | 13-24 | 14 |
| 10. ფინ ჰარპსი | 19 | 4 | 2 | 13 | 13-34 | 14 |
| 11. გალვეი | 19 | 2 | 5 | 12 | 15-30 | 11 |
| 12. კ. რამბლერსი | 19 | 2 | 5 | 12 | 9-30 | 11 |

## რუსეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 2:2 |
| ტომი-ხიმკი | 3:1 |
| ნალჩიკი-კრილია | 1:1 |
| ზენიტი-ამკარი | 2:0 |
| ლ. ენერგია-დინამო | 1:0 |
| ცსკა-მოსკოვი | 0:2 |
| ტერეკი-რუბინი | 0:0 |
| სატურნი-შინიკი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 14 | 8 | 4 | 2 | 19-11 | 28 |
| 2. ამკარი | 14 | 8 | 2 | 4 | 18-11 | 26 |
| 3. დინამო | 14 | 7 | 3 | 4 | 21-17 | 24 |
| 4. სპარტაკი | 14 | 5 | 6 | 3 | 24-23 | 21 |
| 5. ლოკომოტივი | 13 | 5 | 5 | 3 | 18-14 | 20 |
| 6. ნალჩიკი | 14 | 6 | 2 | 6 | 16-17 | 20 |
| 7. ცსკა | 13 | 5 | 4 | 4 | 19-15 | 19 |
| 8. კრილია | 14 | 4 | 7 | 3 | 18-14 | 19 |
| 9. ტომი | 14 | 5 | 3 | 6 | 14-19 | 18 |
| 10. ზენიტი | 11 | 4 | 5 | 2 | 21-13 | 17 |
| 11. ტერეკი | 13 | 5 | 2 | 6 | 12-17 | 17 |
| 12. მოსკოვი | 14 | 3 | 7 | 4 | 14-14 | 16 |
| 13. სატურნი | 13 | 3 | 5 | 5 | 11-11 | 14 |
| 14. ლ-ენერგია | 14 | 2 | 6 | 6 | 10-17 | 12 |
| 15. შინიკი | 13 | 2 | 4 | 7 | 14-20 | 10 |
| 16. ხიმკი | 14 | 1 | 5 | 8 | 18-34 | 8 |

## დანია

I ტური

| | |
|---|---|
| რანდერსი-აგფ ორჰუსი | 3:1 |
| ჰორსენსი-სონდერილი | 2:0 |
| ნორდსილანდი-ბრონდბიუ | 0:2 |
| ოლბორგი-მიდტიულანდი | 1:2 |
| კოპენჰაგენი-ესბერგი | დღეს |
| ვეილე-ოდენსე | გადაიდო |

## სლოვენია

I ტური

| | |
|---|---|
| ნაფტა-დრავა | 2:0 |
| პუბლიკუმი-რუდარი | 2:0 |
| დომჟალე-პრიმორიე | 2:0 |
| მარიბორი-კოპერი | 3:2 |
| გორიცა-ინტერბლოკი | 2:2 |

## უნგრეთი

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| დებრეცენი-მტკ | 0:0 პენ. 2:3 |

## ნორვეგია

XIV ტური

| | |
|---|---|
| მოლდე-ვოლერენგა | 5:1 |
| ლილესტრიომი-ბოდო გლიმტი | 3:0 |
| ლინი-სტრომსგოდსეტი | 3:2 |
| ტრომსიო-ჰამარი | 2:1 |
| ბრანი-ოლესუნდი | 1:2 |
| სტაბეკი-ფრედრიკსტადი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფრედრიკსტ | 13 | 8 | 2 | 3 | 23-13 | 26 |
| 2. სტაბეკი | 13 | 7 | 4 | 2 | 21-10 | 25 |
| 3. ტრომსიო | 13 | 7 | 3 | 3 | 17-9 | 24 |
| 4. ლინი | 14 | 7 | 3 | 4 | 21-15 | 24 |
| 5. ბრანი | 14 | 5 | 5 | 4 | 22-21 | 20 |
| 6. ვოლერენგა | 14 | 6 | 2 | 6 | 19-19 | 20 |
| 7. ბოდო გლიმტი | 14 | 5 | 4 | 5 | 15-20 | 19 |
| 8. როზენბორგი | 13 | 5 | 3 | 5 | 20-15 | 18 |
| 9. მოლდე | 14 | 4 | 6 | 4 | 21-17 | 18 |
| 10. ვიკინგი | 13 | 5 | 3 | 5 | 16-17 | 18 |
| 11. სტრომსგოდს | 14 | 4 | 4 | 6 | 15-20 | 16 |
| 12. ოლესუნდი | 14 | 4 | 1 | 9 | 20-30 | 13 |
| 13. ლილესტრიომ | 14 | 3 | 3 | 8 | 15-24 | 12 |
| 14. ჰამარი | 13 | 2 | 3 | 8 | 9-24 | 9 |

### II დივიზიონი

XIV ტური

ლოვ ჰამი-სიოგნდალი 0:1; ბრინიმოსი 5:5; ჰაუგესუნდი-სანდნესი 2:0; ჰიოდი-ალტა 1:2; კონგსვინგერი-ნიბერგსუნდი 0:2; ოდ გრენლანდი-ნოტოდენი 1:1; სპარტა-ჰიონეფოსი 0:1; სტარტი-სანდეფიორდი 1:2.

## შვეიცარია

I ტური

| | |
|---|---|
| იანგ ბოიზი-ბაზელი | 1:2 |
| არაუ-სიონი | 3:1 |
| ლუცერნი-ვადუცი | 1:2 |
| ქსამაქსი-ციურიხი | 1:2 |

## სლოვაკეთი

I ტური

| | |
|---|---|
| არტმედია-ტატრანი | 1:0 |
| კოშიცე-რუჟომბეროკი | 1:0 |
| სლოვანი-ბისტრიცა | 0:0 |
| ნიტრა-დ. სტრედა | 2:1 |
| ტრნავა-დუბნიცა | 2:1 |
| ჟილინა-მორავცე | დღეს |

## უკრაინა

I ტური

| | |
|---|---|
| ტავრია-დნიპრო | 0:0 |
| ხარკოვი-ვორსკლა | 0:1 |
| მეტალურგი (დ)-კარპატი | 1:0 |
| დინამო-ილიჩოვეცი | 2:0 |
| კრივბასი-მეტალურგი (ზ) | 1:0 |
| ჩერნომორეცი-არსენალი | 0:1 |
| ლვოვი-შახტარი | 2:0 |
| ზორია-მეტალისტი | 1:1 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ლონკასტერი-საუთპორტი | 1:1 |
| გრიმსბი-ოლდჰემი | 1:2 |
| ოსტენდე-პალი | 1:1 |
| კაიზერ ჩიფსი-მანჩესტერ იუნ | 1:1 |
| დენ ჰააგი-დორდრეხტი | 1:1 |
| არბროთ-სანდერლენდი | 1:3 |
| ბარნეტი-არსენალი | 1:2 |
| ბიროუკი-ალოა | 0:3 |
| ბერი-ჰადერსფილდი | 1:1 |
| კემბრიჯი-ევერტონი | 4:2 |
| ბრიუგე-რუზელარე | 2:1 |
| ფორესტ გრინი-უიკომბი | 2:0 |
| ფულჰემი-სელტიკი | 3:1 |
| გრეისი-ჯილინგემი | 1:0 |
| მილტონი-რედინგი | 1:2 |
| მორეკამბი-პრესტონი | 0:3 |
| ნიუკასლი-ჰარტლპული | 4:1 |
| პარტიკი-კარლაილი | 0:0 |
| ქუინი-ბარნსლი | 1:1 |
| რეითი-დანდი იუნ | 0:4 |
| როტერჰემი-დერბი | 0:0 |
| შალკე-რეინჯერსი | 1:0 |
| სტევენეიჯი-ქუინზ პარკი | 1:3 |
| ტამვორტი-ლესტერი | 2:0 |
| ტორკი-როვერსი | 1:1 |
| რექსემი-ბლეკპული | 0:0 |
| კიოლნი-ვესტ ბრომვიჩი | 4:1 |
| ოსერი-ჰავრი | 1:1 |
| დინამო (მ)-ლევერკუზენი | 2:2 |
| კრესტა-აინტრახტი | 0:4 |
| ლორიანი-ტრუა | 3:2 |
| რონსე-ექსელსიორი | 1:1 |
| ვალანსი-ამიენი | 0:1 |
| ვისლა-ლივერპული | 1:1 |
| ელჯინი-მოზერველი | 2:1 |
| ბორდო-მარსელი | 0:1 |
| კლერმონი-ასკ | 0:2 |
| კაიზერი-ვეენი | 1:0 |
| ნანსი-სოშო | 1:2 |
| რაპიდი (ბ)-ლიონი | 2:1 |
| სტ. ეტიენი-გრენობლი | 1:3 |
| ვატენსი-ჰამბურგი | 0:4 |
| ვარეგემი-ლილი | 0:2 |
| ტინენი-სტანდარდი | 2:1 |
| ბრეი-ლიდსი | 2:3 |
| დანდი-ვულვზი | 0:1 |
| ვერდერი-ემდენი | 2:1 |
| კარლსრუე-აალენი | 1:0 |
| მიუნხენი-ბოლესლავი | 1:0 |
| ნიურნბერგი-ბირმინგემი | 1:2 |
| ბოხუმი-პორტო | 1:1 |
| სტ. გალენი-აუგსბურგი | 2:0 |
| სპორტინგი-სანდერლენდი | 1:3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო წარმოგიდგენთ

## საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე

### ბარსელონა. XXV ოლიმპიადა

# გაერთიანებულ გუნდში



ლერი ხაბელოვი



კახი კახიაშვილი



დავით ხახალეიშვილი




გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან რა პროცესებიც დაიწყო საქართველოში, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მეტმა ნაწილმა თავად ნახა და განიცადა, ნაწილმაც გადმოცემით და უკვე ისტორიად ქცეული წყაროებიდან იცის. სპორტსაც, ბუნებრივია, შეეხო ნგრევა და ამავდროულად სწრაფვა პროგრესისკენ. ქართულმა სპორტმა იმთავითვე დაისახა მიზნად, თავისი წვლილი შეეტანა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამოცანა შესრულდა წარმატებით. მთავარი ის იყო, რომ 1989 წელს, ჯერ კიდევ გაგანია საბჭოთა ხელისუფლების წლებში, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან პირველებმა საქართველოში ავიმაღლეთ ხმა სპორტის დამოუკიდებლობისთვის და პრაქტიკული ნაბიჯებიც თამამად გადაიდგა. გვეამაყება, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების ჯერ საორგანიზაციო ჯგუფი და შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტი, სწორედ "ლელოს" რედაქციაში, ლელოელების მონაწილეობით ჩამოყალიბდა და ერთხანს, უკვე დაფუძნებულმა ორგანიზაციამ, ჩვენი რედაქციის კედლებში იმუშავა.

ფაქტია, რომ საქართველომ პირველმა მოითხოვა მიეღო ბარსელონაში, 25-ე ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებლად მონაწილეობის უფლება. მაშინ ეს არ გამოვიდა, მაგრამ იმას მაინც მივაღწიეთ (სხვებისთვისაც), რომ ბარსელონაში, ჩვენი ეროვნული დროშით გავიდოდით ალლუმზე, ჩვენი დროშა აფრიალდებოდა და ჩვენი ჰიმნი აჟღერდებოდა გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალზე, სპორტსმენის გვარის გასწვრივ კი მისი ქვეყანაც დაიწერებოდა.

საბჭოთა კავშირის სახელით სპორტული დელეგაცია აღარ გამოსულა ამ ოლიმპიადაზე. ახლა მას "გაერთიანებული გუნდი" ერქვა და პირველი მონაპოვარი ის შეღავათი იყო, რის შესახებაც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ.

შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო პოლიტიკაში არსებული დაძაბულობის ფონზე ბარსელონაში ოლიმპიადა მაინც ჩვეულ ატმოსფეროსა და რიტმს დაუბრუნდა. თამაშებში ამჯერად 172 ქვეყნის 9368 სპორტსმენი მონაწილეობდა. აქედან ქალი იყო 2726. "გაერთიანებულ გუნდში" საქართველოდან 12 მონაწილე იყო, მათგან 3 - ქალი. ჩვენებმა მოიპოვეს ოქროს 3 და ბრინჯაოს 5 მედალი.

ამ ოლიმპიადაზე ქართული დროშა პირველად ძიუდოში **დავით ხახალეიშვილის** წარმატების აღსანიშნავად აღიმართა. ოლიმპიური ოქროს მედალი პირველად აქ მოიპოვა ცხინვალელმა ძალოსანმა **კახი კახიაშვილმა**, კიდევ ერთი ოქროს ჯილდო კი **ლერი ხაბელოვს** ხვდა წილად თავისუფალ ჭიდაობაში. მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ: **გიორგი კოლუაშვილი** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **დავით გობეჯიშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა), **რამაზ ფალიანი** (კრივი), **ლეილა მესხი** (ჩოგბურთი) და **ხათუნა ქვრივიშვილი** (მშვილდოსნობა); **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა) V და X ადგილზე გავიდა, **გურამ ბიგნიშვილი** (აფროსნობა) მერვე იყო, **გიორგი ჩოგვაძე** (წყალში ტომა) - მეთექვსმეტე, **ოლეგ სტრიჟაკოვი** (მძლეოსნობა), კვალიფიკაციიდან გამოეთიშა ასპარეზობას.

ამ თამაშებზე აშშ-მა კვლავ დაიბრუნა მეორე პოზიცია, პირველ ადგილზე "გაერთიანებული გუნდი" გავიდა, მესამაზე - უკვე ერთ ქვეყანად და ერთ გუნდად გაერთიანებული გერმანია. სულ მედალი 64-მა ქვეყანამ დაიმსახურა: ოქროსი - 37-მა, ვერცხლის - 45-მა, ბრინჯაოსი - 53-მა. საქართველო თავისი მონაგარით (მედლების საერთო რაოდენობა) 23-ე ადგილს გაიყოფდა.

პირველი სამეულის საერთო შედეგები ასე გამოიყურება:

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| გაერთიან. გუნდი | 45 | 38 | 29 | 112 |
| აშშ | 37 | 34 | 37 | 108 |
| გერმანია | 33 | 21 | 28 | 82 |

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

### პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი. ირაკლი ცირეკიძე, ძიუდო

# 18 წლის შემდეგ გატეხილი ნავსი

ათენის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული **ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაური)** რიო-დე-ჟანეიროს მსოფლიო ჩემპიონატზე გადამწყვეტი ორთაბრძოლის წინ ვერ იყო კარგ ხასიათზე. ფინალში მეტოქედ, ალბათ, ნებისმიერ მოჭიდავეს ინატრებდა, ოღონდ **ირაკლი ცირეკიძეს** - არა, რომელთანაც 2007 წლის საერთაშორისო ტურნირებზე ორჯერ წააგო. ჯარჯი არც ცრუმორწმუნეა და არც ჯაბანი, რომ ვინმესი შეეშინდეს. თავად მინახავს ათენის ოლიმპიურ ტატამზე ჭაბუკი ფალავანი როგორ ვეფხვივით ებრძოდა გამოცდილ მეტოქეებს, როგორ დაამარცხა ყველა კონკურენტი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. იგი ხომ ქართული საჭიდაო სკოლის აღზრდილია, თუმცა ჩვენს ბიჭებთან გამკლავება უჭირს. ამიტომაც არ სურდა, ალბათ, ცირეკიძესთან დაპირისპირება. არადა, ფორტუნამ კვლავ შეახვედრა ისინი ერთმანეთს. **ომარ მერაბიშვილის** (იგი ვერ მოესწრო შეგირდის წარმატებებს - შარშან გაზაფხულზე მოულოდნელად გარდაიცვალა) აღზრდილმა ისევ აჯობა ქართველ მამლუქს და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მერე ძიუდოში პირველი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

18 წელიწადი ველოდით ამ დღეს. მას შემდეგ, რაც 1989 წელს ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატზე **ამირან ტოტიკაშვილმა** და **კობა კურტანიძემ** ოქროს მედლები მოიპოვეს, ჩვენმა ძიუდოისტებმა ამ რანგის შეჯიბრებებზე ვერა და ვერ შეძლეს პირველი ადგილის დაკავება - ყოველთვის სულ რაღაც აკლდებოდათ. 1995 წელს გორელმა **გიორგი ვაზაგაშვილმა** მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა. ასევე, მეორე იყო საგარეჯოელი **გიორგი რევაზიშვილი** (1997 წ.); ზედიზედ ორჯერ (1999, 2001 წ.წ.) მოეცარა ხელი ფინალში **ზურაბ ზვიადაურს**, რომელიც 2004 წელს ათენში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. რიონისპირელი ჭაბუკის ვარსკვლავი რიო-დე-ჟანეიროში ამობრწყინდა. ოქროს მედალთან ერთად მან პეკინის ოლიმპიადის საგზურიც დაიმსახურა.

- ევროპის ჩემპიონატის შედეგებით გათამამებული ბრაზილიაშიც წარმატებით გამოსვლას ვგეგმავდი, მაგრამ მთლად "ოქრო" თუ იქნებოდა, არ მეგონა, - მითხრა სამშობლოში დაბრუნებულმა ირაკლიმ.

ეს სიტყვები ზედმეტი მოკრძალებისა და თავმდაბლობის მაჩვენებელი როდია. ეს არის რეალობა, სინამდვილის ობიექტური შეფასება. მართლაც, ცირეკიძის წონაში (90 კგ.) ჭიდაობდნენ ილიადისი, **იზუმი, პერშინი** და სხვა სახელოვანი ფალავნები. რიო-დე-ჟანეიროში ცირეკიძემ ზედიზედ დაამარცხა პოლონელი ევროპის პრიზიორი **კშიშტოფ ვეგლარცი**, კორეელი **სუნ ჰო ჩოი**, მონგოლი **ერდენე არიუნი**, აზერბაიჯანელი **ელხან მამადოვი**. ნახევარფინალში იტალიელი **რობერტო მელონი** ელოდა, რომელსაც კონტინენტის პირველობაზე დააყრევინა ფარ-ხმალი, ევროპელი ძიუდოისტი ოკეანის გაღმა უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდა. მეოთხედფინალში მან ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის, იაპონელი ჰიროში იზუმის მძლეველ რუს ევროპის ჩემპიონ ივან პერშინს მოუგო. რევანშის წყურვილით გულანთებული გავიდა ტატამზე ცირეკიძესთან საჭიდაოდაც, მაგრამ მალევე თავჩაქინდრულმა დატოვა სარბიელი. მერე იყო ქართველისთვის ფინალური პაექრობა და ნანატრ "ოქროსთან" ერთად პეკინის ოლიმპიადის საგზური.

საამისოდ შინაგანად მზად იყო ირაკლი, უფრო სწორად - მოწყურებულიც, რადგან ევროპის ჩემპიონატზე ვერ აისრულა ნადილი, არადა, ჯიქურ მიიწევდა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ. "ბებერი კონტინენტის" დალაშქვრის წინა ორმა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა. მწვრთნელები მესამედაც ენდნენ რიონისპირელ ჭაბუკს და არც შემცდარან. ქართველი ფალავანი იოლად გაუსწორდა ხორვატ **ტომისლავ ვუჩეკს**, თურქ **ბურჰან ქოჯანს**, იტალიელ რობერტო მელონის, ესპანელ ევროპის ჩემპიონ **დავიდ ალარსას** და მწვერვალამდე მხოლოდ ერთი ბარიერი რჩებოდა. სწორედ ის ვერ გადალახა.

ორგზის ევროპის ჩემპიონი **ვალენტინ გრეკოვი** 2006 წელს ამერიკის ღია პირველობაზე დოპინგის მიღების გამო "ჩავარდა". უკრაინელს ერთწლიანი "შვებულებაც" გამოუწერეს. დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ იგი ტატამს დაუბრუნდა.

ფრთხილი მოჭიდავეა გრეკოვი, მომენტს ელოდება და მეტოქეს შეცდომას არ აპატიებს. ფინალური პაექრობისას ერთ-ერთ მომენტში კოკა აართვა ცირეკიძეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმდენი იაქტიურა, რომ მსაჯებს უკრაინელი გააფრთხილებინა. დამატებით დროში გრეკოვმა იყოჩაღა და მომგებიანი ქულის წყალობით ოქროს მედალი მესამედ დაიმსახურა. ქუთაისელი ძიუდოისტი "ვერცხლს" დასჯერდა.

წლევანდელი ორთაბრძოლებისთვისაც სათანადოდ მოემზადა ირაკლი, რამდენიმე შეჯიბრებაშიც გამოსცადა მკლავისა და მუხლის ძალა, მათ შორის - ლისაბონში ევროპის ჩემპიონატზე. შედარებით გამოუცდელებს - ლიხტენშტაინელ **მირკო კაიზერსა** და უკრაინელ **დმიტრი მარკოვს** სუფთად მოუგო. მესამე წრეში ფრანგი **მეტიუ დეფრევილი** დაიფრინა, მაგრამ ნახევარფინალში ელხან მამადოვთან დამარცხდა. მართალია, აზერბაიჯანელი კარგი მოჭიდავეა, მაგრამ არც ისეთი ძლიერი, რომ ცირეკიძეს მისი ძლევა გასჭირვებოდა, მით უმეტეს, რომ შარშან ორჯერ აჯობა. ეტყობა, ჩვენი მეზობელი აღმავლობას განიცდის, თუმცა, ცირეკიძეც რომ არ მოიკოჭლებს ოსტატობაში, ეს მესამე ადგილისთვის მელონთან პაექრობისას გამოჩნდა. ჩვენებურმა თითო ვაზარი და იუკო აართვა მეტოქეს და ეს მერამდენედ დატოვა განბილებული. თავად კი კოლექცია "ბრინჯაოთი" გაიმდიდრა.

- ბედნიერი ვარ, რომ ზედიზედ სამ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე ჯილდოები მოვიპოვე, - მითხრა ირაკლიმ. - ენით აუწერელი გრძნობა დამეუფლა რიო-დე-ჟანეიროში, როცა კვარცხლბეკზე მდგარი ჩემი ქვეყნის ეროვნულ ჰიმნს ვისმენდი. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ამგვარი წუთები ჩინეთის დედაქალაქშიც განვიცადო.

- ირაკლი ცირეკიძე შრომისმოყვარე, მიზანმიმართული სპორტსმენია, - მითხრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **შოთა ხაბარელმა**. - წლის დასაწყისში მასთან გარკვეული პრეტენზიები მქონდა მომზადებასთან დაკავშირებით. ახლა კი ყველაფერი რიგზეა. მიკერძოებული მსაჯობა რომ არა, ევროპის ჩემპიონატზე მას უკეთესი შედეგის მიღწევა შეეძლო. აზერბაიჯანელთან შეხვედრისას ირაკლი თავიდანვე დაწინაურდა. მამადოვის ერთ-ერთი გდება არბიტრმა იუკოს ნაცვლად ვაზარით შეაფასა. ამან მდგომარეობიდან გამოიყვანა ჩვენი სპორტსმენი და ის პაექრობაც დათმო. ეს წაგება ტრაგედია არ არის, შესაძლოა, მან დადებითად იმოქმედოს ცირეკიძეზე - ოლიმპიურ ტატამზე უფრო ფრთხილად იქნება და წაგებული შეხვედრის შემობრუნებაც უნდა ისწავლოს. ქართველ ძიუდოისტს ყველა მონაცემი აქვს საამისოდ, რომ პეკინში ოლიმპიური კვარცხლბეკიც მოსინჯოს. იმედია, ასეც იქნება.



ირაკლი ცირეკიძე

**ვაჟა დანელია**

## ოლიმპიური ვიქტორინა

### ეძღვნება თანამედროვე ოლიმპიური თამაშების 100 წლისთავს

1. სად და რომელ წელს ჩატარდა თანამედროვეობის 26-ე, საიუბილეო ოლიმპიური თამაშები?

ა - სიდნეიში 2000 წელს
ბ - ათენში, 2004 წელს
გ - ატლანტაში, 1996 წელს

2. რა სტატუსით გამოვიდა საქართველო 26-ე ოლიმპიადაზე?

ა - დამოუკიდებელი ქვეყნის
ბ - დსთ-ს გაერთიანებულ გუნდში
გ - საბჭ. კავშირის დელეგაციაში

3. რამდენი სპორტსმენით მონაწილეობდა საქართველო საიუბილეო ოლიმპიადაში?

ა - 16
ბ - 24
გ - 36

4. ხსენებულ თამაშებში ვინ მოუტანა პირველი მედალი საქართველოს?

ა - ელდარ კურტანიძემ
ბ - ნინო სალუქვაძემ
გ - სოსო ლიპარტელიანმა

5. სულ რამდენი მედალი მოიპოვეს საქართველოს სპორტსმენებმა 26-ე საიუბილეო თამაშებში?

ა - 2
ბ - 4
გ - 6

*პასუხებს გაეცნობით რუბრიკის მორიგი გამოშვების მასალებში.*

რაგბი. საქართველოს თასი

# ლელო ნახევარფინალშია



ნუგზარ სუარიძის ფოტო

**დინამო–ლელო 20:21**

დინამო (15-9) შუბითიძე, ჯეირანაშვილი, გრუდკო, ღირსიაშვილი, აგიაშვილი, ავლოხაშვილი, რამიშვილი; (1-8) ონიანი (ბერიძე (53), გაგნიძე, შანშიაშვილი (მაჭარაშვილი 48), ნანიევი, ხორბალაძე, ცხადაძე, ხვიჩია, აზალაძე

*2 ლ (ცხადაძე, რამიშვილი); 2 გ, 2 ს (ავლოხაშვილი)*

სინბინი (მაჭარაშვილი, ჯეირანაშვილი)

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ჯოგლიძე, თოდუა, მანჯავიძე (ლომინაძე 60), ცერცვაძე, ხმალაძე, ჭინჭარაული; (1-8) სხილაძე (ცხოვრებაშვილი 56), სუჯაშვილი, მენაბდიშვილი, ჩხეიძე, ვ. მაისურაძე, ი. მაისურაძე, ქიზიყურაშვილი (ჯალაღონია 55), ახალაია

*2 ლ (ცერცვაძე, ხმალაძე); 3 ს, გ (ჯოგლიძე)*

სინბინი (ჩხეიძე)

გაძევება (ი. მაისურაძე)

მსაჯი: მ. ჩაჩუა

საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალურ შეხვედრაში "ლელომ" მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მეტოქე, ისევე როგორც ჩემპიონატის მორიგ ტურში ერთი კვირის წინათ, "დინამო" იყო. მატჩი მინიმალური სხვაობით 21:20 "ლელოს" სასარგებლოდ დამთავრდა.

სათასო შეხვედრა ჩემპიონატისაზე უფრო საინტერესო და დაძაბული გამოდგა. "ლელოს" შემადგენლობაში შვიდკაცა ნაკრებიდან **ლაშა ხმალაძე** და **ალექსანდრე თოდუა** დაბრუნდნენ, ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდნენ ტრავმა მოშუშებულები **ილია მაისურაძე** და **ლაშა ახალაია.**

"ლელომ" თავიდანვე ისეთი ცეცხლი დაანთო, რომ მეტოქეს კარგს ვერაფერს უქადდა. შედეგად დასაწყისშივე, მესამე წუთზე პირველი ლელოც მიითვალა. "დინამოს" ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში "ლელოს" სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა. რვა ნომერმა ლაშა ახალაიამ იქიდან ხაზის გაჭრა სცადა, მერე ცხრა ნომერს **გიორგი ჭინჭარაულს** გადააწოდა, რომელმაც მარცხნივ მოკლე ფრთაზე ლაშა ხმალაძეს გაატანა, ამან მოწინაალმდეგის ხაზი გაჭრა და თითქმის ლელოში შესულმა გარემარბ **თორნიკე ცერცვაძეს** შიგნით შემოუბრუნა, ამ უკანასკნელს წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია. **გოდერძი ჯოგლიძემ** გარდასახვა ვერ გაიტანა, 5:0.

"დინამოს" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გონს დროულად მოეგნენ, ნელ-ნელა თამაშის გათანაბრებაც შეძლეს და პირველი ტაიმის მოგებაც. მე-12 წუთზე **ლადო ავლოხაშვილმა** საჯარიმოდან ანგარიში ორ ქულამდე შეამცირა 3:5, თუმცა 12 წუთში ჯოგლიძემ ასევე საჯარიმოდან თანაფარდობა ისევ აღადგინა 8:3.

ტაიმის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე კი "დინამომ", რომელიც დერეფანსა და შერკინებაში აშკარად ჯაბნიდა მეტოქეს, უპირატესობა ლელოდ აქცია. დინამოელებმა ხუთმეტრიანი დერეფანი სუფთად მოიგეს, მოლი შეკრეს და ჩათვლის მოედნამდე იოლად მიაღწიეს. ბოლოს ბურთით მესამეხაზელი **მამუკა ცხადაძე** იყო, ავლოხაშვილმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა 10:8.

მეორე ტაიმში ანგარიშში ისევ დასაწინაურებლად "ლელოს" ათწუთიანი გარჯა დასჭირდა. საჯარიმოდან ისევ ჯოგლიძემ იყოჩაღა 11:10, თუმცა 9 წუთში ავლოხაშვილმა ისევ "დინამოს" უპირატესობა დააფიქსირა 13:11, რის შემდეგაც თამაშში ერთგვარმა "სიმშვიდემ" დაისადგურა, რომელიც შეხვედრის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე დაირღვა.

ლაშა ხმალაძემ ბურთი საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონის ხაზთან მიიღო. ფეხით მარცხნივ მოკლე ფრთაზე გადაკიდა და მიჰყვა. თუმცა პირველი ბურთთან გარემარბი თორნიკე ცერცვაძე გაჩნდა. იქვე ლაშას შიგნით შემოუბრუნა, რომელიც ორ მოწინააღმდეგეს შორის გაიჭრა. თითქმის ორმოცი მეტრი ირბინა და ლელო ძელებს შუა გაიტანა. ჯოგლიძეს გარდასახვა არ გასჭირვებია 18:13. ხუთ წუთში მანვე საჯარიმო 40 მეტრიდან გაიტანა და ლელო რვა ქულით 21:13 დააწინაურა.

დარჩენილ ორ წუთში 8 ქულის გაბათილება ურთულესი საქმე იყო, თუმცა "დინამომ" ცდა არ დააკლო და 7 მაინც გააბათილა. მატჩის ბოლო წამებზე "ლელოს" ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში დანიშნული საჯარიმო **ლევან რამიშვილმა** სწრაფად გაათამაშა, თვითონვე შეუტია და ლელომდე შეაღწია. ავლოხაშვილმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა და არბიტრმაც მატჩის დასრულების ნიშანი მისცა. 20:21.

ნახევარფინალში "ლელოს" მეტოქე "ლოკომოტივი" იქნება. კიდევ ერთ მეოთხედფინალურ წყვილში, "აკადემიასა"და ყოჩებს" შორის გამარჯვებული პირდაპირ ფინალში გადის, ვინაიდან "არმაზი" და "უნივერსიტეტი" გათამაშებიდან მოიხსნა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**საქართველოს ჩემპიონატი**

**VIII ტური**

| | |
|---|---|
| აია-ლოკომოტივი | 6:23 |
| აკადემია-ყოჩები | 27:10 |
| არმაზი-უნივერსიტეტი | 19:22 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 7 | 6 | 0 | 1 | +95 | 12 |
| 2. ლელო | 8 | 6 | 0 | 2 | +8 | 12 |
| 3. უნივერსიტეტი | 8 | 4 | 1 | 3 | -12 | 9 |
| 4. აკადემია | 7 | 4 | 0 | 3 | +11 | 8 |
| 5. ყოჩები | 7 | 4 | 0 | 3 | +23 | 8 |
| 6. აია | 8 | 3 | 1 | 4 | -25 | 7 |
| 7. დინამო | 7 | 1 | 0 | 6 | -34 | 2 |
| 8. არმაზი | 8 | 1 | 0 | 7 | -66 | 2 |

## ბორჯღალოსნები ავსტრალიაში

საქართველოს ნაკრები მომავალი წლის ზაფხულში, პირველად ქართული რაგბის ისტორიაში, ავსტრალიურ ტურნეს გამართავს. ბორჯღალოსანთა თავკაცი **ტიმ ლეინი** ამჟამად ავსტრალიაში იმყოფება და უკვე გდაწყვეტილია, რომ ჩვენი მორაგბეები მწვანე კონტინენტზე სამ შეხვედრას გამართავენ: "ვესტერნ პროვანსთან", "ქვიზლენდ რედზთან" და ავსტრალიის A ნაკრებთან.

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# გეორ-გია მარსელს გამოემშვიდობა

მარსელში მიმდინარე მსოფლიო ტურის ეტაპი პლაჟბურთის ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ** მე-9 ადგილზე დაასრულა. ამისთვის ჩვენს ფრენბურთელებს ჯილდოდ 240 სარეიტინგო ქულა და 5 500 ამერიკული დოლარი ერგოთ.

მეორე შეხვედრა გეორ-გიამ ბრაზილიურ დუეტთან **ბრუნოსთან** და **მასიელთან** წააგეს. შეხვედრა საათსა და ხუთ წუთს გაგრძელდა. პირველი სეტი ბრაზილიელებმა 22:20 მოიგეს. მეორეში გეორ-გიამ ასევე უკომპრომისო ბრძოლაში რევანში აიღო 23:21. თუმცა საბოლოო გამარჯვების მისაღწევად ძალა აღარ ეყო და მესამე სეტში 12:15 დამარცხდა.

ახლა გეორ-გია და **საქა-რთველო** შვეიცარიის საკურორტო ქალაქ გშტაადში გადაინაცვლებენ, სადაც მორიგ ეტაპზე ასპარეზობა უკვე უშუალოდ პეკინის ოლიმპიადისთვის სამზადისი იქნება. აქვე გაიმართება კენჭისყრა, რომელიც ოლიმპიადაზე, ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი ფრენბურთელების მეტოქეებს გაარკვევს.

**ბესიკ ჯანგავაძე**




გეორ-გია

სუმო. ივლისის ბაშო

# უჩვეულო სანახაობა ნაგოიაში: ლევანი ლევანის წინააღმდეგ

პირველად სპორტის ამ სახეობის ისტორიაში, პროფესიული სუმოს რინგზე, დოჰიოზე ერთმანეთის პირისპირ ქართველები წარდგნენ, თანაც ეს უმაღლეს დონეზე მოხდა – 27 წლის **ლევან ცაგურია (კოკაი)** 20 წლის **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)** დაუპირისპირდა. სხვათა შორის, ეს ორთაბრძოლა ლამის ყველაზე დაძაბული გამოდგა ნაგოიას ბაშოს მერვე დღეს და საკმაო ხანს გაგრძელდა. უფრო გამოცდილმა მეტოქეს ჭიდაობის თავისი სტილი მოახვია თავს, გორგაძე უკანასკნელი ძალებით ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ ცაგურიამ საქმე ბოლომდე მიიყვანა, თანამემამულე დოჰიოდან გაიყვანა. კოკაიმ შეძლო ტოჩინოშინის დამარცხება და ბაშოზე მდგომარეობის ოდნავ გამოსწორება, ტოჩინოშინმა კი ამით საჩემპიონო შანსები დაკარგა.



კოკაი

მანამდე, შაბათს, ორივე ჩვენებური დამარცხდა – კოკაიმ მეხუთე წაგება მე-6 მაეგაშირა **ჰომაშოსგან** ინვნია, ხოლო ტოჩინოშინმა ბაშოზე მეორედ წააგო, ექსსეკივაკე **ტამანოშიმასთან.** ქართველთა ორთაბრძოლის შემდეგ კი ტოჩინოშინს 5-3 ბალანსი აქვს, კოკაის – 3-5. დღეს კოკაი მე-14 მაეგაშირა **ტოსანოუმის (5-3)** შეხვდება. ტოჩინოშინი კი მე-13 მაეგაშირა **ტოიოჰიბიკის** (5-3) დაეჭიდება. ტოიოჰიბიკი 171 კილოგრამს იწონის, ტოსანოუმი კი 36 წლის ექსსეკივაკეა.

მესამე დივიზიონში (მაკუშიტა) საქმე კარგად მისდის **თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ)**, ქართველი დივიზიონიდან გავარდნის საფრთხის წინაშე იდგა და მას აუცილებლად სჭირდება დადებითი ბალანსი, რომლის დაბევებამდეც გაგამარუს ერთი მოგებაღა აშორებდა. გუშინ, მან ჰატაკიკომით **ჰოკუტოიავას** აჯობა და ბალანსი 3-1 გაუხდა. შეგახსენებთ, რომ მესამე დივიზიონში ბაშო 7-ტურიანია (ელიტაში ბაშო 15-დღიანია).

ნაგოიას ბაშოს დაუმარცხებლად ლიდერობს დიდი ჩემპიონი (იოკოძუნა) **ჰაკუჰო**, მონღოლს კვალში ორი სახელოვანი რიკიში მიყვება, ჩემპიონი **კოტომიცუკი** და სეკივაკე **ამა.** 6-6 მოგებაც მხოლოდ ორ სუმოისტს აქვს, მძიმეწონოსან **მიაბიამას** და ჩემპიონ **ჩიოტაიკაის**, რომელიც ბაშოს უარყოფითი ბალანსით დასრულების შემთხვევაში ტიტულს დაკარგავს. იმპერატორის თასის მომავალი მფლობელიც ამ ხუთ სუმოისტში უნდა ვეძიოთ. ნაგოას ბაშომ ეკვატორი გადალახა, დოჰიოზე გადამწყვეტი ბრძოლების დრო მოდის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნაგოიას ბაშო**

(ივლისის სუპერტურნირი)

13-27 ივლისი (აიჩის პრეფექტურა)

VII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი (მ 10)-ჰომაშო (მ 6) 0:1 (იორიკირი); ტოჩინოშინი (მ 14)-ტამანოშიმა (მ 10) 0:1 (ცუკიოტოში); ჰაკუჰო (ი)-ტოჩინონადა (მ 3) 1:0; ამა (ს)-კაიო (ო) 1:0; ჩიოტაიკაი (ო)-ვაკანოჰო (მ 1) 1:0; ასასეკირიუ (მ 2)-კოტოოშუ (ო) 1:0; კოტომიცუკი (ო)-ჰოკუტორიკი (მ 2) 1:0; ტოიონოშიმა (კ)-კოტოშოგიკუ (ს) 1:0; ფუტენო (მ 3)-კისენოსატო (კ) 1:0; ამინიშიკი (მ 1)-ვაკანოსატო (მ 4) 1:0; გოეიდო (მ 4)-როჰო (მ 7) 1:0; კაკურიუ (მ 7)-მიაბიამა (მ 5) 1:0.**

VIII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი (მ 10)-ტოჩინოშინი (მ 14) 1:0 (იორიკირი); ჰაკუჰო (ი)-ტოიონოშიმა (კ) 1:0; ჩიოტაიკაი (ო)-ფუტენო (მ 3) 1:0; კოტოოშუ (ო)-ტოჩინონადა (მ 3) 1:0; კოტომიცუკი (ო)-ვაკანოსატო (მ 4) 1:0; კაიო (ო)-ამინიშიკი (მ 1) 1:0; კოტოშოგიკუ (ს)-ვაკანოჰო (მ 1) 1:0; ამა (ს)-კისენოსატო (კ) 1:0; გოეიდო (მ 4)-ჰოკუტორიკი (მ 2) 1:0; ასასეკირიუ (მ 2)-ბარუტო (მ 5) 1:0; მიაბიამა (მ 5)-ტაკამისაკარი (მ 8) 1:0.**

**სატურნირო მდგომარეობა:**

**8-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა). 7-1: კოტომიცუკი (ოძეკი); ამა (სეკივაკე). 6-2: ჩიოტაიკაი (ოძეკი); მიაბიამა (მაეგაშირა 5) .. 5-3: ტოჩინოშინი (მ 14).. 3-5: კოკაი (მ 10)**

IX დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი (მ 10)-ტოსანოუმი (მ 14); ტოჩინოშინი (მ 14)-ტოიოჰიბიკი (მ 13); ჰაკუჰო (ი)-ვაკანოსატო (მ 4); კოტოოშუ (ო)-გოეიდო (მ 4); კოტომიცუკი (ო)-ფუტენო (მ 3); კაიო (ო)-ჩიოტაიკაი (ო); ამა (ს)-ვაკანოჰო (მ 1); კოტოშოგიკუ (ს)-კისენოსატო (კ); ტოიონოშიმა (კ)-ჰოკუტორიკი (მ 2); მიაბიამა (მ 5)-ამინიშიკი (მ 1); ასასეკირიუ (მ 2)-ტოჩინონადა (მ 3); ბარუტო (მ 5)-კაკურიუ (მ 7).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

# ხინჩეგაშვილის უნიკალური ოქროს დუბლი

## რვა მედალი კოშიციდან



ქართველები კოშიცეში

სლოვაკეთის ქალაქ კოშიცეში იუნიორთა ევროპის ჩემპიონატზე, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველებმა „კლასიკოსებზე" უკეთ იჭიდავეს.

შეჯიბრების პირველ დღეს ჩვენს ყულაბაში პირველი ოქრო ჩავარდა - 84 კგ. წონით კატეგორიაში ყველას აჯობა **თორნიკე სვანიძემ** და ევროპის ჩემპიონი გახდა. თორნიკე პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში ის იტალიელ **ანდრეა სორბელოს** პირველი პერიოდის მერე უგებდა (7:0 პირველში), როცა ტრავმის გამო იტალიელმა ვერ შეძლო. მესამე წრეში სვანიძემ გერმანელ **გაბრიელ სელეგერს** აჯობა – 5:0, 4:1. ქართველს შედარებით ნახევრაფინალში გაუჭირდა, სადაც ბელარუსი **დიმიტრი ალშევსკი** დაამარცხა – 1:7, 2:0, 6:0. ფინალში გასულ სვანიძეს თურქი **იბრაჰიმ ბოლუკბაში** ელოდა, ჩვენებურმა ქულის დაუკარგავად მოიგო – 4:0, 2:0.

შაბათს კიდევ ერთ მედალს შევნვდით – 120 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ლევან ბერიანიძემ** „ბრინჯაო" მოიპოვა. ბერიანიძე მომქანცველ ბრძოლაში რუს **ალან ხუგაევთან** გამოვიდა გამარჯვებული – 1:0, 0:1, 1:0. მაგრამ მან ვერაფერი გააწყო მომავალ ჩემპიონ, უკრაინელ **ოლეგ ივანოვთან** – 0:1, 0:6. ამის შემდეგ ბერიანიძე რეპეშაჟში გადაერთო, სადაც მაკედონიელ **ალექსეი გეორგიევს** დაეჭიდა და მოუგო – 2:0, 6:0. ლევანმა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში **ნიკ მატუჰინი** (გერმანია) დაამარცხა – 1:0, 2:2.

**ზაურ აბრამიშვილმა** (66) პირველი წრე გამოტოვა, მეორეში კი ბერძენი **ალექსის აკრიდიტისი** გაანადგურა – 8:0, 2:0. მესამე წრეში ზაურს რუსეთის წარმომადგენელმა **დავიდ საფარიანმა** მოუგო – 0:3, 0:3. რეპეშაჟში აბრამიშვილი სომეხ **რომან ზადოიანს** შეხვდა, ბრძოლა ქართველმა მოიგო – 3:1, 6:0. ამის მერე აბრამიშვილი აზერბაიჯანელ **ჟაბრაილ ჰასანოვთან** დამარცხდა – 0:1, 1:4. ზაური მეხუთე ადგილს დასჯერდა.

ვერ იყოჩაღა **გიორგი ედიშერაშვილმა** (55), რომელმაც პირველი ბრძოლა წააგო მოლდოველ **ვასილ ესირთან** – 0:3, 9:4, 0:4 და 20 მოჭიდავეში მე-15 ადგილი დაიკავა.

გუშინ, **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (50) გაგვახარა, რომელმაც ფინალში რუს **ილია ბეკბულატოვს** მოუგო – 0:1, 4:0, 3:1. ხინჩეგაშვილმა უნიკალური დუბლი შეასრულა, ერთი თვის წინათ მან ლატვიაში, დაუგავპილსში კადეტთა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, ახლა კი ორი წლით უფროსებში გაიმარჯვა.

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **გიორგი მარსაგიშვილმა** (74), რომელმაც მესამე ადგილისთვის მატჩში ბულგარელი **ლუბენ ილიევი** დაამარცხა . ანალოგიურ შედეგს მიაღწია **გიორგი ჩიქოვანმაც** (96), მან მესამე ადგილისთვის მატჩი თურქ **მუსტაფა ოზდემირს** მოუგო.

60 კგ. წონითი კატეგორიის ფინალში გავიდა **გიორგი მაყიშვილი**, ვინც ფინალში სლოვაკ **რობერტ ოლეს** შეხვდა. მაყიშვილმა 1:0, 2:0 იმარჯვა და ამ ჩემპიონატზე საქართველოს მერვე მედალი (მესამე ოქრო) მოუპოვა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

# შერმადინი ვერ გააჩერეს

წუხელ სლოვენიის ახალგაზრდულ გუნდთან მატჩით დაასრულებდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები იტალიის კურორტ დომეჯე დი კადორეში ოთხთა საკალათბურთო ტურნირს. ტურნირში იტალიის, საბერძნეთის, სლოვენიისა და საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებები მონაწილეობდნენ. ჩვენი გუნდი 1-10 აგვისტოს რიგაში გასამართავი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, სადაც ის A დივიზიონში იასპარეზებს. B ქვეჯგუფში ჩვენი მეტოქეები სწორედ იტალიელები არიან, თურქებთან და ებრაელებთან ერთად.

ტურნირის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრები მასპინძელთა გუნდს დაუპირისპირდა, თანაბარძალოვან გუნდთა თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა, ტაიმი ქართველებმა 30:28 მოიგეს, თუმცა საბოლოოდ ჩვენები 55:64 დამარცხდნენ. შესანიშნავად ითამაშა ჩვენი გუნდის ლიდერმა **გიორგი შერმადინმა**, რომლის ანგარიშზე 21 ქულა და 20 მოხსნაა. მეორე მატჩში საბერძნეთმა სლოვენიას ერთი ქულის სხვაობით აჯობა – 56:55.

მეორე დღეს საქართველოს ნაკრების მეტოქე საბერძნეთი იყო, ჩვენებმა კვლავ მოიგეს ტაიმი – 39:37. სამწუხაროდ, ბოლო მეოთხედში საქართველოს ნაკრები შერმადინის გარეშე დარჩა, მან ხუთი პერსონალური შენიშვნა მიიღო, ამის შემდეგ საბერძნეთმა გაილაღა – 75:82. შერმადინის ანგარიშზე 20 ქულა და 13 მოხსნაა. **ლევან შენგელიამ** 17 ქულა ჩააგდო. იტალიის ნაკრებმა სლოვენიას 72:71 მოუგო.

ბოლო დღეს ორ-ორ მატჩში დამარცხებული საქართველო და სლოვენია ხვდებოდნენ ერთმანეთს. ეს მატჩი წუხელ გვიან გაიმართა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# FORZA ITALIA!

ამ, ერთობ გაცვეთილ, მაგრამ საქვეყნოდ ცნობილ ფრაზას ძირითადად საფეხბურთო მატჩებზე თუ მოისმენ; თუმცა, ზოგადად, ყველგან შეგიძლია მოკრა ყური, ცხადია, იქ, სადაც იტალიელი ან იტალიელთა ერთობა იბრძვის. "წინ იტალია!" ასე ითარგმნება ქართულად ეს ორი სიტყვა და ვითომ არაფერი განსაკუთრებული ამ შეძახილში არ არის, თუმცა მრავალთათვის კი "გაუნათებია" გზა... **ლეილა მესხის** ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე შაბათს, სერბი **დავიდ სავიჩი** იტალიელ **მატეო მარაისთან** საბრძოლველად გავიდა. ფინალური შეხვედრა 12 საათზე დაიწყო და დაძაბულ ბრძოლას კი ველოდით, მაგრამ თუ სამ საათს გასტანდა, ნამდვილად არ გვეგონა, - გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე თვალსასეირო თრილერი იხილა თბილისელმა გულშემატკივარმა: სამსეტიანი ბრძოლა, სადაც ბოლო წუთამდე გაურკვეველი იყო თუ ვინ იმარჯვებდა, საბოლოოდ იტალიელის პირველობით დამთავრდა. ეგ არცთუ გასაკვირი რამ იყო, რადგანაც მატეო მარაი პირველი ნომერი გახლდათ, მაგრამ ჩვენს ყურადღებას ერთი ქართველი გულშემატკივარი იპყრობდა, რომელიც ტრიბუნიდან დიდი ენთუზიაზმით შეუძახებდა ხოლმე აპენინელს: FORZA ITALIA! ცხადია, უგუნურობა იქნება იმის მტკიცება, რომ ამ ეული გულშემატკივრის შეძახილმა არგო მატეოს, მაგრამ ფაქტია - ლამის წაგებული მატჩი მოატრიალა და ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა თავზე. პირველი სეტი სერბის უპირატესობით წარიმართა და მისივე გამარჯვებით დასრულდა - 6:3. მეორე სეტში კი უკვე იტალიელმა გამოიღო ხელი და ინიციატივის დაუფლებაც შეძლო; შესაბამისად, ანგარიშშიც ასახა უპირატესობა - 6:4. საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა- 3:6, 6:4, 6:4.

დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ ორგანიზატორებმა მეორე ტურნირისთვის მზადებას მიჰყვეს ხელი, რომელიც შაბათსვე დაიწყო; პირველ ეტაპზე რვა საუკეთესო გამოვლინდა, მათში ქართველი მხოლოდ ერთია - **ბექა ბუჩუკური**. ბექას გარდა ძირითად ბადეში კი კიდევ ოთხი ქართველია: **ნიკოლოზ ქურდაძე, ნოდარ ითონიშვილი, გიორგი ხრიკაძე** და **ლაზარე კუხალაშვილი**. ყველა ჩვენებურის მეტოქე პირველ წრეში უცხოელია.

**ზვიად შათირიშვილი**

## ელიტაში ჯერ უჭირს

ლოს ანჯელესში დაიწყო WTA-ს მეორე კატეგორიის ტურნირი „ისთ ვესთ ბენკ კლასიკი", რომლის საპრიზო ფონდი 600 ათასი დოლარია. ასეთი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ქართველი ჩოგბურთელის მოხვედრა უკვე საპატიოა, 18 წლის **ანა ტატიშვილი** (178) კი იქ განთესილებშიც კი მოხვდა (მე-11 ნომრად განთესეს). პირველ საკვალიფიკაციო წრეში ანა 19 წლის ამერიკელ **ალექსა გლატჩს** (239) ხვდებოდა. ეს სპორტსმენები აქამდე სამჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს და ქართველი 2:1-ს იგებდა. სამწუხაროდ, ამჯერად სამსეტიანი ორთაბრძოლა ანამ დათმო – 1:6, 6:4, 3:6. ბოსტონის ტურნირის (50 ათასი დოლარი) მოგების შემდეგ ტატიშვილს WTA-ს ორი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მოეცარა ხელი, ჯერ სტენფორდში, ახლა –ლოს ანჯელესში.

## საკლუბოც მოასწრო

საქართველოს მეორე ჩოგანი ქალი **მაკა ჩახნაშვილი** (179) ლუქსემბურგშია, სადაც პეტანჟის 75-ათასიან ტურნირში ცდის ძალებს. მაკას რეიტინგი ძირითად ბადეში მოსახვედრად ეყო, ასე რომ, ის მომავალ მეტოქეს დღეს შეიტყობს, როცა ძირითადი ბადის კენჭისყრის შედეგები გამოქვეყნდება. სხვათა შორის, მაკამ ტურნირებს შორის შუალედში უნგრეთის საკლუბო ჩემპიონატში იასპარეზა, სადაც მესამე ადგილი დაიკავა **დორა კისის** ძლევით – 6:1, 6:2.

## ოქსანა ძირითადს უმიზნებს

ხარკოვში 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში **სოფიო შაფათავა** (303) ითამაშებს, მანამდე საკვალიფიკაციო ბრძოლები მიმდინარეობს, სადაც კიდევ ერთი ჩვენებურია – 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (553). ოქსანამ პირველ საკვალიფიკაციო წრეში უკრაინელი **ლუდმილა კიჩენოკი** დაამარცხა – 7:5, 6:3 და ახლა ბელარუს **იულია არტიომოვას** ხვდება. ოქსანა უკრაინაში წყვილთა თანრიგშიც ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ოქსანა კალაშნიკოვა



ანა ტატიშვილი

ჭადრაკი

რეპლიკა

# რა ხდება, ვინ აბნევს მკითხველს?

ორიოდ კვირის წინათ, მომავალ საჭადრაკო ოლიმპიადასთან დაკავშირებით, "ლელოსთან" ინტერვიუში **გია გიორგაძემ** განაცხადა: "ნაკრებთა საბოლოო შემადგენლობას ჯერ ვერ დავასახელებთ, განსაკუთრებით ქალთა შორის, რადგანაც აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის პირველ რიცხვებში ქალთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი იმართება და თუკი რომელიმე ქართველი ღირსეულ შედეგს აჩვენებს, მას ნაკრების მიღმა ვერ დავტოვებთო. ნაკრებსაც ამის შემდეგ დავაკომპლექტებთ". მართალია, ასეთივე მასშტაბის ტურნირი მამაკაცთა შორის არ იმართება ოლიმპიადამდე, მაგრამ ნაკრების ფორმირებისთვის სხვა ბევრი რამაა გასათვალისწინებელ-გასარკვევი, რაც საკითხის კარგა ხნით ღიად დარჩენას ნიშნავს. მიუხედავად ამისა, შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია მაინც გავრცელდა, წყაროდ კი თვით ფედერაციის პრეზიდენტია დასახელებული. არადა, ინფორმაციის გავრცელებამდე მეტი ყურადღება იყო საჭირო. ვეცადეთ დაზუსტებას. ბატონმა გია გიორგაძემ გვიპასუხა: - არავითარი საბოლოო დასკვნა არ მიგვიღია. ნაკრებთა შემადგენლობა ჯერ დადგენილი არ არის, მხოლოდ სავარაუდო შემადგენლობაზე შევთანხმდით გამგეობის სხდომაზე, რომელიც 7 ივლისს გაიმართაო. მე არავინ დამკავშირებია და არანაირი ინფორმაცია არ გამიცია. როგორც ჩანს, ჭადრაკის ფედერაციის საიტზე ნახეს და ამცნეს საზოგადოებასო. ჭადრაკის ფედერაციის საიტზე კი მსგავსი ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ. ამის შემდეგ ხომ გვაქვს უფლება ვიკითხოთ: რა ხდება ვინ აბნევს მკითხველს?

ქალთა შორის თურმე ნაკრების უპირველესი კანდიდატები არიან: **მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნანა ძაგნიძე, სალომე მელია** და **მაია ლომინეიშვილი**. კრიტერიუმად აქ აღებულია რეიტინგული მაჩვენებლები, მაგრამ რატომღაც **ნინო ხურციძეა** გამორჩენილი. ვაჟთა გუნდში კი ასეთი ნუსხაა: **ბაადურ ჯობავა, ზვიად იზორია, ზურაბ აზმაიფარაშვილი, თამაზ გელაშვილი** და **ლევან ჭანტურია** (?!). აქ აშკარა შეცდომაა – ჭანტურიას მაგიერ **ფანცულაია** უნდა იგულისხმებოდეს, მაგრამ მისი დღევანდელი განწყობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის ნაკრებში არ ითამაშებს... ასეთივე პოზიციაზეა ზურაბ აზმაიფარაშვილიც, ყოველ შემთხვევაში, კულისებში ამაზე დაბეჯითებით საუბრობენ. ასევე საეჭვოა ზვიად იზორიას თამაშიც, რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს. მისი პოზიცია, დაბრუნდება თუ არა საქართველოს ნაკრებში, უცნობია – ზვიადს საკუთარი ამბიციები და არგუმენტები აქვს და ვიდრე მას ამ საკითხებზე არ დალაპარაკებია ფედერაციის ხელმძღვანელობა, გადაჭრით რამის თქმა გამორიცხულია. გამოდის, რომ ინფორმაცია მცდარია, მკითხველი შეცდომაშია შეყვანილი.

**ზვიად შათირიშვილი**

ქართული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# NBA-ს ცხელი ივლისი

**NBA-ში** სეზონის დასრულების შემდეგ, კლუბების გენერალური მენეჯერების აქტიურობის დრო დადგა. მათთვის პირველი გამოცდა იყო ამასწინდელი დრაფტი, მაგრამ უფრო რთული ახლა იწყება. პირველი ივლისიდან, NBA-ის გუნდებმა თავისუფალ აგენტებთან მოლაპარაკებების წარმოების უფლება მიიღებს და საფეხბურთო ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ "სატრანსფერო ბაზარი" გაიხსნა. და თავიდანვე, ლიგაში რამდენიმე საინტერესო გარიგებაც შედგა.



ბაირონ დევისი

## გადაადგილებები აღმოსავლეთში

დავიწყოთ ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერით, რომელიც აღმოსავლეთ კონფერენციაში განხორციელდა. რა თქმა უნდა, საქმე ეხება "ტორონტო რეპტორზსა" და "ინდიანა პეისერზს" შორის ტრეიდს, რომლის შემდეგაც, **ჯერმეინ ო'ნილი** კანადაში გადავიდა, ხოლო ინდიანაპოლისში გაემართნენ - **ტი ჯეი ფორდი, რაშო ნესტეროვიჩი** და წლევანდელი დარფტის მე-17 ნომერი **როი ჰიბერტი**. ეჭვგარეშეა, რომ ეს ტრეიდი "ტორონტოს" ძალიან წაადგება. ჯერ ერთი, კანადურმა კლუბმა ფორდი მოიშორა, რომელიც აშკარად ზედმეტი იყო ესპანელი **კალდერონის** ბრწყინვალე თამაშის ფონზე. მეორე: **სემ მიტჩელმა** მაღალი დონის ბიგმენი შეიძინა, რომელიც ფარქვეშ ბრძოლას შეუმსუბუქებს **კრის ბოშს**. სწორედ ო'ნილის, ბოშისა და იტალიელი **ბარნიანის** ტრიო უნდა გახდეს ტორონტოელთა მომავალი წარმატების საწინდარი. მაშ ასე, მიტჩელმა ბრწყინვალე სასტარტო ხუთეული მიიღო: კალდერონი, **პარკერი, მუნი,** ბოში, ო'ნილი. და ამას ემატება არანაკლებ ძლიერი რეზერვი: ბარნიანი, კაპონო და სხვები.

"ინდიანას" რაც შეეხება, აქ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ **ლარი ბერდმა** გუნდის კარდინალური გარდაქმნა დაიწყო. მას შემდეგ, რაც შემადგენლობა დატოვა ტრავმებით დატანჯულმა ო'ნილმა, "პეისერზი" აქცენტს პერსპექტიულ ახალგაზრდებზე აკეთებს, რომლებმაც გამოცდილ მოთამაშეებთან კარგი ნაზავი უნდა შექმნან. აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ უშუალოდ დრაფტის წინ, "ინდიანამ" "პორტლენდთანაც" გაახერხა გარიგება და **ბრენდან რაში, ჯარეტ ჯეკი** და ახალგაზრდა ფორვარდი **ჯოშ მაკრობერტსი** დაიმატა. გარდა ამისა, "პეისერზის" ხელმძღვანელობამ ნათლად მიანიშნა **ჯამაალ ტინსლის**, რომ აღარ საჭიროებს მის სამსახურს. და თუ "ინდიანა" პრობლემურ გამთამაშებელს ვერ გაცვლის, მაშინ კლუბის ხელმძღვანელობას კალათბურთელის კონტრაქტის გამოსყიდვა მოუწევს. ამ გადასახედიდან ისე ჩანს, რომ მომავალ სეზონში "ინდიანას" პლეი ოფი გვერდზე დარჩება, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ინდიანაპოლისური გუნდი სწორი გზით მიდის.

აღმოსავლეთი კონფერენციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტრეიდი გახდა "ნიუ ჯერსიდან" "მილუოკიში" **რიჩარდ ჯეფერსონის** გადასვლა, რომელიც **იი იანლიანზე** და **ბობი სიმონსზე** გაიცვალა. მართალია, მოულოდნელი ტრეიდია, მაგრამ მასში ლოგიკა აშკარად არის.

"ნეტსის" გენერალური მენეჯერი **როდ ტორნი** არ მალავს, რომ კლუბში დიდი ცვლილებები იგეგმება. დღეს ყველა პირობა იქმნება იმისთვის, რომ "ნიუ ჯერსის" რიგებში NBA-ის მთავარი ვარსკვლავი, **ლებრონ ჯეიმსი** გადავიდეს. როცა 2010 წელს, "მეფე" თავისუფალი აგენტი გახდება, მისი ახალი კონტრაქტი დღევანდელზე გაცილებით მასშტაბური იქნება და სწორედ გამონთავისუფლებული სახელფასო ბიუჯეტი უნდა გახდეს ლებრონის გაფორმების წინაპირობა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ "ნიუ ჯერსიდან" **ვინს კარტერის** აბარგებაც, რომელიც, ალბათ, არ მოისურვებს ასეთ გუნდში თამაშს. ყველა ამ ვარაუდის გათვალისწინებით, "ნეტსი" "მაიამის" მსგავსად ჩააგდებს მომავალ სეზონს, რათა საზაფხულო დრაფტზე არჩევანის მაღალი ნომერი მოიპოვოს. სწორედ დრაფტის მაღალი პიკითა და განტვირთული სახელფასო ბიუჯეტით აპირებს როდ ტორნი ახალი გუნდის შენებას.

რაც შეეხება "მილუოკი ბაქსს", აქ პირველ რიგში, უნდა ვახსენოთ ახალი მთავარი მწვრთნელი **სკოტ სკაილზი,** რომელმაც სერიოზული რეფორმატორული მოღვაწეობა დაიწყო. ცოტა ხნის წინათ, "ირმების" დამრიგებელმა განაცხადა, რომ მის გეგმებში არ შედის **ჩარლი ვილანუევასთან** და **მაიკლ რედთან** თანამშრომლობა. ჭორების მიხედვით, ისინი **ანდერსონ ვარეჟაოსა** და **ჯოშ სმიტში** უნდა გაეცვალათ, მაგრამ ჯერჯერობით, ამ ტრეიდის განხორციელებას რაღაცამ შეუშალა ხელი. არ არის გამორიცხული, "მილუოკიმ" თავისუფალი აგენტების ბაზარზეც იაქტიუროს, მით უმეტეს, რომ იქ ორი მსუყე ლუკმაა **ბენ გორდონისა** და **ლუოლ დენგის** სახით. ესენი ხომ სკაილზის საყვარელი კალათბურთელები არიან.

ტრეიდების გარდა, ყურადღება უნდა მივაქციოთ თავისუფალი აგენტების ბაზარს. კარგად იმუშავა "ვაშინგტონ უიზარდსმა", რომელმაც თავისი ორივე ლიდერი, **ანტუან ჯეიმისონი** და **გილბერტ არენასი** შეინარჩუნა. აქტიურია "ფილადელფია სიქსერზი". მან "კლიპერსიდან" **ელტონ ბრენდი** დაითრია. ჯოშ სმიტის გაფორმებაზეც ფიქრობს, მაგრამ აქ ჩნდება ერთი აქტუალური საკითხი. სჭირდება თუ არა "სიქსერზს" სმიტი, როცა შემადგენლობაში **ანდრე იგუოდალა** ჰყავს? მართალია, ფილადელფიელთა ვარსკვლავს თავისუფლად შეუძლია შემტევ მცველადაც ითამაშოს, მაგრამ **მორის ჩიქსის** გუნდი კარგი "შუტერების" დეფიციტს განიცდის, არადა, "სიქსერზი" ამ პრობლემის მოსაგვარებლად რატომღაც არ მუშაობს.

## დასავლეთი ძველებურად ველურია...

დასავლეთში სატრანსფერო ციებცხელება 8-კაციანი ტრეიდით დაიწყო, რომელიც "მემფისმა" და "მინესოტამ" განახორციელეს. ტენესიში გაემართნენ წლევანდელი დრაფტის მესამე ნომერი **ო ჯეი მაიო, მარკო იარიჩი, ანტუან უოკერი** და **გრეგ ბუკნერი**, თავის მხრივ, მინეაპოლისში დაიდეს ბინა **კევინ ლავმა, მაიკ მილერმა, ჯეისონ კოლინზმა** და **ბრაიან კარდინალმა**. ძნელი სათქმელია, ვინ დარჩა მოგებული ამ გაცვლით. რა თქმა უნდა, ლავი და მაიო - უკვე შემადგენლობის გაძლიერებას ნიშნავს, მაგრამ საკითხავია, ერთდროულად როგორ ათამაშებს "მინესოტა" ლავსა და **ელ ჯეფერსონს**, რომლებიც ერთი ამპლუისანი (მძიმე ფორვარდები) არიან. სამაგიეროდ, მაიკ მილერის დამატება **კევინ მაკჰეილს** იმედიანად განაწყობს. "მემფისში" კი, მთელი ყურადღება მაიოს, **რუდი გეისა** და **მარკ გასოლის** სამეულისკენ იქნება მიპყრობილი. რა თქმა უნდა, ახალბედების შეთამაშებას დრო დასჭირდება, მაგრამ არც ის ფაქტი უნდა დავივიწყოთ, ამ ზაფხულს, "მემფისს" რამდენიმე მაღალი დონის თავისუფალი აგენტის დამატება შეუძლია. ამიტომაც, სიტუაცია კარდინალურად შეიძლება უკეთესობისკენ შეიცვალოს.

ახლა კი, დასავლეთში შემდგარი ყველაზე ხმაურიანი გარიგების შესახებ. ახალი სეზონიდან, **ბაირონ დევისი** "ლოს ანჯელეს კლიპერსში" ითამაშებს. მოვლენათა ამგვარი განვითარება, პირველ რიგში, დევისის აწ უკვე ყოფილი კლუბისთვის, "გოლდენ სტეიტისთვის" იყო მოულოდნელი. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტანი პირადად დაპირდა "მეომრების" მწვრთნელს - ოკლენდში დავრჩებიო, დევისმა მაინც კლუბის გამოცვლა ამჯობინა. და თანაც როგორ! ბაირონი უფრო დაბალ ხელფასს დათანხმდა, ვიდრე მას "გოლდენ სტეიტის" გენერალური მენეჯერი **კრის მულინი** სთავაზობდა (20 მილიონით ნაკლებს!).

გაისად "კლიპერსი" ძალიან ძლიერი იქნება. მერე რა, რომ გუნდიდან წავიდნენ **ელტონ ბრენდი** და **კორი მაგეტი**. სამაგიეროდ, კალიფორნიელებმა ხელში ჩაიგდეს ლიგის საუკეთესო დამცველი, **მარკუს კემბი** ("დენვერიდან" ) და ახლა, ლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი სასტატო ხუთეული ეყოლება: დევისი, **მობლი, ტორნტონი,** კემბი, **კამანი.**

აი, ასეთი გამოდგა პირველი სატრანსფერო თვე NBA-ში. ეს კი, მხოლოდ დასაწყისია და წინ კიდევ ბევრი საინტერესო გველის. მანამდე კი, სრულყოფილი სურათისთვის აქამდე განხორციელებული ყველა გარიგების სიასა და თავისუფალი აგენტების გვარებს (კლუბების მიხედვით) გთავაზობთ.

**გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა**

### აღმოსავლეთი

#### ბოსტონი

**მოვიდნენ:** ჯეი არ გიდენსი (დრაფტი, 30-ე ნომერი), სემიჰ ერდენი (დრაფტი, 60), ბილ უოკერი (დრაფტი, 47 - ვაშინგტონიდან), პატრიკ ო'ბრაიანტი (თავ. აგენტი, გოლდენ სტეიტი);
**წავიდნენ:** არავინ;
**თავისუფალი აგენტები:** ტონი ალენი, პი ჯეი ბრაუნი, სემ კასელი, ედი ჰაუსი, სკოტ პოლარდი, ჯეიმს პოუსი.

#### ნიუ ჯერსი

**მოვიდნენ:** ბრუკ ლოპესი (დრაფტი, 10), რაიან ანდერსონი (დრაფტი, 21), კრის დუგლას-რობერტსი (დრაფტი, 40), ჯერვის ჰეიესი (თავ. აგენტი, დეტროიტი), ედუარდო ნახერა (თავ. აგენტი, დენვერი), ბობი სიმონსი (ტრეიდი, მილუოკი), იი იანლიანი (ტრეიდი, მილუოკი);
**წავიდნენ:** დესაგან დიოპი (თავ. აგენტი, დალასი), რიჩარდ ჯეფერსონი (ტრეიდი, მილუოკი);
**თავისუფალი აგენტები:** დარელ არმსტრონგი, ნენად კრსტიჩი, ბოსტჯან ნახბარი.

#### ნიუ იორკი

**მოვიდნენ:** დინილო გალინარი (დრაფტი, 6), კრის დუჰონი (თავ. აგენტი, ჩიკაგო);
**წავიდნენ:** არავინ;
**თავისუფალი აგენტები:** ფრედ ჯონსი, რენდოლფ მორისი.

#### ფილადელფია

**მოვიდნენ:** მარის სპეიტსი (დრაფტი, 16), ელტონ ბრენდი (თავ. აგენტი, კლიპერსი);
**წავიდნენ:** კელვინ ბუტი (ტრეიდი, მინესოტა), როდნი კარნი (ტრეიდი, მინესოტა);
**თავისუფალი აგენტები:** ლუის უილიამსი, ლუის ამუნდსონი, ანდრე იგუოდალა, ჰერბერტ ჰილი, კევინ ოლი, შაველიკ რენდოლფი.

#### ტორონტო

**მოვიდნენ:** ნათან ჯაავაი (დრაფტი, 41 - ინდიანადან), როკო უკიჩი (დრაფტი 2005, 41), ჯერმეინ ო'ნილი (ტრეიდი, ინდიანა);
**წავიდნენ:** როი ჰიბერტი (დრაფტი, 17 - ინდიანაში), მასეო ბასტონი (ტრეიდი, ინდიანა), რაშო ნესტეროვიჩი (ტრეიდი, ინდიანა), ტი ჯეი ფორდი (ტრეიდი, ინდიანა), კარლო დელფინო (ხიმკი, რუსეთი);
**თავისუფალი აგენტები:** პრიმოჟ ბრეზეცი.

#### ჩიკაგო

**მოვიდნენ:** დერიკ როუზი (დრაფტი, 1), ომერ ასიქი (დრაფტი, 36 - პორტლენდიდან);
**წავიდნენ:** კრის დუჰონი (თავ. აგენტი, ნიუ იორკი);
**თავისუფალი აგენტები:** შენონ ბრაუნი, ლუოლ დენგი, ბენ გორდონი, დემეტრის ნიკოლსი.

#### კლივლენდი

**მოვიდნენ:** ჯეი ჯეი ჰიქსონი (დრაფტი, 19), დარნელ ჯექსონი (დრაფტი, 27 - მაიამიდან);
**წავიდნენ:** არავინ;
**თავისუფალი აგენტები:** დევინ ბრაუნი, დუეინ ჯონსი, დელონტე უესტი.

#### დეტროიტი

**მოვიდნენ:** დერონ ვაშინგტონი (დრაფტი, 59), ტრენტ პლაისტედი (დრაფტი, 46 - ოკლაჰომადან), ვალტერ შარპი (დრაფტი, 32 - ოკლაჰომადან);
**წავიდნენ:** ჯერვის ჰეიესი (თავ. აგენტი, ნიუ ჯერსი);
**თავისუფალი აგენტები:** ხუან დიქსონი, ვალტერ ჰერმანი, ლინდსი ჰანტერი, ტეო რატლიფი.

#### ინდიანა

**მოვიდნენ:** ბრენდონ რაში (დრაფტი, 13 - პორტლენდიდან), როი ჰიბერტი (დრაფტი, 17 - ტორონტოდან), ტი ჯეი ფორდი (ტრეიდი, ტორონტო), რაშო ნესტეროვიჩი (ტრეიდი, ტორონტო), ჯარეტ ჯეკი (ტრეიდი, პორტლენდი), ჯოშ მაკრობერტსი (ტრეიდი, პორტლენდი), მასეო ბასტონი (ტრეიდი, ტორონტო);
**წავიდნენ:** ჯერიდ ბეილესი (ტრეიდი, პორტლენდი), ნათან ჯაავაი (დრაფტი, 41 - ტორონტოში), იკე დიოგუ (ტრეიდი, პორტლენდი), ჯერმეინ ო'ნილი (ტრეიდი, ტორონტო);
**თავისუფალი აგენტები:** დევიდ ჰარისონი, რონალდ მიურეი, ანდრე ოუენსი, ქარიმ რაში.

#### მილუოკი

**მოვიდნენ:** ჯო ალექსანდერი (დრაფტი, 8), ლუკმბა მოუტე (დრაფტი, 37), მალიკ ალენი (თავ. აგენტი, დალასი), ტაირონ ლუ (თავ. აგენტი, დალასი), რიჩარდ ჯეფერსონი (ტრეიდი, ნიუ ჯერსი);
**წავიდნენ:** ბობი სიმონსი (ტრეიდი, ნიუ ჯერსი), იი იანლიანი (ტრეიდი, ნიუ ჯერსი);
**თავისუფალი აგენტები:** როიალ ივი, მაიკლ რუფინი, ჯეიკ ვოსკული, ევი სტოური.

#### ატლანტა

**მოვიდნენ:** არავინ;
**წავიდნენ:** არავინ;
**თავისუფალი აგენტები:** ჯოშ ჩილდრესი, ჯოშ სმიტი, სალიმ სტაუდმაიერი, მარიო უესტი.

#### შარლოტი

**მოვიდნენ:** დი ჯეი აგუსტინი (დრაფტი, 9), ალექსის ახინკა (დრაფტი, 20), კაილ ვივერი (დრაფტი, 38)
**წავიდნენ:** არავინ;
**თავისუფალი აგენტები:** დერეკ ანდერსონი, ირლ ბოიკინსი, ოტელა ჰარინგტონი, რაიან ჰოლინზი, ემეკა ოკაფორი.

#### მაიამი

**მოვიდნენ:** მაიკლ ბიზლი (დრაფტი, 2), მარიო ჩელმერსი (დრაფტი, 34 - მინესოტადან), ჯეიმს ჯონსი (თავ. აგენტი, პორტლენდი);
**წავიდნენ:** არავინ;
**თავისუფალი აგენტები:** ირლ ბარონი, ალონზო მოურნინგი, კრის ქუინი, ჯეისონ უილიამსი, დორელ რაიტი, რიკი დევისი.

#### ორლანდო

**მოვიდნენ:** კორტნი ლი (დრაფტი, 22), მიკაელ პიეტრუსი (თავ. აგენტი, გოლდენ სტეიტი), ენტონი ჯონსონი (თავ. აგენტი, საკრამენტო);
**წავიდნენ:** არავინ;
**თავისუფალი აგენტები:** კარლოს აროიო, ჯეიმს აგუსტინი, კეიონ დულინგი, პეტ გერიტი, მორის ევანსი;

#### ვაშინგტონი

**მოვიდნენ:** ჯევეილ მაკგი (დრაფტი, 18);
**წავიდნენ:** როჯერ მეისონი (თავ. აგენტი, სან ანტონიო);
**თავისუფალი აგენტები:** არავინ.

### დასავლეთი

#### დენვერი

**მოვიდნენ:** სონი ვიმსი (დრაფტი, 39 - ჩიკაგოდან);
**წავიდნენ:** ედუარდო ნახერა (თავ. აგენტი, ნიუ ჯერსი), მარკუს კემბი (ტრეიდი, კლიპერსი);
**თავისუფალი აგენტები:** ენტონი კარტერი, იახუბა დიავარა, ბობი ჯონსი, ჯეი არ სმიტი.

#### მინესოტა

**მოვიდნენ:** კევინ ლავი (დრაფტი, 5 - მემფისიდან), ნიკოლა პეკოვიჩი (დრაფტი, 31), ბრაიან კარდინალი (ტრეიდი, მემფისი), ჯეისონ კოლინზი (ტრეიდი, მემფისი), მაიკ მილერი (ტრეიდი, მემფისი), კელვინ ბუტი (ტრეიდი, ფილადელფია), როდნი კარნი (ტრეიდი, ფილადელფია);
**წავიდნენ:** მარკო იარიჩი (ტრეიდი, მემფისი), ანტუან უოკერი (ტრეიდი, მემფისი);
**თავისუფალი აგენტები:** მაიკლ დოლეაკი, რაიან გომესი, კრის რიჩარდი, კრეიგ სმიტი, კირკ სნიდერი, სებასტიან ტელფეირი.

#### ოკლაჰომა

**მოვიდნენ:** რასელ უესტბრუკი (დრაფტი, 4), სერჟ იბაკა (დრაფტი, 24), დი ჯეი უაიტი (დრაფტი, 29 - დეტროიტიდან), დეჟონ პარდინი (დრაფტი, 50), საშა კაუნი (დრაფტი, 56);
**წავიდნენ:** არავინ;
**თავისუფალი აგენტები:** რონალდ დუპრე, ფრანსისკო ელსონი, მიკაელ ჟელაბალე, რობერტ სვიფტი.

#### პორტლენდი

**მოვიდნენ:** რუდი ფერნანდესი (დრაფტი 2007), ნიკოლა ბატუმი (დრაფტი, 25 - ჰიუსტონიდან), ჯერიდ ბეილესი (დრაფტი, 11 - ინდიანადან), იკე დიოგუ (ტრეიდი, ინდიანა);
**წავიდნენ:** ბრენდონ რაში (დრაფტი, 13 - ინდიანაში), ჯეიმს ჯონსი (თავ. აგენტი, მაიამი), ჯარეტ ჯეკი (ტრეიდი, ინდიანა), ჯოშ მაკრობერტსი (ტრეიდი, ინდიანა);
**თავისუფალი აგენტები:** ფონ ვაფერი.

#### იუტა

**მოვიდნენ:** კოსტა კუფოსი (დრაფტი, 23), ანტე ტომიჩი (დრაფტი, 44), დატია დრაგიჩევიჩი (დრაფტი, 53);
**წავიდნენ:** არავინ;
**თავისუფალი აგენტები:** კეი ჯი მაილსი.

#### გოლდენ სტეიტი

**მოვიდნენ:** ენტონი რენდოლფი (დრაფტი, 14), რიჩარდ ჰენდრიქსი (დრაფტი, 49), კორი მაგეტი (თავ. აგენტი, კლიპერსი), რონი ტურიაფი (თავ. აგენტი, ლეიკერსი);
**წავიდნენ:** ბაირონ დევისი (თავ. აგენტი, კლიპერსი), კელენა აზუბუიკე (თავ. აგენტი, კლიპერსი), პატრიკ ო'ბრაიანტი (თავ. აგენტი, ბოსტონი), მიკაელ პიეტრუსი (თავ. აგენტი, ორლანდო);
**თავისუფალი აგენტები:** მეტ ბარნსი, ანდრის ბიედრინში, ოსტინ კროშირი, მონტა ელისი,

#### კლიპერსი

**მოვიდნენ:** ერიკ გორდონი (დრაფტი, 7), დე ანდრე ჯორდანი (დრაფტი, 35), მაიკ ტეილორი (დრაფტი, 55 - პორტლენდიდან), ბაირონ დევისი (თავ. აგენტი, გოლდენ სტეიტი), მარკუს კემბი (ტრეიდი, დენვერი), კელენა აზუბუიკე (თავ. აგენტი, გოლდენ სტეიტი)
**წავიდნენ:** ელტონ ბრენდი (თავ. აგენტი, ფილადელფია), კორი მაგეტი (თავ. აგენტი, გოლდენ სტეიტი).
**თავისუფალი აგენტები:** პოლ დევისი, დენ დიკაუ, შონ ლივინგსტონი, კუინტო როსი, მარკუს უილიამსი, სმეშ პარკერი, ნიკ ფაზეკაში.

#### ლეიკერსი

**მოვიდნენ:** ჯო კროუფორდი (დრაფტი, 58);
**წავიდნენ:** რონი ტურიაფი (თავ. აგენტი, გოლდენ სტეიტი);
**თავისუფალი აგენტები:** აირა ნიუბლი, საშა ვუიაჩიჩი, დი ჯეი მბენგა.

#### ფინიქსი

**მოვიდნენ:** რობინ ლოპესი (დრაფტი, 15), გორან დრაგიჩი (დრაფტი, 45 - ტორონტოდან);
**წავიდნენ:** არავინ;
**თავისუფალი აგენტები:** გორდონ გირიჩეკი, შონ მარქსი, ერიკ პიატკოვსკი, ბრაიან სკინერი, ლინტონ ჯონსონი.

#### საკრამენტო

**მოვიდნენ:** ჯეისონ ტომპსონი (დრაფტი, 12), შონ სინგლეტარი (დრაფტი, 42), პატრიკ იუნგ უმცროსი. (დრაფტი, 43);
**წავიდნენ:** ენტონი ჯონსონი (თავ. აგენტი, ორლანდო);
**თავისუფალი აგენტები:** ლორენცენ რაიტი.

#### დალასი

**მოვიდნენ:** შენ ფოსტერი (დრაფტი, 51), დესაგანა დიოპი (თავ. აგენტი, ნიუ ჯერსი), ჯერალდ გრინი (თავ. აგენტი), ჯეიმს სინგლტონი (თავ. აგენტი), კეიტ მაკლეოდი (თავ. აგენტი);
**წავიდნენ:** მალიკ ალენი (თავ. აგენტი, მილუოკი), ტაირონ ლუ (თავ. აგენტი, მილუოკი);
**თავისუფალი აგენტები:** დევეინ ჯორჯი, ჯუვან ჰოვარდი, ჯამაალი მაგლოირი;

#### ჰიუსტონი

**მოვიდნენ:** დონტე გრინი (დრაფტი, 28 - მემფისიდან), ჯოე დორსი (დრაფტი, 33 - პორტლენდიდან), მაარტი ლონენი (დრაფტი, 54), ბრენტ ბერი (თავ. აგენტი, სან ანტონიო);
**წავიდნენ:** არავინ;
**თავისუფალი აგენტები:** კარლ ლენდრი, დიკემბე მუტომბო.

#### მემფისი

**მოვიდნენ:** ო ჯეი მაიო (დრაფტი, 3 - მინესოტადან), დარელ არტური (დრაფტი, 27 - ნიუ ორლეანიდან), მარკო იარიჩი (ტრეიდი, მინესოტა), ანტუან უოკერი (ტრეიდი, მინესოტა);
**წავიდნენ:** კევინ ლავი (დრაფტი, 5 - მინესოტაში), ხუან კარლოს ნავარო (თავ. აგენტი, ესპანეთში), ბრაიან კარდინალი (ტრეიდი, მინესოტა), მაიკ მილერი (ტრეიდი, მინესოტა), ჯეისონ კოლინზი (ტრეიდი, მინესოტა);
**თავისუფალი აგენტები:** ანდრე ბრაუნი, კვამე ბრაუნი, კეისი იაკობსენი.

#### ნიუ ორლეანი

**მოვიდნენ:** არავინ;
**წავიდნენ:** არავინ;
**თავისუფალი აგენტები:** რაიან ბოუენი, ბონზი უელსი, კრის ანდერსონი, ჯანერო პარგო.

#### სან ანტონიო

**მოვიდნენ:** ჯორჯ ჰილი (დრაფტი, 26), მალიკ ჰეირსტონი (დრაფტი, 48 - ფინიქსიდან), ჯეიმს გისტი (დრაფტი, 57), როჯერ მეისონი (თავ. აგენტი, ვაშინგტონი);
**წავიდნენ:** ბრენტ ბერი (თავ. აგენტი, ჰიუსტონი);
**თავისუფალი აგენტები:** მაიკლ ფინლი, რობერტ ორი, კურტ ტომასი, დერმარ ჯონსონი, დემონ სტაუდმაიერი.

კალათბურთი. პეკინი 2008

# ესეც არგენტინა და ესპანეთი

ოლიმპიადაზე მონაწილე კიდევ ორი გუნდის მწვრთნელმა დაასახელა პეკინის თამაშებისთვის საბოლოო შემადგენლობა.

გაიხარეს არგენტინის ნაკრების გულშემატკივრებმა. მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონის რიგებში ვხედავთ გუნდის ლიდერს, **მანუ ჯინობილის**, რომელსაც ტრავმა აწუხებდა და პეკინში მისი თამაში სათუო იყო.

"სან ანტონიოს" მცველის გარდა, არგენტინელთა დამრიგებელმა **სერხიო ერნანდესმა** შემდეგ კალათბურთელებზე გააკეთა არჩევანი:

**მცველები:** პაბლო პრიჯიონი ("ტაუგრესი", ესპანეთი), ანტონიო პორტა ("სპარტაკი", რუსეთი), მანუ ჯინობილი ("სან ანტონიო", NBA), კარლოს დელფინო ("ხიმკი", რუსეთი), პაოლო კინტეროსი ("სარაგოსა", ესპანეთი);

**ფორვარდები:** ანდრეს ნოჩიონი ("ჩიკაგო", NBA), ფედერიკო კამერიჩი ("მურსია", ესპანეთი), ლეონარდო გუტიერესი ("ატენასი", საბერძნეთი), ლუის სკოლა ("ჰიუსტონი", NBA);

**ცენტრები:** ფაბრისიო ობერტო ("სან ანტონიო", NBA), ხუან გუტიერესი ("გრანადა", ესპანეთი), რომან გონსალესი ("პენიაროლი", არგენტინა).

■ ■ ■

საბოლოო შემადგენლობა დაასახელა ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **აიტო გარსია რენესესმაც**. ბოლო დღემდე, პირენეელთა სანვრთნელ შეკრებაზე 15 კალათბურთელი იმყოფებოდა. რენესესმა ზედმეტად შემდეგი ტრიო ჩათვალა: **ვიქტორ სადა, ვიქტორ კლავერი** და **ხუან ტრიგუერო**. ამის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონთა განაცხადმა ასეთი სახე მიიღო:

**მცველები:** რიკი რუბიო ("ხუვენტუდი"), ხუან კარლოს ნავარო ("ბარსელონა"), ხოსე მანუელ კალდერონი ("ტორონტო", NBA), რაულ ლოპესი ("რეალი"), კარლოს ხიმენესი ("უნიკახა"), რუდი ფერნანდესი ("პორტლენდი", NBA);

**ფორვარდები:** ალექს მუმბრუ ("რეალი"), ხორხე გარბახოსა (უკლუბოდ), ბერნი როდრიგესი ("უნიკახა");

**ცენტრები:** მარკ გასოლი ("მემფისი", NBA), პაუ გასოლი ("ლეიკერსი", NBA), ფელიპე რეიესი ("რეალი").

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# ახალი მაილო ჟუნ: ფრანკ შლეკი

ტურ დე ფრანსის ქარავანმა ორი დღით იტალიაში, იქაური ალპების მთიანეთში შეიარა, რის შემდეგაც, ყვითელ მაისურას კვლავ გამოეცვალა პატრონი – ამჯერად რბოლის ლიდერად ლუქსემბურგელი **ფრანკ შლეკი** მოგვევლინა, რომელმაც გუშინდელი, სამთო ეტაპი მეცხრე ადგილზე კი დაასრულა, მაგრამ რაც მთავარია, წინა ლიდერს, ავსტრალიელ **კეიდელ ევანსს** რვა წამით აჯობა და ეს საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ მაილო ჟუნ, ანუ ყვითელი მაისურა მოერგო.


ფრანკ შლეკი გაყვითლდა

ალსანიშნავია, რომ გუშინდელი ეტაპი (რომლის სიგრძე 216 კილომეტრი უნდა ყოფილიყო) საფრანგეთში, სამთო სადგურ ლე ბაინსში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ გზის დამეწყვრის გამო, სტარტი ანტიკურ ქალაქ ემბრუნში დაიწყო. შედეგად, ეტაპი 33 კილომეტრით დამოკლდა.

გუშინ, გადამწყვეტი გამოდგა ბოლო, პირველი კატეგორიის ალმართი, რომელიც ქალაქ პრატო ნვოზოში დასრულდა. ფინიშის ხაზი პირველმა ავსტრალიელმა **საიმონ გერანსმა** გადაკვეთა, რომელმაც მანამდე, სამ ველომრბოლთან ერთად, ევანსის ჯგუფი უმაღლესი კატეგორიის ალმართ "ანგელზე" ჩამოიტოვა. ბოლო ალმართის დასაწყისში, დაწინაურებულთა უპირატესობამ შვიდ წუთსაც კი მიაღწია, მაგრამ მდევრებმა ჩამორჩენის ოთხ წუთამდე შემცირება მაინც შეძლეს. მდევრებს შორის კი ყველაზე სწრაფი და გამძლე ავსტრიელი **ბერნჰარდ კოლი** გამოდგა, ვინც ეტაპი მეხუთე ადგილზე დაასრულა და ამით, საერთო კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ის ახლა შლეკთან შვიდ წამს აგებს, ევანსს კი ერთადერთ წამს უგებს.

*"მადლობა ჩემს ძმას. მისი დახმარებით, მე დღეს ბავშვობის ოცნება ავისრულე და ტურის ლიდერი გავხდი"*, - ნაფინიშევს განაცხადა ახალმა ლიდერმა, ვისაც ბოლო ალმართზე კარგი სამსახური მისმა თანაგუნდელმა ძმამ, **ენდი შლეკმა** გაუწია. ალსანიშნავია, რომ ფრანკ შლეკს ტურის ერთადერთი ეტაპი ორი წლის წინათ, ლეგენდარულ ალპ დ'უზის მთაზე აქვს მოპოვებული. სხვათა შორის, ამ სამთო მონაკვეთის გავლა მიმდინარე ტურის მონაწილეებს ზეგ მოუწევთ.

გუშინ, რბოლას ორი გამორჩეული ველომრბოლი – ტურის ყოფილი ჩემპიონი, ესპანელი **ოსკარ პერეირო სიო** და ოთხი ეტაპის მომგები, ბრიტანელი **მარკ კავენდიში** გამოეთიშა. კავენდიშს მთაში ასპარეზობა უჭირს და გუშინდელ ეტაპზე არ გამოვიდა, რითაც ძალები საპეკინოდ შემოინახა. რაც შეეხება პერეიროს, ველომრბოლი, ვინც ტურის ჩემპიონი ორი წლის წინათ, ამერიკელი **ფლოიდ ლენდისის** დისკვალიფიკაციის შემდეგ გახდა, გუშინ დაეცა და მხარის ძვალი მოიტეხა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მე-14 ეტაპი. ნიმიდან ლე ბაინამდე (194.5 კმ)

1. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) 4:13.08 (46.102 კმ/სთ); 2. ლეონარდო დუკე (კოლუმბია, კოფიდისი)იგივე დროში; 3. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 4. ჯულიან დინი (ახ.ზელანდია, გარმინ-ჩიპოტლე); 5. სტივენ დე იონგი (ჰოლანდია, ქვიკ სტეპი); 6. ალესანდრო ბალანი (იტალია, ლამპრე); 7. რუბენ პერეს მორენო (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი); 8. ჟერომ პინო (საფრანგეთი, ბუჟე ტელეკომი); 9. მატეო ტოსატო (იტალია, ქვიკ სტეპი); 10. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) ყველანი იგივე დროში...

მე-15 ეტაპი. ემბრუნიდან პრატო ნევოზომდე (183 კმ)

1. საიმონ გერანსი (ავსტრალია, კრედიტ აგრიკოლი) 4:50.44 (37.56 კმ/სთ); 2. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.03; 3. დენი პეიტი (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 0.10; 4. ხოსე ლუის არიეტა (ესპანეთი, AG2R ლა მონდიალი) 0.55; 5. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 4.03; 6. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 4.03; 7. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 4.12; 8. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 4.23; 9. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 4.41; 10. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 4.43... 13. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 4.50...

კლასიფიკაცია 15 ეტაპის შემდეგ

1. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 63:57.21; 2. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 0.07; 3. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 0.08; 4. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 0.38; 5. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 0.39; 6. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 0.49; 7. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, კოლუმბია) 2.48; 8. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, AG2R ლა მონდიალი) 3.36; 9. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 4.11; 10. სამუელ სანჩეს გონსალესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 4.34...

მძლეოსნობა. ოქროს ლიგა

# რობლესის თითქმის რეკორდი

პარიზის "სენ დენის" სტადიონმა მძლეოსანთა ოქროს ლიგის სერიის მორიგ, მეოთხე ეტაპს უმასპინძლა, რომლის შემდეგაც, მილიონდოლარიანი ჯეკპოტისთვის ბრძოლას კვლავაც ორი მაძიებელი – ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი **ბლანკა ვლასიჩი** და კენიელი **პამელა ჯელიმო** შემორჩა.



დაირონ რობლესი

პარიზული შეხვედრის ყველაზე მთავარი მოვლენა კი 110 მეტრზე თარჯრბენში კუბელი **დაირონ რობლესის** ბრწყინვალე გამოსვლა გახდა. რობლესმა ერთი თვის წინათ, ოსტრავაში (სლოვაკეთი) გამოსვლისას, მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ახლა კი თავისივე რეკორდამდე სულ რაღაც 0.01 წამი დააკლდა. ასეა თუ ისე, 12.88 წამი ყველა დროის მეორე საუკეთესო შედეგი და მსოფლიოს წინა რეკორდია, რომელიც ჩინელმა **ლიუ სიანმა** ორი წლის წინათ, ლოზანაში ასპარეზობისას დაამყარა.

*"აქ გამოსვლამდე, მიზნად 12.90 წამზე ნაკლებში გარბენა დავისახე და მინდა ვთქვა, რომ მიღწეულით ძალიან კმაყოფილი ვარ. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ პეკინის ოლიმპიადას საუკეთესოდ მომზადებული ვხვდები. რა თქმა უნდა, იქ გამოსვლა ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ამაზე წინასწარ ფიქრს არ ვაპირებ. მთავარია, ისე გამოვიდე, როგორც შემიძლია"*, - ამბობს რობლესი, ვინც სტარტზევე წინ გაიჭრა და ლიდერობა არავისთვის დაუთმია. 13.19 წამით, მეორეზე ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანი, ამერიკელი **ტერენს ტრამელი** გავიდა.

400 მეტრზე სპრინტში, მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგით (43.86 წამი) ამერიკელმა **ჯერემი უორინერმა** გაიმარჯვა. ამჯერად მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა კიდევ ერთი ამერიკელი, **ლაშოუნ მერიტი**, ვინც ამ სეზონში უორინერის დამარცხება ორჯერ მოახერხა, თუმცა ამჯერად, მხოლოდ 44.35 წამს დასჯერდა. ორივე სპრინტერმა თითქმის მთელი დისტანცია მხარი-მხარ ირბინა. ბოლო ვირაჟზე კი მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა იმარჯვა, ტემპი გაზარდა და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა.

*"ზუსტად ისე ვირბინე, როგორც დაგეგმილი მქონდა. რაც მთავარია, დასკვნით მონაკვეთზე ყველაზე სწრაფი ვიყავი. ახლა სტოკჰოლმში გავემგზავრები, იქაც ვიასპარეზებ და შემდეგ შინ დავბრუნდები, რათა პეკინისთვის მზადება გავაგრძელო. აქ გამარჯვებით კიდევ ერთხელ დავამტკიცე, რომ პეკინში მთავარი ფავორიტი მე ვიქნები. და თუ იქაც ასე ვიასპარეზებ, ჩემი მომგები არავინ მეგულება"*, - ამბობს უორინერი.

ბოლო ორი სეზონია, ვლასიჩს სიმაღლეზე ხტომაში ბადალი არ ჰყავს. მან არც ამჯერად დათმო გამარჯვება, თუმცა როგორც ჩანს, წინაოლიმპიური ნერვიულობა მასაც შეეხო - ყოველ ახალ სიმაღლეზე პირველ ცდას აფუჭებდა. საბოლოოდ კი ყველაზე მაღლა (2.01 მეტრზე) გადებულ თამასას გადაევლო და მეოთხე შეხვედრაც მოიგო. *"ჩემთვის ყოველი გამარჯვება ბედნიერების მომტანია. ამას კი განსაკუთრებული ფასი აქვს, რადგან ეს საოლიმპიადო ტესტი იყო და მიხარია, რომ მისი გავლა შევძელი"*, - განაცხადა ვლასიჩმა.

რაც შეეხება ჯელიმოს, 18 წლის კენიელმა, ვინც ჯერაც ახალგაზრდებს შორის მსოფლიო რეკორდსმენია, ამჯერადაც ბრწყინვალედ იასპარეზა. ერთი წრე პეისმეიკერის უკან გაატარა, ბოლო 300 მეტრზე კი ფეხს აუჩქარა და იოლად ჩამოიტოვა ყველა მეტოქე (მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონი, კენიელი **ჯენეტ ჯეპკოსგეი**), რომელთაგან მის დაწევა არც არავის უცდია. მისი შედეგი (1:54.97) სეზონის საუკეთესოა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# TV სპორტი

**21 ივლისი. ორშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ბორდო.
14:10 ევრო 2008. იტალია-რუმინეთი.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. 1/4 ფინალი. ლივერპული-არსენალი.
18:25 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვერდერი.
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:20 ევრო 2008. ჰოლანდია-საფრანგეთი.
23:20 საფეხბურთო ღამე.
23:50 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გრემიო-კრუზეირო.
08:40 სპორტის სამყარო.
09:10 კრივი. რინგ-საიდი.
10:15 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
10:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ასტონ ვილა-ბირმინგემი.
12:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შტუტგარტი-დორტმუნდი.
14:05 სპორტდოსიე. გოლფი.
14:35 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ხორვატიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. უმაგი. ხორვატია.
16:35 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:00 მძლეოსნობა.
20:05 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
20:30 ფეხბურთი.
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008. პორტუგალია-თურქეთი.
22:50 პროფესიული კრივი. ჯეიმს კირკლენდი-მოჰამედ საიდი.
00:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ასტონ ვილა-ბირმინგემი.
01:55 კრივი. რინგ-საიდი.
03:00 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
03:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
03:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შტუტგარტი-დორტმუნდი.
05:30 სპორტის სამყარო.
06:00 ფეხბურთი.
06:30 სპორტდოსიე. გოლფი.

**EUROSPORT**

10:30 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
10:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ-ის გრან პრი.
11:45 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთი.
12:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ჩეხეთი.
13:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. ქალები. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
03:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. კაცები. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
14:15 ფრენბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. ფინალი.
14:45 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. I ტური. ბრაზილია-სერბეთი.
15:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ტური.
16:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-იტალია. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
18:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. სალვადორი-სოლომონის კ-ები. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
19:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. სენეგალი-ირანია. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ურუგვაი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
22:30 ბრძოლა წესების გარეშე.
01:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-იტალია. მარსელი. საფრანგეთი.
02:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ტური.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
10:00 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
12:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-იტალია. ჩეხეთი.
13:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. იაპონია-ბრაზილია. მარსელი. საფრანგეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-მექსიკა. მარსელი. საფრანგეთი.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
18:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. VI ტური. საფრანგეთი-სერბეთი.
19:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. სამხრეთი აფრიკა.
20:00 ახალი ამბები.
20:45 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
21:00 ფორმულა 1. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. VI ტური. პოლონეთი-ეგვიპტე.
23:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ქალები. ფინალი. ჩეხეთი.
00:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფრენბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ჩილე | |
|---|---|
| უაჩიპატო-უნ. კონსეპსიონი | 1:1 |
| ევერტონი-პალესტინო | 0:1 |
| უნ. ესპანიოლა-უნ. ჩილე | 1:4 |
| ლა სერენა-კობრელოა | 6:2 |
| კოლო კოლო-რეინჯერსი | 2:3 |
| მელიპილია-დეპ. ნუბლენსე | 1:1 |
| ს. მორნინგი-ანტოფაგასტა | 2:1 |
| კობრესალი-აუდაქსი | 1:2 |
| ოსორნო-უნ. კატოლიკა | გვ. დასრულდა |

| კოლუმბია | |
|---|---|
| ატ. უილა-ამერიკა | 2:1 |
| ენვიგადო-დეპ. პერეირა | 1:1 |
| ინდეპენდიენტე-მილიონარიოსი | 0:1 |
| ბუკარამანგა-კუკუტა | 1:0 |
| სანტა ფე-ატ. ნასიონალი | 5:0 |
| ჩიკო-დეპ. პასტო | გვ. დასრულდა |
| დეპ. კალი-ტოლიმა | გვ. დასრულდა |
| ეკვიდადი-დეპ. კუინდიო | გვ. დასრულდა |
| ო.კალდასი-ატ. ხუნიორი | გვ. დასრულდა |

| პერუ | |
|---|---|
| ალიანსა ატლეტიკო-სენსიანო | 1:0 |
| ატლეტიკო-ალიანსა ლიმა | 0:0 |
| ბოლონესი-სპორტი | 2:0 |
| ხოსე გალვესი-სან მარტინი | 0:2 |
| სპ. კრისტალი-სპორტ ბოისი | 5:1 |
| სესარ ვალეხო-ხუან აურიჩი | 2:1 |
| უნივერსიტარიო-მელგარი | 2:0 |

| ეკვადორი | |
|---|---|
| უნ. კატოლიკა-ლიგა დე კიტო | 3:0 |
| დეპ. კიტო-ასოგესი | 2:1 |
| ესპოლი-ტექ. უნივერსიტარიო | 1:2 |
| მაკარა-დეპ. კუენსა | 1:0 |
| ოლმედო-ემელეკი | 2:1 |
| ბარსელონა-ნასიონალი | გვ. დასრულდა |

| იაპონია | |
|---|---|
| საპორო-კობე | 1:1 |
| ოიტა-ივატა | 2:1 |
| ვერდი-კაშივა | 2:1 |
| ჯეფ იუნაიტედი-გამბა | 0:1 |
| შიმიცუ-ნიიგატა | 3:0 |
| იოკოჰამა-კაშიმა | 0:2 |
| კიოტო-ტოკიო | დღეს |
| ნაგოია-ომიია | დღეს |
| ურავა-კავასაკი | დღეს |

**პლაჟის ფეხბურთი**

| მსოფლიო ჩემპიონატი | |
|---|---|
| სენეგალი-ურუგვაი | 6:6 |
| პორტუგალია-სოლომონის კ-ები | 13:4 |
| იტალია-სალვადორი | 4:1 |
| საფრანგეთი-ირანი | 5:5 |
| ესპანეთი-მექსიკა | 2:1 |
| არგენტინა-საემიროები | 5:2 |
| რუსეთი-კამერუნი | 4:0 |
| ბრაზილია-იაპონია | 8:1 |

**კალათბურთი**

**პეკინი 2008**

| შესარჩევი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| გერმანია-ხორვატია | 70:76 |
| საბერძნეთი-პუერტო რიკო | 88:63 |

| მე-3 ადგილისთვის | |
|---|---|
| გერმანია-პუერტო რიკო | 96:82 |

**ფრენბურთი**

| მსოფლიო ლიგა | |
|---|---|
| ბრაზილია-ვენესუელა | 3:0 |
| პოლონეთი-ეგვიპტე | 3:1 |
| რუსეთი-კორეა | 2:3 |
| სერბეთი-საფრანგეთი | 3:1 |
| ბულგარეთი-აშშ | 3:1 |
| ფინეთი-ესპანეთი | 3:0 |
| იაპონია-ჩინეთი | 3:0 |
| იტალია-კუბა | 3:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ამერსფორტი | |
|---|---|
| დარცისი-ჟიკელი | 7:6, 3:6, 7:5 |
| მონტანიესი-ერნანდესი | 6:1, 6:3 |
| მონტანიესი-დარცისი | 1:6, 7:5, 6:3 |

| ATP. ინდიანაპოლისი | |
|---|---|
| სიმონი-კუერი | 6:3, 4:6, 6:4 |
| ბლეიკი-ტურსუნოვი | 6:4, 3:6, 4:6 |
| ტურსუნოვი-სიმონი | 4:6, 4:6 |

| ATP. კიცბუელი | |
|---|---|
| სტარაჩე-მელცერი | 4:6, 7:6, 3:6 |
| დელ პოტრო-ჰანესკუ | 6:3, 7:6 |
| დელ პოტრო-მელცერი | 6:2, 6:1 |

| ATP. უმაგი | |
|---|---|
| ანდრეევი-მ. გონსალესი | 6:2, 7:6 |
| ვერდასკო-ფონინი | 6:1, 6:3 |
| ვერდასკო-ანდრეევი | 3:6, 6:4, 7:6 |

| WTA. ბად გაშტაინი | |
|---|---|
| პარმენტიე-მოისბურგერი | 7:6, 6:3 |
| შავაი-ბენეშოვა | 6:2, 6:2 |
| კორიტცევა-ჰლადიკოვა | 6:3, 6:1 |
| ჰრადეცკა-მეირი | 6:3, 6:1 |
| შავაი-პარმენტიე | 4:6, 2:6 |
| კორიტცევა-ჰრადეცკა | 3:6, 2:6 |
| პარმენტიე-ჰრადეცკა | 6:4, 6:4 |

| WTA. სტენფორდი | |
|---|---|
| ს. უილიამსი-ვოზნიაკი | 2:6, 1:6 |
| ბარტოლი-სუგიამა | 6:3, 6:3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

# ჰემილტონი ცალკე ლიგაშია

ბრიტანელი **ლუის ჰემილტონის** გამარჯვებით დასრულდა ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის მეათე ეტაპი - გერმანიის დიდი პრიზი, რის შემდეგაც, ის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. რაც მთავარია გუშინაც, მშრალ ტრასაზეც, მდევრებთან კვლავ დიდი უპირატესობა ჰქონდა და რომ არა შუა რბოლისას მომხდარი ინციდენტი, რომელსაც ტრასაზე პეისკარის გამოსვლა მოჰყვა, უახლოეს მდევარს ფინიშთან ამჯერადაც ალბათ, წუთზე მეტით მიასწრებდა.

ჰემილტონი მთელი სარბოლი უქმეების განმავლობაში ყველაზე სწრაფი იყო. მან ჯერ კიდევ პარასკევის თავისუფალ პრაქტიკებზე დაამტკიცა, რომ "სილვერსტოუნზე" მარტო წვიმის წყალობით არ მოუგია რბოლა და რომ მშრალ ტრასაზეც ყველაზე სწრაფია (ამ მომენტში მაინც). თავისუფალ პრაქტიკებს კვალიფიკაციაზე გამარჯვებაც მოჰყვა, სადაც ბრაზილიელ **ფელიპე მასას** თითქმის ორი მეათედი წამით აჯობა.

ფორმულა ერთის ისტორიაში პირველმა შავკანიანმა პილოტმა ლიდერობა არც სტარტზე დათმო. მართალია, მასამ მასზე უკეთესი სტარტი აიღო, მაგრამ პირველ მოსახვევში ალბიონელი მაინც პირველი შევიდა და ამის შემდეგ, უმალ გაზარდა უპირატესობა, რომელიც რბოლის საწყის სტადიაში, ყოველ წრეზე, თითქმის წამით იზრდებოდა.

მის უკან კი ლიდერთა ათეულში მცირე გადაადგილებები მოხდა – მეოთხე ადგილისთვის ერთმანეთთან უშელავათოდ მოპაექრე **იარნო ტრულისა** და **ფერნანდო ალონსოს** მესამე მოსახვევიდან გამოსვლისას, **რობერტ კუბიცამ** უგანა, ვინც სტარტზე ერთი პოზიცია **კიმი რაიკონენის** გასწრებით მოიგო. ტრულისა და ალონსოს "ჩხუბი" კი ესპანელს მესამე წრეზე კიდევ ერთი ადგილის დაკარგვად დაუჯდა – მას ამჯერად რაიკონენმა გაუარა.

მთავარი მოვლენები რბოლის მეორე ნახევარში განვითარდა. ჰემილტონი სოლიდური უპირატესობით უგებდა მასას, როცა 35-ე წრეზე ავარია მოუვიდა "ტოიოტას" გერმანელ **ტიმო გლოკს**. მის მანქანას უკანა მარჯვენა საკიდარი გაუტყდა, რამაც ის ბეტონის ზღუდეზე მიაგდო. შეჯახება დიდ სიჩქარეზე, კედელთან თითქმის პერპენდიკულარულად მოხდა, რამაც სარბოლი ტექნიკა სრულად გაანადგურა. საბედნიეროდ, პილოტმა სხვისი დახმარების გარეშე შეძლო კოკპიტის დატოვება. თუმცა, გართულების გამოსარიცხად, ის მაინც ადგილობრივ ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ტრასაზე კი პეისკარი გამოვიდა, რომლის ლიდერობისასაც, სამის გარდა, ყველა პილოტმა ბოქსებს მიაშურა. რატომღაც, მათ შორის არ აღმოჩნდა ჰემილტონი, ვინც თუ გლოკის ავარიამდე უახლოეს მდევარს (მასას) თითქმის 15 წამს უგებდა, ავარიის შემდეგ მისი უპირატესობა განულდა.



პიტსტოპის გადადება კი იმას ნიშნავდა, რომ ჰემის ბოქსში შესვლა რბოლის განახლების შემდეგ მოუწევდა. იმისთვის კი, რომ პიტსტოპის შემდეგ ლიდერობა არ დაეკარგა, მასასთან უპირატესობა 24 წამამდე უნდა გაეზარდა, რაც 7-9 წრეში პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო.

ჰემი პიტზე 50-ე წრეზე, ფინიშამდე 17 წრით ადრე შევიდა, როცა მასას მხოლოდ 13 წამს უგებდა. ტრასაზე დაბრუნებული კი, მეხუთეზე, თანაგუნდელ **ჰეიკი კოვალაინენის** უკან აღმოჩნდა. ლიდერობა **ნიკ ჰაიდფელდმა** გადაიბარა, რომლის ბოქსში შესვლის შემდეგაც, პირველზე მოულოდნელად, **ნელსინიუ პიკემ** გადაინაცვლა.

ჰემილტონმა იოლად დაძლია "შინაური" ბარიერი – ერთ-ერთ მოსახვევში კოვა შეცდა, რამაც ბრიტანელს გზა გაუხსნა და მან მესამეზე გადაინაცვლა. ამ დროს, მასას თითქმის შვიდი წამით ჩამორჩებოდა, თუმცა მასვე წრეზე წამზე მეტს უგებდა.

57-ე წრეზე ჰემილტონმა პირველივე შეტევით, სლიპსტრიმით გაუარა მასას, რომელმაც მომდევნო მოსახვევში, უკეთესი პოზიციის წყალობით, კონტრშეტევა სცადა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია და მაშინვე ბედს შეეგუა, რადგან მეტოქემ უმალ დაიწყო უპირატესობის გაზრდა.

მალე ჰემი პიკესაც წამოეწია და მე-60 წრეზე მასაც გაასწრო და მისიაც ამით შეასრულა. ფინიშამდე დარჩენილ 7 წრეზე კი მას ლიდერობის შენარჩუნება არც გასჭირვებია. იმავე, მე-60 წრეზე, რაიკონენმა მეექვსე ადგილისთვის ბრძოლაში კუბიცას აჯობა, გერმანელმა **სებასტიან ფეტელმა** კი მერვე ადგილი ტრულის დაათმობინა.

პიკემ ფინიშის ხაზი მეორემ გადაკვეთა და ამით, თავის კრიტიკოსებს ხმა გააკმედინა, თუმცა პრესკონფერენციაზე აღიარა, იღბალი რომ არა, გაცილებით უარესი შედეგი მექნებოდაო. სხვათა შორის, ბრაზილიელი პილოტი პელოტონში ერთადერთი იყო, ვინც მთელ რბოლაზე მხოლოდ ერთი პიტსტოპი იმყოფინა.

ცნობისთვის, პიკემ რბოლა მე-17 პოზიციაზე დაიწყო, მაგრამ ერთი პიტსტოპის წყალობით, დაახლოებით 24 წამი დაზოგა. ოღონდ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნახევარი რბოლა გვარიანად გაცვეთილი საბურავებით განვლო. სხვათა შორის, მისმა თანამემამულე **რუბენს ბარიკელომ** თავისი პირველი გამარჯვება სწორედ "ჰოკენჰაიმრინგზე", რვა წლის წინათ მოიპოვა და მაშინ მან რბოლა მე-18 პოზიციიდან დაიწყო...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

| გერმანიის დიდი პრიზი. მე-10 ეტაპი | |
|---|---|
| ჰოკენჰაიმრინგი (გერმანია). 306.458 კმ (67 წრე X 4.574 კმ) | |
| 1. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენი) | 1:31:20.874 |
| 2. ნელსონ პიკე (ბრაზილია, რენო) | +00:05.586 secs |
| 3. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) | 00:09.339 |
| 4. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, BMW ზაუბერი) | 00:09.825 |
| 5. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, მაკლარენი) | 00:12.411 |
| 6. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) | 00:14.483 |
| 7. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, BMW ზაუბერი) | 00:22.603 |
| 8. სებასტიან ფეტელი (გერმანია, ტორო როსო) | 00:33.282 |
| 9. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) | 00:37.199 |
| 10. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამსი) | 00:37.658 |
| 11. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, რენო) | 00:38.625 |
| 12. სებასტიან ბურდე (საფრანგეთი, ტორო როსო) | 00:39.111 |
| 13. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბული) | 00:54.971 |
| 14. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, ფორს ინდია) | 00:59.093 |
| 15. კაძუკი ნაკაძიმა (იაპონია, უილიამსი) | 01:00.003 |
| 16. ადრიან ზუტილი (გერმანია, ფორს ინდია) | 01:09.488 |
| 17. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) | 1 წრე |
| გ. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) | 17 წრე |
| გ. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბული) | 27 წრე |
| გ. ტიმო გლოკი (გერმანია, ტოიოტა) | 32 წრე |

შენიშვნა: გ - გამოეთიშა

**უსწრაფესი წრე:** ნიკ ჰაიდფელდი 1:15.987, 52-ე წრე

პირადი კლასიფიკაცია 10 ეტაპის შემდეგ

1. ლუის ჰემილტონი 58 ქულა, 2. ფელიპე მასა 54; 3. კიმი რაიკონენი 51; 4. რობერტ კუბიცა 48; 5. ნიკ ჰაიდფელდი 41; 6. ჰეიკი კოვალაინენი 28; 7. იარნო ტრული 20; 8. მარკ უებერი 18; 9. ფერნანდო ალონსო 13; 10. რუბენს ბარიკელო 11; 11. ნელსონ პიკე 10; 12. ნიკო როსბერგი 8; 13. კაძუკი ნაკაძიმა 8; 14. დევიდ კულტჰარდი 6; 15. სებასტიან ფეტელი 6; 16. ტიმო გლოკი 5; 17. ჯენსონ ბატონი 3; 18. სებასტიან ბურდე 2

კონსტრუქტორთა პირველობა

1. ფერარი 105 ქულა; 2. BMW ზაუბერი 89; 3. მაკლარენ-მერსედესი 86; 4. ტოიოტა 25; 5. რედ ბულ-რენო 24; 6. რენო 23; 7. უილიამს-ტოიოტა 16; 8. ჰონდა 14; 9. ტორო როსო-ფერარი 8




რაგბი. სამი ერის თასი

# ვოლაბები იწყებენ და იგებენ

| ავსტრალია–ს.აფრიკა | 16:9 |
|---|---|

ავსტრალია(15-9) ეშლი-კუპერი, ჰაინსი, მორტლოქი, ბარნსი, ტუქირი, გიტო, ბერჯესი. (1-8) რობინსონი, მური, ბაქსთერი, ჰორვილი, შარფი, ელსომი, სმითი, პალუ.

(16-22) პოლოტა-ნაუ, დანინგი, მაკმენიმანი, ვო, ქორდინგლი, კროსი, მიჩელი.

2ლ(ტუქირი, მორტლოქი), ს(გიტო), ა(ბარნსი)

ს.აფრიკა(15-9) იანჩისი, პიტერსენი, სტეინი, დეფილიერსი, ჰაბანა, ჯეიმზი, იანარი. (1-8) სტენკამპი, ბრიცი, ფანდერლინდე, ბოთა, მეტფილდი, ბერგერი, სმითი, სპისი.

(16-22) სტრაუსი, მთავარირა, მუჯათი, ბეკერი, კანკოვსკი, პინარი, გრანტი.

3ს(სტეინი 2, ჯეიმზი)

მსაჯი: ბრაის ლორენსი (ზელანდია)

პერთის "სუბიაკო ოვალზე" ვოლაბიზმა სამი ერის პირველობაზე, პირველივე შეხვედრაში სამხრეთ აფრიკის ნაკრები მძაფრ ბრძოლაში 16:9 დაამარცხა. "ბოკემ", რომელიც ზედიზედ მესამე კვირაა თამაშობს, კარგად დასვენებულ მასპინძლებთან ვერაფერს გახდა და **ნელსონ მანდელას** 90 წლისთავი გამარჯვებით ვერ აღნიშნა.

აფრიკელთა ნაკრები თამაშში მოლლილი, ბურთაობა მოყირჭებული ჩანდა. ფულ ბეკი **პერსი მონტგომერისა** და შერკინების კვაჭის **ჯონ სმითის** არყოფნა ბოკეს აშკარად დაეტყო. თუმცა ანგარიში საჯარიმოდან მათ გახსნეს, ტაიმი მაინც მასპინძლებმა მოიგეს 5:3.

ვოლაბებმა მთელი ტაიმის განმავლობაში ლამის ერთადერთი შეტევა ლელოთი დაასრულეს. მათმა შერკინებამ როგორც იქნა მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში შეაღწია, რის შემდეგაც ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაიტანეს, **ელსომის, გიტოს, შარფისა** და **ეშლი-კუპერის** ძალისხმევა ტუქირიმ დააბოლოვა.

მეორე ტაიმი, პირველისგან განსხვავებით, უკვე მასპინძლებისა იყო. ოზების კაპიტანმა **სტირლინგ მორტლოქმა** ალამთან შესანიშნავი ლელო გაიტანა ისე, რომ ზედ სამი აფრიკელი ეკიდა. არბიტრს ვიდეორეფერის დახმარება დასჭირდა, თუმცა მორტლოქს ყველაფერი სუფთად გაეკეთებინა და სადავოც არაფერი იყო 10:3.

ამის შემდეგ თამაში თითქოს გათანაბრდა. გიტომ და ჯეიმზმა საჯარიმოები გაცვალეს 13:6. თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე კი "ბოკეს" გარემარბმა **ბრაიან ჰაბანამ** მატჩის გადარჩენის შანსი გაუშვა ხელიდან. ლელოში შესულ ჰაბანას დამიწებისას ბურთი ხელიდან გაუვარდა. რამდენიმე წუთში **ფრანსუა სტეინმა** მაინც შეძლო ანგარიშის შემცირება საჯარიმო დარტყმით 9:13.

სამხრეთ აფრიკა გაგულიანდა, მაგრამ მისი ძალისხმევა რაგბი ლიგიდან გადმობარგებულმა ავსტრალიელთა შუამარბმა **ბერიკ ბარნსმა** დიდოსტატური არეკნით გააქარწყლა 16:9. თუმცა "ბოკემ" ერთი პრემიალური ქულა მაინც მიითვალა.

მორიგი შეხვედრა 16 ივლისს სიდნეიში გაიმართება. ავსტრალია "ანზ სთედიუმზე" ოლ ბლექს დაუპირისპირდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზელანდია | 2 | 1 | 0 | 1 | +9 | 5 |
| 2.ს.აფრიკა | 3 | 1 | 0 | 2 | -16 | 5 |
| 3.ავსტრალია | 1 | 1 | 0 | 0 | +7 | 4 |



წამებიც და მორტლოკი გადამწყვეტ ლელოს დადებს